საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
} მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

- ევროპის მრავალ ქალაქებში ოქტომბრის რევოლიუციის დღეს გაიმართა დემონსტრაციები.
- თეირანის სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე გაიხსნა საბჭოთა პავილიონი.
- დეკემბერში დაითხოვენ დანიის ქვედა პალატას.
- ლენინგრად - სტოკჰოლმის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში პირველობა ლენინგრადმა აიღო.
- ბრიანს საკმარისად არ მიაჩნია მუსოლინის მიერ მარტო ბოდიშის მოხდა.
- პოლონეთის მთავრობა საფრანგეთში ყიდულობს ახალ 5 გემს

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 257 (1712)

ჩვენი დღესასწაული

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი).

ამ დღეს წითელმა მოედანმა იხილა ასეული ათასი ადამიანი. დაუსრულებელი მუშათა რაზმები, მონავარდე ბუდიონელები, კომკავშირელები, ბავშვები, ქალები წითელ თავსაფრებში, ჭაღარა გლეხები ქურქებში, დასავლეთის და აღმოსავლეთის სტუმრები, ევროპის მუშა-კომუნისტები, შორეულ კანტონის ყვითელ ფერის ადამიანები, ყველა ამათ მწყობრი რიგებით ჩაუარეს ილიჩის მავზოლეის და მიესალმენ უკვდავ ბელადს, ოქტომბრის გადატრიალების სულის ჩამდგმელს.

ქვეყანა შეუპოვარ აშენებლობაშია გართული. სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ჩვენ გვიხდება პირველი მძიმე ლოდების ზიდვა მისი საძირკვლის ჩასაყრელად. ჩვენ მომჭირნეობას ვიჩენთ ყველაფერში, სხვათა შორის ჩვენს საუკეთესო დღესასწაულებშიაც. ჩვენი ლოზუნგები შეიძლება ერთფეროვნათ მოგეჩვენოთ: შრომა, მომჭირნეობა, დისციპლინა, წერა-კითხვა, სწავლა, მშენებლობა. შეიძლება ჩვენი დროშებიც არ იყოს მოელვარე და ახალი, რადგან მათ უმეტეს ნაწილათ პირველად როდი ატარებენ ჩვენი მუშათა რაზმები. ჩვენი დღესასწაული არ არის იმდენად მდიდრული და მოკაზმული, როგორიც ის შეიძლება ყოფილიყო, თუ ჩვენ მოვისურვებდით.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ჩვენი ეხლანდელი მასიური ზეიმი უკვე თვით თავისი ხასიათით იძლევა ლოზუნგს: მოწოდება პრაქტიკულ და შეუპოვარ, უსიტყვო, წყნარ შემოქმედებითი მუშაობისაკენ.

ილიჩი სწერდა იმ პერიოდის შესახებ, რომელშიც იმყოფება ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი: „წინად ჩვენ სიმძიმის ცენტრი გადაგვქონდა და უნდა გადაგვეტანა კიდეც პოლიტიკურ ბრძოლაზე, რევოლიუციაზე, ხელისუფლების დაპყრობაზე და სხ. ეხლა სიმძიმის ცენტრი იცვლება იმდენად, რომ ის გადადის მშვიდობიან, ორგანიზაციულ „კულტურულ“ მუშაობაზე. ჩვენ მზად ვართ, ვთქვა, რომ სიმძიმის ცენტრი ჩვენში გადადის კულტურულ მუშაობაზე, თუ რომ საერთაშორისო ურთიერთობა ასე რთული არ ყოფილიყო და ჩვენ ვალდებულნი არ ვიყოთ ჩვენი პოზიციისთვის ვიბრძოლოთ საერთაშორისო მაშტაბით. მაგრამ თუ ამას გვერდზე გადავდებთ და შინაური ეკონომიური ურთიერთობით დავკმაყოფილდებით, უნდა ითქვას, რომ ჩვენში ეხლა სიმძიმის ცენტრი მართლაც კულტურულ მუშაობაზე გადადის“.

საბჭოთა ქვეყნის ყველა ქალაქებსა და სოფლებში ჩვენი დღესასწაულები წლიდან წლამდე იქცევიან სამეურნეო და კულტურულ მიღწევათა მასიურ, დიად შემოწმების დღეებად. გადაათვალიერეთ ცნობები, თუ როგორ აღნიშნავდენ მუშები და გლეხები ოქტომბრის მე-9 წლისთავს: ახალ ფაბრიკების, ქარხნების, ელექტრო-სადგურების, რკინისგზათა და ტრამვაის ხაზების, კლუბების, რადიოსადგურების, ტეხნიკუმების, სასწავლებლების, სკოლების, ლენინის ძეგლების, საბჭოთა სახლების, პროფკავშირთა სახლების, კულტურის სასახლეების, თეატრების საბავშვო ბაგათა, საავადმყოფოთა, უპატრონო ბავშვთა სახლების, მუშათა და კოოპერატიულ სახლების და სხ. გახსნა. ყველა ამ აგურებიდან ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმის შენობას. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით და ვიხმართ კიდეც, რომ შევასრულოთ ილიჩის ანდერძი, დატოვებული ოქტომბრის მეხუთე წლის თავზე და დაწერილი „პრავდაში“ მოთავსებულ მისალმებაში, „რომ შემდეგ ხუთ წელში ჩვენ მშვიდობიანად ვზით დავიპყროთ არა იმაზე ნაკლები, რაც ჩვენ შეიარაღებული ხელით დავიპყარით დღემდე“.

ამ პროგრამით შევედით ჩვენ პროლეტარული დიქტატურის მეცხრე წელში და განვახორციელებთ კიდეც ამ პროგრამას.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენება—ეს არის ჩვენი პირველი საერთაშორისო მოვალეობა. სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა—არის ჩვენი სწორი და საიმედო საშუალება რევოლიუციის გამარჯვებული წინსვლისათვის დედამიწის ზურგის ყველა ქვეყნებში. ჩვენი „მშვიდობიანი“ მონაპოვარი შეიძლება გახდეს იმ კლასიურ ბრძოლების გადამწყვეტი, რომლებსაც დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატი აწარმოებს ხელისუფლების დასაპყრობად. ჩვენ ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ამასთან ერთად, ჩვენს გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობისათვის, სწორედ ისევე, როგორც 1917 წლის ოქტომბრის გამოცდილებას ჰქონდა და აქვს შეუდარებელი მნიშვნელობა ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის მათ მიერ ძალა-უფლების დაპყრობის საქმეში.

ოქტომბრის წლისთავები შეიძლება გადამწყვეტ სიმძიმედ გადაიქცენ უმწვავეს კლასიურ ბრძოლების სასწორზე ხელისუფლების დასაპყრობად არა მარტო ჩვენს კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. ისინი უკვე დიდი ხანია გადაიქცენ რევოლიუციონურ საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულებად. წელს, როცა ყველას თვალწინ გადაშლილია ბრწყინვალე მაგალითი იმის, თუ როგორ მტკიცედ და პირნათლად შეასრულა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა თავისი საერთაშორისო მოვალეობა ინგლისის საყოველთაო გაფიცვის და მემაღაროეთა გაფიცვის მიმართ, არ შეიძლება სხვა ქვეყნების მუშები არ მოექცენ ოქტომბრის მეცხრე წლისთავის დღეს ისე, თუ არა როგორც საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. ამის შესახებ უკვე მოდის ცნობები ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა, ამერიკასა, ჩინეთსა, ლიტვეთსა, მონგოლეთსა და სხვა ქვეყნებიდან.

ლენსბერის გაზეთ „ლეიბორ უილკი“-ს რედაქციის მიერ ლონდონში გამართულმა მიტინგმა საკითხი მემაღაროეთა დახმარების შესახებ დაუკავშირა საკითხს ოქტომბრის მეცხრე წლისთავის შესახებ. საყურადღებოა ამ მიტინგის თავმჯდომარის, მაკდონალდის კაბინეტში მინისტრად ნამყოფ ტრაველიანის ასეთი განცხადება: „იმის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მუშებმა ასეთი დახმარება აღმოუჩინეს მემაღაროეთ, სრულიად მოისპო ინგლისის ხალხის გადამტერების შესაძლებლობა რუს ხალხთან“.

თუ ასეთია მდგომარეობის პოლიტიკური შეფასება, მოცემული არა კომუნისტის, არამედ მაკდონალდის ყოფილი მინისტრის მიერ, მაშინ ეს მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს კავშირის განმტკიცების უდავო ფაქტს ინგლისის მუშათა მასებთან, რომელთა ჩვენდამი სიმპატიებიც ნებას არ აძლევენ მაკდონალდებს ილაპარაკონ სულ სხვა რამე.

დედამიწის ზურგის მოპირდაპირე მხარეს—აღმოსავლეთში, ხარბინში—ოქტომბრის მეცხრე წლისთავის დღეს მუშები მოგვესალმენ ჩვენ, მიუხედავათ ჩინეთის პოლიციელების მათრახებისა. რევოლიუციის ამ მიმართულებით მოდიან მუშების ახალი კოლონები, რომლებიც შემდეგ ოქტომბრის დროშის ქვეშ დგებიან.

მსოფლიო რევოლიუციის გიგანტური გლობუსი წლიდან წლამდე ნელა, მაგრამ მტკიცედ ბრუნავს ჩვენსკენ. სულ უფრო ძნელი და უძირო ხდება კაპიტალიზმის ფეხქვეშ გაპობილი ნაპრალი. თანდათან სულ უფრო გარკვევით მოისმის ხმა, თუ როგორ ილეწება დედამიწის გარსშემოხვეული მონობის ჯაჭვი. თანდათან სულ უფრო აშკარა და ნათელი ხდება, რომ მსოფლიო ოქტომბრის გზით წავა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 9 ნოემბერი.

რას მოველით მოსახლეობის აღწერიდან

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერას, გარდა წმინდა მეცნიერულ, აკადემიური მნიშვნელობისა, აქვს უმთავრესად ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობაც სახელმწიფოსთვის. 1897 წლის შემდეგ ეს პირველი აღწერაა, რომელიც მთელი კავშირის სივრცეზე უკლებლივ მოხდება. 1920 წლის აღწერა ჯერ კიდევ დაუმცხრალ სამოქალაქო ომის პირობებში სწარმოებდა და, რასაკვირველია, არ შეეძლო მოეცა მას სრული და უტყუარი ცნობები მოსახლეობის რიცხვის შესახებ.

მართალია, ამიერ - კავკასიაში 1897 წლის შემდეგ არა ერთი აღწერა ჩატარდა, მაგრამ არც ერთი არ იყო საერთო და ერთდროული. მაგალითად, საქართველოში 1922 წლის აღწერა შეეხო მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას. 1923 წელში ჩატარდა სასოფლო - სამეურნეო აღწერა

ეს აღწერები, წარმოებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნებით, არ იყო შესრულებული ერთდროულად და მოკლე განსაზღვრულ ვადაში მთელ ტერიტორიაზე, რაც აუცილებელი და ძირითადი მოთხოვნილებაა მოსახლეობის აღწერის დროს.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1897 წელს ყოფილ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი სრული აღწერა ჩატარებულ იყო მთავრობის ბიუროკრატიული ორგანიზაციის მიერ, რომელმაც ამ საქმეს ჩამოაშორა საზოგადოებრივი ელემენტები და ავტორიტეტული სტატისტიკური ძალები, რის გამოც აღწერა მნიშვნელოვან ნაკლით წერა გახდა, როგორც მეთოდოლოგიური, ისე ორგანიზაციული მხრივ. მაშინ ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ ყოფილა წესიერად მოწყობილი და მეთოდოლოგიურად გამართლებული აღწერა მთელი მოსახლეობისა უკლებლივ.

მოწყობილი სახელმწიფო და მით უმეტეს სახელმწიფო, რომელიც თავის წარმოებას და განაწილებას საფუძვლად გეგმითი პრინციპებს უდებს, საჭიროებს მოსახლეობის სრულ და ნამდვილ რიცხვის ცოდნას.

მოსახლეობის აღწერის საჭიროება განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა ახლა.

ეგრედწოდებული აღდგენითი პროცესი სახალხო მეურნეობისა თითქმის დამთავრდა. ახლა იწყება ახალი პერიოდი, ახალი ხანა სახალხო მეურნეობის შენებისა ახალ საფუძვლებზე. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის განვითარების ტემპის დაჩქარება, გეგმითი დანაწილება პროდუქციისა მომხმარებელთა შორის, სწორი გეოგრაფია ჩვენი მომავალი მრეწველობისა და ვაჭრობისა თხოულობენ მოსახლეობის სწორ აღრიცხვას.

ამით აიხსნება, რომ მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმის და ხარჯების შეკუმშვის პერიოდში, რაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის საშუალებათა დაგროვების მიზნებით ხდება, მთავრობა ხარჯავს აღწერისთვის 10 მილიონ მანეთზე მეტს.

რა უნდა მოგვცეს ამ აღწერამ?

რა იმედებს ვამყარებთ აღწერაზე?

მოსახლეობის რიცხვზე და კავშირის ტერიტორიის სივრცეზე მის განაწილებაზე უნდა დაეყრდნოს მთლიანი გეგმა ჩვენი მრეწველობის გაშლისა, სასოფლო მეურნეობის განვითარებისა, საქონლის განმანაწილებელ არხების მოწყობისა.

ყოვლად შეუძლებელია საექიმო - სანიტარულ დაწესებულებების, სკოლების, აგრონომიულ პუნქტების მიზანშეწონილად განაწილება ტერიტორიაზე, თუ ჩვენ არ ვიცით მოსახლეობის ნამდვილი რიცხვი, მისი ჰასაკი, წერა-კითხვის ცოდნა, მისი ბინადრობა, ყოფა - ცხოვრების პირობები და სხვა.

აღწერამ ჩვენ უნდა მოგვცეს სურათი მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობისა.

აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ აღწერას მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის.

ყველა მოქალაქის მოვალეობას უნდა შეადგენდეს ხელი შეუწყოს ამ დიად საქმეს, რომლის წარმატებით ჩატარება შესამჩნევათ დაეხმარება სახელმწიფოს შეასრულოს დავალებანი მრავალ მილიონიან მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით.

ასი ათასობით განისაზღვრება აღწერაში მონაწილეთა რიცხვი მთელ კავშირში. მთელი ლაშქარი რეგისტრატორების, ინსტრუქტორების და ხელმძღვანელების მოედება 17 დეკემბერს კავშირის ტერიტორიას, მაგრამ ეს ლაშქარი აღმწერლებისა ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვერ მოგვცემს სწორ აღრიცხვას მოსახლეობისას, თუ თვით მოსახლეობა არ დაეხმარება მას ამ საერთო საქმეში.

აღწერის წარმატებით ჩატარება მთლიანად დამოკიდებულია მოსახლეობის აღწერისთვის სათანადო მომზადებაზე.

გლეხი რეგისტრატორში ხშირად ხედავს ახალი გადასახადის, ბეგარის წინამორბედს.

საჭიროა აღწერის პოპულიარიზაცია. უნდა ჩავატაროთ კამპანია ახსნა - განმარტებისა. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, **რომ აღწერას არავითარი ფისკალური მიზნები არ აქვს დასახული.**

მოქალაქე სწორ ცნობებს უნდა აწვდიდეს რეგისტრატორს, გულახდილად აძლევდეს პასუხს ყველა კითხვებზე. მოსახლეობას უნდა შევაგნებინოთ, რომ ეს გულახდილობა მის საკეთილ-დღეოთ არის საჭირო. ვინ უნდა აწარმოოს ეს ახსნა განმარტებითი მუშაობა?

პარტია, კომკავშირი, პროფკავშირები, კოოპერაცია — აი ძირითადი ძალები, რომელთაც უნდა აწარმოონ ეს განმარტებითი კამპანია.

შემდეგ — ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენი მასწავლებლობა, რომელიც ძლიერ ახლოს სდგას გლეხობასთან. სწორეთ ინტელიგენციის ამ ნაწილმა უნდა ითავოს აღწერის პოპულიარიზაციის საქმე.

ამხ. ოსინსკიმ თბილისში ყოფნის დროს მოსწრებულად სთქვა, რომ აღწერის დღეებში უნდა მოვსპოთ ჩვეულებრივი მისალმება და ამის მაგიერ შემოვიღოთ: „გაიარეთ აღწერაში თუ არა?“

აღწერის დღეებში ყველა ჩვენთაგანმა უნდა დაისახოს მიზნათ შეეკითხოს ნაცნობებს: შეასრულა მან თავის მოვალეობა თუ არა? აღწერილია ის თუ არა?

ყველა უნდა სცდილობდეს, რომ არ დარჩეს აღრიცხვის გარეშე. თუ ის რეგისტრატორს დაავიწყდა, გამორჩა, მან თვითონ უნდა მონახოს აღმწერელი ან დარეკოს აღწერის ბიუროში, რომ მასთან მოვიდეს რეგისტრატორი.

მხოლოდ ასეთი ცხოველი ინტერესის გაღვივება უზრუნველჰყოფს აღწერის წარმატებით ჩატარებას.

ა. რუხაძე.

სტუმრად დიდი რევოლიუციის ბელადთან

(ტელეგრაფით ლენინგრადიდან)

7 ნოემბერს დილის 11½ საათზე ჩავედი ლენინგრადში და პირდაპირ მოვხვდი ლენინის ძეგლის გახსნაზე ფინეთის სადგურის მოედანზე, სადაც მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, მიმართა პირველი სიტყვით პეტროგრადის მუშებს.

ეს იყო 1917 წლის 3 აპრილს.

ამ დღის აღსანიშნავად აქ დადგმულია დიდებული ძეგლი, რომლის საზეიმო გახსნის აღწერასაც მე აქ არ შეუდგები. ამას თქვენ ყველა გაზეთებში წაიკითხავთ.

მე მივეჩქარები ურიცკის მოედანზე, სადაც დიდი ოქტომბრის ზეიმია გამართული. ურიცკის მოედანზე ალექსანდრე I-ის უზარმაზარ კოლონასა და ზამთრის სასახლეს შუა მოწყობილია ტრიბუნა ორატორებისათვის.

ზეიმი დაიწყება დღის 12 საათზე.

როცა 12 საათს 10 წუთი აკლდა მე უკვე ტრიბუნასთან ვიყავი. გაკვირვებული დავრჩი იმით, რომ ხალხი თითქმის სულ არ სჩანდა. მთელ ამ უზარმაზარ მოედანზე, მილიციელთ გარდა, იყო დაახლოვებით 100 — 200 კაცი, ალბათ განსაკუთრებული ნებართვით. იქვე სვეტის ახლოს იდგა ორი ათეული საბარგო ავტომობილი, როგორც სჩანს, 1917 წლის 7 ოქტომბერს აღმართულ ბარიკადების განსახიერებისათვის, როცა რევოლიუციონურმა ხალხმა იერიში მიიტანა სასახლეზე, ბურჟუაზიის უკანასკნელ თავშესაფარზე.

ამნაირად მოედანზე თითქმის არავინ არის. სად არის ზეიმი? სიმართლე გითხრათ. მე ერთავად შემრცხვა იმათ მაგიერ, რომელთაც ამ ზეიმის იმედი ჰქონდათ. მაგრამ აი ქალაქის საათმა დაჰკრა 12 საათი, გაისმა საყვირების ხმა და, თითქმის ჯადოქრული კვერთხის ერთი მოქნევით, გეგონებათ მიწიდან, მწყობრი რიგებით გამოვიდა ხალხი, გამოჩნდა მთელი ლენინგრადი, მთელი ლენინგრადის მოსახლეობა.

ამინდი ნამდვილი ლენინგრადულია, გვიანი შემოდგომის, ტემპერატურა +2°. თოვლი გუშინვე დადნა. ქუჩები და მოედნები ატალახებულია. ასეთ ამინდში ჩვენში თბილისში კარგი პატრონი ძაღლსაც კი არ გააგდებს ეზოში, ლენინგრადი კი ასეთ ამინდში გამოდის სამხიარულოდ, მღერის თავის ძლევამოსილ ჰიმნებს, უქმობს თავის დიად ოქტომბერს.

— ვიცით ჩვენ, თუ როგორ გამოდის ის: გამოდის იმიტომ, რომ მას უბრძანებენო—მესმის ჩვენი თბილისელ პესიმისტების წუწუნი:

არა, ეს სწორი არ არის, არ შეიძლება ბრძანებით, იძულებით იმხიარულო ისე, როგორც მხიარულობს დღეს ლენინგრადის მოსახლეობა, არ შეიძლება ბრძანებით აიძულო ხალხი იმხიარულოს ისე გულწრფელად, ისე უდარდელად, როგორც დღეს ლენინგრადის მოსახლეობა მხიარულობს. მე განგებ არ ვიხმარე სიტყვა პროლეტარიატი, რადგან აქ არა თუ პროლეტარიატია, არამედ აქ მთელი ლენინგრადია, მთელი მისი მოსახლეობა. შემცდარი არიან პესიმისტები და ეს უკეთესად მართლდება იმით, რომ ხალხი არა თუ საკუთარი სურვილით გამოვიდა ამ ზეიმზე, არა მარტო თვით დღესასწაულობს თავის დიად ოქტომბერს, არამედ ქუჩაში თავისი უსუსური ბავშვებიც კი გამოუყვანია. მე არა ერთი ათასი დედა ვნახე ძუძუმწოვარა ბავშვებით ხელში, მე მრავალი ასი მამა ვნახე პატარა ბიჭუნებით მხარზე. ეს შეწითლული, მხიარული, მოკისკისე ბიჭუნებიც ისევე გაიძახოდენ დიადი ოქტომბრის საპატივცემო დიად ლოზუნგებს, ისევე იღიმებოდენ და ისევე უქნევდენ პაწაწინა ხელებს ტრიბუნაზე მდგომ ბელადებს, როგორც მათი მამები. ეს ყველა [illegible] ამტკიცებს იმას, რომ მუშათა ოჯახები ემზადებოდენ ოქტომბრისათვის. ეს ზედმეტჯერ ამტკიცებს იმას, რომ ოქტომბერი უკვე შეუსისხლხორცდა მუშის ოჯახს, უკვე შეიჭრა მის გულში. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსი მუშა შეუთვისდა თავის ოქტომბერს, ის უკვე შეეზარდა მას და საკუთარი სიცოცხლის ფასით დაიცავს თავის ოქტომბერს ისევე, როგორც მორწმუნე საუკუნეების განმავლობაში იცავდა თავის სარწმუნოებას, თავის ზნე-ჩვეულებას.

კიდევ ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი წვრილმანი. ლენინგრადელი მუშის სულიერ განწყობილებაში ადვილად შევამჩნევთ რაღაც განსაკუთრებულს. მის სახეზე თქვენ ამოიკითხავთ საკუთარი ძლიერების შეგრძნობას, მისი პირადი ღირსების შეგნებას. ლენინგრადელ მუშას, როგორც სჩანს, კარგად ახსოვს თავისი როლი დიდ რევოლიუციაში, და ჩვენც, ყველა პროვინციელებმა, უნდა ვაღიაროთ ლენინგრადელი მუშის ეს უფლება. პროვინციაც მუშაობდა რევოლიუციის გამარჯვებისათვის, ამზადებდა მის ზეიმს. მაგრამ ისტორიის გორდიის კვანძის გადაჭრა, მთელი ქვეყნის ჩაგრულთა საუკუნოებრივი ოცნების განხორციელება წილად ხვდა მხოლოდ ლენინგრადელ მუშას. ის იყო, რომ შეიარაღებული ხელით დაამხო მტარვალი; ის იყო, რომ საკუთარი ფეხით დასრისა ორთავიანი არწივი, რომელიც სჯიჯგნიდა ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერების გულს, და იმ დროს, როცა ჩვენ, კავკასიელებმა, მივიღეთ სასიხარულო ცნობა იმის შესახებ, რომ „მთავრობაძე გარდაიცვალა“-ო, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ხმამაღლა არ შეგვეძლო ამ სიტყვების წარმოთქმა, აი ამ დროს პეტროგრადელი მუშა უკვე ზეიმობდა თავის უდიდეს გამარჯვებას თვითმპყრობელობაზე, და განა გასაკვირია ყველა ამის შემდეგ, რომ ის გრძნობდეს თავს დიდი რევოლიუციის, დიდი ოქტომბრის ნამდვილ ბელადათ, გრძნობდეს დღევანდელი მისი ზეიმის ბატონ - პატრონად? და იგონებთ რა მსოფლიოში უდიდესი ამბების დღეებს, იგონებთ რა პეტერბურგის პროლეტარიატის როლს ამ დღეებში, თქვენ ძალაუნებურად სტუმრად გრძნობთ თავს დიდი რევოლიუციის შემოქმედებთან, ოქტომბრის ნამდვილ ბატონ - პატრონებთან.

ამ ძალთა უდიდეს დემონსტრაციაში, ვიმეორებ, მონაწილეობას ღებულობდა მთელი ლენინგრადის მოსახლეობა. დღის 12 საათზე დაწყებული ზეიმი დასრულდა სრულ 4 საათზე, და დასრულდა იმიტომ, რომ ხალხს დიდ კოლონებით უშვებდენ, და უნდა გენახათ თავების ეს ზღვა, რომ დარწმუნებულიყავით ხალხის ძალასა და ძლიერებაში, იმ ხალხის, რომლის სვლაც მოგაგონებდათ გრანიტის სამეფო სამოსში გახვეულ ნევას. ეტყობოდა, რომ ლენინგრადის პროლეტარიატი ღრმად განიცდიდა ახლახან კეთილად დასრულებულ შინაპარტიული ბრძოლის ამბებს. ამას ამტკიცებდა მოზეიმო ხალხის საერთო სულიერი განწყობილება. ამასვე ამტკიცებდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი უამრავი პლაკატი. ათასობით პლაკატებზე ჩვენ ვკითხულობდით ლენინგრადის პროლეტარიატის ნება - სურვილს: **„ლენინის პარტია იყო და დარჩება მთლიანი“**. ასეთია ლენინგრადის პროლეტარიატის ნებისყოფა —კრონშტადტის ნებისყოფა. ეს გაისმის გამარჯვების შარავანდედით მოსულ „ავრორას“ ზარბაზნების გრიალში. ასეთი იყო დღის საჭირბოროტო ლოზუნგი. „ძირს ტროცკიზმი“ — გაისმოდა იმავე მეზღვაურების ხმა, რომელთაც დიდი ხანი არ არის, რაც ლ. დ. ტროცკიმ სამართლიანად უწოდა „რუსეთის რევოლიუციის სიამაყე და მშვენება“.

უარიბი.

ლენინგრადი, 7 ნოემბერი.

მემაღაროებმა შესწყვიტეს მოლაპარაკება მთავრობასთან

მუშები არ თანხმდებიან სამუშაო დღის გადიდებაზე

საკავშირო ცაკმა დაამტკიცა ლიტვასთან დადებული ხელშეკრულება

პილსუდსკიმ პრესისათვის შემოიღო სასჯელი „ყალბი ცნობების“ გავრცელებისათვის

მოლაპარაკება შეწყვეტილია

ვერ შეთანხმდენ

ლონდონი, 9 ნოემბერი. გუშინ მთელი დღე სწარმოებდა მოლაპარაკება კონფლიქტის მოსაგვარებლად. მთავრობის წარმომადგენლებთან პირველ თათბირში მემაღაროეთა ფედერაციის ალმასკომმა განაცხადა, **რომ მემაღაროეთათვის მიუღებელია მთავრობის წინადადებანი ეხლანდელი მათი ფორმით.** შემდეგ მთავრობის წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებთან. ამ დროს ფედერაციის ალმასკომს თათბირი ჰქონდა გენერალურ საბჭოს შუამავლობის კომიტეტთან. მაღაროს მეპატრონენი კვლავინდებურად გადაჭრით უარს აცხადებდენ „დაეცვათ რაიმე არგუმენტი, რომელსაც მთელი ინგლისის მასშტაბით შეთანხმების ხასიათი ექნება“.

შემდეგ დაიწყო მთავრობის წარმომადგენელთა მეორე თათბირი ფედერაციის ალმასკომთან. **უმთავრესი უთანხმოება წარმოიშვა სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხის შესახებ. თათბირმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.** მაღაროს მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მინიმუმი განსაზღვრულია იმით, რომ მემაღაროენი უნდა დასთანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე. **ფედერაციის ალმასკომმა გადაჭრით უარჰყო ეს პირობა.** მთავრობის წარმომადგენლებმა მაშინ განაცხადეს, რომ მათ სხვანაირად ესმით მემაღაროეთა პოზიცია: ისინი ფიქრობენ, რომ ფედერაციის ალმასკომი მზადაა დაიხიოს სამუშაო დღის გადიდების საკითხში. **ფედერაციის ალმასკომმა უარჰყო ასეთი განმარტება.** მემაღაროეთა პოზიციის ასეთი განმარტება მთავრობამ, ალბად გენერალურ საბჭოს შუამავლობის კომიტეტის განცხადების მიხედვით გააკეთა, რომელმაც ამ მხრივ გადააჭარბა თავის რწმუნებებს. **ამით დაიხურა თათბირი.**

მემაღაროები არ სთმობენ

ლონდონი, 9 ნოემბ. დღეს კუკმა და მემაღაროეთა ალმასკომის სხვა ბელადებმა განაცხადეს, რომ **ისინი შეურყეველნი იქნებიან სამუშაო საათების მომატების საკითხში.** ამას კუკმა დაუმატა, რომ ეს ისეთი საკითხია, რომელიც თვით დელეგატებმა უნდა გადასწყვიტონ.

მიტინგის აკრძალვა

ლონდონი, 9 ნოემბ. ისტკირკბუში აკრძალულ იქნა მიტინგი, რომელზედაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა პარლამენტის წევრს კომუნისტ საკლატვალას.

სტაპლფორდში აკრძალულ იქნა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო ტომა მანს.

მოლაპარაკება შეწყდა

ლონდონი, 9 ნოემბერი. მოლაპარაკება ქვანახშირის კრიზისის შესახებ თითქმის შუაღამემდი გაგრძელდა, რის შემდეგაც გადაიდო, ვინაიდან მემაღაროების ალმასკომმა გადასწყვიტა მოელაპარაკოს თავის მარწმუნებელთ. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია მოწვეულ იქნება ოთხშაბათს დილით. იუწყებიან, რომ გუშინდელ მოლაპარაკებაში უმთავრესი ადგილი ეჭირა საკითხს სამუშაო საათების შესახებ. თუმცა მაღაროს მეპატრონენი უარს აცხადებენ ხელი მოაწერონ ისეთ დოკუმენტებს, რომელსაც ეროვნული მაშტაბის შეთანხმების ხასიათი ექნება, მაგრამ მზად არიან ურჩიონ რაიონებს, რომ ხელფასის პროცენტულ მომატების მინიმუმი იყოს არა ნაკლებ 20%-ისა სტანდარტული განაკვეთების ზევით (შედარებით 33,$\frac{1}{3}$%-თან, რომელიც დაწესებული იქნა 1924 წ. შეთანხმებით და რომელიც ძალაში იყო გაფიცვამდე).

ახალი წინადადება სამუშაო ხელფასის შესახებ შეეფარდება იმ განაკვეთებს, რომელიც დაწესებული იყო 1921 წელში.

შემდეგ იუწყებიან, რომ უნდა მოხდეს სამუშაო საათების მომატება და რომ სამუშაო ხელფასის მომატება მინიმალურის ზევით დამოკიდებული იქნება იმ დათმობაზე, რომელსაც მემაღაროენი მოახდენენ სამუშაო საათების საკითხში. მემაღაროეთა ალმასკომი მეორეს მხრით მოითხოვს, რომ ყოველ რაიონში შვიდი საათის სამუშაო დღე მიღებულ იქნას, როგორც სტანდარტული საპროცენტო მინიმუმის გამორკვევის დროს ე. ი. იქ, სადაც მოხდება სამუშაო საათების რიცხვის მომატება, უნდა მოხდეს ადგილობრივი სამუშაო ხელფასის გადიდება 20%-ზე მეტად.

მემაღაროეთა ალმასკომი არ დასთანხმდა მიიღოს წინადადება სამუშაო დღის მომატების შესახებ, სანამ ამ საკითხს არ განიხილავს სადელეგატო კონფერენცია. (ადს).

ზარალი

ლონდონი, 9 ნოემბ. თემთა პალატის დღევანდელი სხდომის პირველი საკითხია იმ ზარალის საკითხი, რომელიც გამოიწვია მასის საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვამ. შრომის მინისტრმა კუნლაი ლისტერმა აღნიშნა, **რომ ზარალი უდრის 250—300 მილ. გირ. სტერლინგს; ამასთანავე ამ თანხაში არ შედის ის ზარალი, რომელიც გამოწვეულია ვაჭრობის დაშლით და კონტრაქტებისა და წესრიგის დარღვევით. ამ ზარალის რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია.**

მარშალის რეჟიმი

მუშების გამარჯვება

ვარშავა, 9 ნოემბერი. ვარშავის საავადმყოფო სალაროს არჩევნებში „მუშათა მემარცხენე ფრთამ“ მიიღო 21 მანდატი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ—16, ქრისტიანულმა—12 და „ბუნდმა“—5 მანდატი.

„მუშათა მემარცხენე ფრთამ“ 1923 წლის არჩევნებთან შედარებით 5 მანდატი მეტი მიიღო. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ დაჰკარგა 1 მანდატი, ქრისტიანულმა დემოკრატებმა დაჰკარგეს ათი მანდატი.

ბრძოლას არჩევნებში მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა. მუშათა მემარცხენე ფრთა მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო სხვა პარტიებთან შედარებით საგიტაციო მუშაობის პირობების მხრივ, ვინაიდან პოლიციამ საარჩევნო კამპანიის პირველი დღიდანვე მუშათა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა დაიწყო. **პოლიციამ დააპატიმრა 200 კაცი. აქედან მეტ ნაწილს შეადგენენ მუშათა მემარცხენე ფრთის აგიტატორები.**

(ადს).

სავაჭრო გემები

ვარშავა, 9 ნოემბერი. **პოლონეთის მთავრობა საფრანგეთში ყიდულობს ხუთ სავაჭრო გემს, რომელთა საერთო ტონაჟი 15.000 ტ. უდრის.**

სამი გემი უკვე მზადაა და ახლო ხანში ჩავლენ გდანსკში. (ადს).

პრესის დასჯა

ვარშავა, 9 ნოემბერი. გამოქვეყნდა პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც შეეხება პრესის დასჯას „ყალბი ცნობების გავრცელებისა და ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების შეურაცყოფისათვის“.

დეკრეტის გამოქვეყნებას მთელი პრესა, ოფიციალური პრესის გამოკლებით, აღშფოთებით შეხვდა. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დეკრეტის გამოქვეყნების მიზანია აუკრძალოს პრესას ყოველგვარი სხვა ცნობების მოთავსება გარდა ოფიციალურ სააგენტოების ცნობებისა. (ადს).

სათათბირო კომიტეტი

ვარშავა, 9 ნოემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა დებულება მინისტრთა საბჭოს ეკონომიურ კომიტეტთან მუდმივ სამეურნეო სათათბირო კომიტეტის შექმნის შესახებ. თავმჯდომარედ დაინიშნა მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ვერჟბიცკი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო **„რაბოტნიკ“** სწერს: **„სათათბირო კომიტეტის შექმნა მოწმობს იმას, რომ მთავრობის დაახლოვება მრეწველებთან შორს მიდის“.** (ადს).

საბჭოთა პრესა

სამი წყარო

ვლაპარაკობთ იმ წყაროებზე, საიდანაც უნდა მივიღოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო საშუალებანი. ამ მიზნით უცხოეთიდან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სესხის აღების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ვერც ფართე ემისიას მივმართავთ, რამდენად ამ გზით ფულის სიმტკიცე შეირყევა და საფრთხე შეიქმნება სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. სამრეწველო მშენებლობის გაშლისათვის სხვა წყაროები უნდა ვეძიოთ. **„რაბოჩაია გაზეტა“** ჩამოთვლის ასეთებს:

„პირველ და მთავარ წყაროს წარმოადგენს შინასამრეწველო დაგროვება, სხვა სიტყვებით,—მოგება, რომელიც აქვს თვით მრეწველობას. ეს მოგება წლიდან-წლამდე იზრდება. 1923—24 წ. მრეწველობამ მოგვცა მოგება 105 მილიონი, შემდეგ წელში—305 მილ., 1925—26 წ.—ნახევარ მილიარდამდე. მრეწველობის მოგება აუცილებლად უნდა გაიზარდოს. ყოველი გაუმჯობესება ტეხნიკაში, თვითეულ ახალ დაზგის ამუშავება, წარმოების რაციონალიზაცია, შრომის სწორი ორგანიზაცია, მომჭირნეობის რეჟიმი—ყველაფერი ეს მიმართულია იქითკენ, რომ მრეწველობის შემოსავლიანობა გადიდდეს.

მაგრამ თვით მრეწველობის მოგებათა გარდა, ინდუსტრიალიზაციის შეიძლება მოხმარდეს ის საშუალებები, რომლებსაც იძლევა მეურნეობის სხვა დარგების შემოსავალი. დღემდეც საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მრეწველობას აძლევდა უფრო მეტს, ვინემ მრეწველობას შეჰქონდა ბიუჯეტში. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მრეწველობამ სახ. სალაროიდან მიიღო 733 მილიონი მეტი, ვინემ თვითონ შეიტანა. მომავალში, სახ. ბიუჯეტი, რომელიც წლიდან-წლამდე იზრდება. სულ უფრო მეტ თანხებს მოიხმარს მრეწველობა.

მეორე წყარო, რომლითაც შეიძლება სარგებლობა, მაგრამ სუსტად ვსარგებლობდით, ესაა—მოსახლეობის დაგროვებათა მოზიდვა კოოპერაციაში, შემნახველ სალაროებში, სახელმწიფო სესხებში და სხ. ეს საქმე დღემდე ცუდადაა დაყენებული. განვლილმა წელმა ამ მხრივ ერთგვარი გარდატეხის ნიშნები გამოაჩინა, დაიწყო ანაბარების დენა შემნახველ სალაროებში, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის და სოფლის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად, თუ ეს საქმე რიგიანათ დავაყენეთ, მოსახლეობის წვრილი დაგროვებანი ბლომად შემოვა შრომითი სალაროებში“.

შინასამრეწველო დაგროვება, მეურნეობის სხვა დარგების შემოსავალი და მოსახლეობის თავისუფალი თანხები—აი სამი წყარო, რომლებიც მოგვცემენ საშუალებებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. თავის თავად ცხადია, რომ ამ საშუალებათა შეგროვების დროს ჩვენ ყოველთვის უნდა გამოვდიოდეთ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცების დირექტივიდან და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ვაწარმოოთ ამ კავშირის ნიადაგზე. სწორედ ამიტომ უარჰყო პარტიამ ოპოზიციის წინადადებები სამრეწველო საქონელზე ფასების მომატების და გლეხობის გადასახადებით გადაჭარბებულად დაბეგვრის გზით ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების შესახებ, ვინაიდან ეს წინადადებები ძირს უთხრიან პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველს—მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ლიტვა - საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია

მოსკოვი, 9 ნოემბ. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა 5 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირისა და ლიტვის შორის დადებული ხელშეკრულება.

გენ. ნობილეს მადლობა

მოსკოვი, 9 ნოემბ. იტალიელმა გენ. ნობილემ, რომელიც მეთაურობდა ამუნდსენის უკანასკნელ ექსპედიციას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, უღრმესი მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას, სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოს, საჰაერო სამხედრო ძალების უფროსს, ავიახიმს და სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს იმ სტუმართმოყვარეობისათვის და დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს ამუნდსენის ექსპედიციას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნის დროს.

„ჩემს ახალ გადაფრენას იაპონიაში,— სწერს ნობილე, — რომელიც განზრახული მაქვს მომავალი წლის დასაწყისში, მე მოვახდენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიით“.

შეთანხმების პირობები

ლონდონი 9 ნოემბერი. შაბათს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს სამთამადნო მუშათა ფედერაციის ალმასკომმა პირობითად თანხმობა გამოსთქვა კონფლიქტის მოწესრიგებაზე რაიონულ შეთანხმებების გზით, მაგრამ ამავე დროს წამოაყენა მოთხოვნილება რაიონულ შეთანხმებებში ზოგიერთი საერთო პრინციპების შეტანის შესახებ. სამთამადნო მუშათა ალმასკომის წინადადებები გამოიხატება შემდეგში: **1) სამუშაო ხელფასის საერთო სახელმწიფოებრივი მინიმუმი** (ე. ი. მინიმუმი საერთო ინგლისის მასშტაბით ყველა კატეგორიის მუშებისათვის 1914 წლის ძირითად განაკვეთებზე პროცენტული დამატებით), **სამუშაო ხელფასის მინიმუმი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს 7 საათის სამუშაო დღის საფუძველზე; 2) 7 საათის სამუშაო დღის პრინციპი ვრცელდება ინგლისის საერთო მასშტაბით, ხოლო რაიონებს უფლება აქვთ მოაწესრიგონ ეს საკითხი ადგილობრივ მასშტაბით; 3) სამუშაო ხელფასის იმ საარსებო მინიმუმის შენარჩუნება, რომელიც არსებობდა აპრილში** (ლაპარაკია ზოგიერთ განსაკუთრებით ჩამორჩენილ კატეგორიის მუშათა სამუშაო ხელფასის მინიმუმზე, რომელიც უნდა განისაზღვროს არა პროცენტებით, არამედ ფულის განსაზღვრულ თანხით; **4) სანახშირო მრეწველობის შემოსავლის მტკიცე პროპორციით განაწილება სამუშაო ხელფასზე და მოგებაზე: შემოსავლის 87 პროცენტი სამუშაო ხელფასზე და 13—მოგებაზე; 5) რაიონულ შეთანხმებების კოორდინაცია ნაციონალურ ტრიბუნალთან.**

სამთამადნო მუშათა ფედერაციის ალმასკომთან შეხვედრის და აგრეთვე მაღაროს მეპატრონეებთან თათბირის შემდეგ, მთავრობამ შეიმუშავა კონკრეტიული წინადადებები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნენ რაიონულ შეთანხმებებში. მთავრობის წინადადებები მდგომარეობს შემდეგში: 1) საერთო სახელმწიფოებრივ მინიმუმის დაწესება 1914 წლის ძირითად განაკვეთებზე 1921 წლის შეთანხმებაში გათვალისწინებულ პროცენტულ დამატებით (ე. ი. 20 პროცენტი 33-ის მაგიერ, რომელიც დაწესებული იყო გაფიცვამდე). ეს მინიმუმი დაწესებულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად სამუშაო დღის ხანგრძლივობისა; 2) სანახშირო მრეწველობის შემოსავლის განაწილების პროპორცია უნდა უდრიდეს 87 პროც. სამუშაო ხელფასზე და 13—მოგებაზე ან 85 სამუშაო ხელფასზე და 15—მოგებაზე ადგილობრივ პირობების მიხედვით; 3) სანახშირო მრეწველობის შემოსავლის განაწილების არსებული მეთოდის დატოვება; 4) განსაკუთრებით ჩამორჩენილ კატეგორიის მუშების საარსებო მინიმუმის შენარჩუნება; მინიმუმის რაოდენობა შემდეგში უნდა იქნეს გამორკვეული; 5) საერთო შეთანხმების უქონლობის გამო, თვითეული რაიონი პრემიერს აძლევს გარანტიას საერთო პრინციპების განხორციელების შესახებ.

ამგვარათ სამთამადნო მუშების და მთავრობის წინადადებები განსხვავდება ერთი მეორისაგან სამუშაო ხელფასის საერთო მინიმუმის, საარსებო მინიმუმის და ნახშირის მრეწველობის შემოსავლის განაწილების საკითხებში და აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთავრობის წინადადებებში არაფერია ნათქვამი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ. ამ წინადადებების თანახმად ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს რაიონების მიერ, მაშინ, როცა სამთამადნო მუშები გადაჭრით მოითხოვენ 7 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებას ინგლისის საერთო მასშტაბით და აგრეთვე სამუშაო ხელფასის მინიმუმის გამოანგარიშებას 7 საათის სამუშაო დღის საფუძველზე.

გარდა ამისა მთავრობა არაფერს ამბობს რაიონულ შეთანხმებების კოორდინაციისათვის საერთო სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნაზე თუნდაც ეროვნულ საარბიტრაჟო ტრიბუნალის სახით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროს მეპატრონეები წინათ დიდ წინააღმდეგობას უწევდენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნის იდეას და რომ მთავრობა თანახმა იყო გაეტარებია ტრიბუნალის დაარსება საკანონმდებლო წესით.

ინგლისის მაღაროს მეპატრონეთა ცენტრალურ ასოციაციამ მთავრობის წინადადებები განსახილველად გადასცა რაიონულ ასოციაციას.

სამთამადნო მუშათა ფედერაციის ალმასკომს სხდომა ექნება დღეს, 8 ნოემბერს. (ადს).

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 9 ნოემბერი. დღეს გრძელდებოდა საკითხის განხილვა შინაიმპერიულ ურთიერთობის შესახებ. ეს საკითხი კონფერენციაზე დასვა ოკეანეს იქითა ქვეყნების პრემიერებმა. შესდგა აგრეთვე ხელშეკრულებების დამდებ ქვეკომისიის სხდომა.

მომავალი კვირის მეტი ნაწილი მოუნდება კომისიების მუშაობას. კონფერენციის პლენარული სხდომა, როგორც გამოირკვა, პარასკევამდე არ შესდგება. ამ სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნება რამოდენიმე მოხსენება საერთო ტეხნიკური საკითხების შესახებ. სამი ასეთი მოხსენება განხილულ იქნება დღეს ეკონომიურ კომისიის მიერ, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს. ერთერთ ამ მოხსენებაში აღნიშნული იქნება ის ზომები, რომელიც აუცილებელია სანაოსნო წყლების გასასუფთავებლად გემების ნავთისა და ზეთისაგან. მეორე მოხსენებაში გაშუქებულ იქნება ის საკითხები, რომელიც ბრიუსელის კონვენციის მიხედვით საზღვაო კანონმდებლობას შეეხება. მესამე საკითხი შეეხება საქონლის დაფასებას საბაჟო მიზნებისათვის. სატყეო კომისიამ დაამთავრა მუშაობა და ის ადგენს მოხსენებას მსოფლიო სატყეო მარაგის საკითხის შესახებ, რომელიც გადაჭრილი უნდა იქნეს ექსპლოატაციისათვის გამოსადეგ ტყეების რაოდენობის მიხედვით. ამ კომისიამ შეიმუშავა რბილი ჯიშის ხე-ტყის გამოკვლევის გეგმა. განხილულ იქნა აგრეთვე ხე-ტყის ეხლანდელ რესურსების შენარჩუნების ზომები. მოხსენება, რომელიც შეიცავს ღონისძიებებს ამ საკითხების მოსაგვარებლად შეეხება იმ საიმპერიო სატყეო კონფერენციის პროგრამას, რომელიც მოწვეული იქნება ავსტრალიაში ან ახალ ზელანდიაში 1928 წელს. ეს მოხსენებები და აგრეთვე სხვა საკითხები უნდა მოიწონოს საიმპერიო კონფერენციამ.

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

ბერლინი, 9 ნოემბერი. **ბრიანმა იტალიის ელჩთან ავეცანოსთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ საკმაო არ არის იტალიელთა განმარტება ვენტიმილიეში მომხდარი ინციდენტების შესახებ და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა.** ელჩის დაპირებამ, რომ იტალიის პრესას მიეცემა წინადადება, ტონის შერბილების შესახებ საფრანგეთის მიმართ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და როგორც ფიქრობენ ეს გამოიწვევს საფრანგეთ - იტალიის ურთიერთობის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია საფრანგეთის დღევანდელი დილის პრესის ზომიერი ტონი. (ადს).

სკანდინავიის პროფკავშირებში

ოსლო, 9 ნოემბერი. **ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების პრეზიდიუმმა დაადგინა მიიწვიოს საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო სკანდინავიის და ბალტიის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენციაზე, თუ ამას მოითხოვს კონფერენციის მონაწილე რომელიმე ქვეყნის პროფკავშირთა ცენტრალური ორგანიზაცია.** ასეთი მოთხოვნილება უკვე წარადგინეს ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანებამ და ჩრდილოეთ შვეციის პროფკავშირთა ორგანიზაციამ.

მოჭადრაკეთა შეჯიბრება

სტოკჰოლმი, 8 ნოემბერი. შვეციის მოჭადრაკეთა კლუბში გაიხსნა სტოკჰოლმ-ლენინგრადის მოჭადრაკეთა ტურნირი. (ადს).

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი. საჭადრაკო შეჯიბრი სტოკჰოლმ-ლენინგრადს შორის დამთავრდა ლენინგრადის გამარჯვებით. ლენინგრადმა მოიგო 12 ნახ. პარტია, სტოკჰოლმმა კი—11. ლენინგრადს მიუსაჯეს ვერცხლის დიდი თასი. სტოკჰოლმის მოჭადრაკეებმა გამარჯვებულთა საპატივცემულოდ ბანკეტი გამართეს. პრესა არაჩვეულებრივად დიდ ყურადღებას უთმობდა შეჯიბრს. (ადს).

დახმარება უმუშევართ

ბერლინი, 9 ნოემბერი. ვოლფის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ რეიხსტაგმა მიიღო სოციალ-დემოკრატების წინადადება უმუშევართა დახმარების 30 პროცენტით გადიდების შესახებ. სოციალ-დემოკრატების წინადადებას, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ხმა მისცეს კომუნისტებმა, ნაციონალისტებმა და ტევტონელებმა.

შრომის მინისტრმა ბრაუნსმა განაცხადა, რომ **სოციალ-დემოკრატების წინადადების ცხოვრებაში გატარება ძნელი იქნება.** (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩაჩანაკებული ლომი

საიმპერიო კონფერენცია ს, რომელზედაც დომინიონებმა მოითხოვეს სრული დამოუკიდებლობა სა შინაო და საგარეო საქმეებში, ევროპის პრესა აფასებს როგორც ინგლისის ძლიერების აღსასრულის დასაწყისს. (დეპეშებიდან).



შარიძე მ.

მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 9 ნოემბერი. როგორც ვიცით 7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ცეკას წარმომადგენლები უნდა გამგზავრებულიყვენ ინგლისის მემაღაროებთან გაერთიანებულ თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო 10 ნოემბრისთვის. მაგრამ, საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ცეკას წარმომადგენლებმა გამგზავრების წინ ინგლისიდან მიიღეს ცნობა, რომ **რადგან ინგლისის მემაღაროეთა ბრძოლამ გადამწყვეტ მომენტს მიაღწია, ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენლებს შესაძლებლობა არა აქვთ დანიშნულ დროისთვის თათბირს დაესწრონ.**

ინგლისის მემაღაროეთა ფედერაცია აუცილებლათ სცნობს, რომ თათბირის მოწვევა ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა მთლიანობის კომიტეტის შექმნის შესახებ გადატანილ იქნას შემდეგ დროისთვის. (ადს).

მშრომელთა კონგრესის მოწვევა გერმანიაში

ბერლინი, 9 ნოემბ. მშრომელთა კონგრესის მოსამზადებელ კომიტეტში წარმოდგენილი ორგანიზაციების დავალებით ჩვენ 3, 4 და 5 დეკემბრისთვის ბერლინში ვიწვევთ მშრომელთა კონგრესს.

დღიური წესრიგი შემდეგია: **1) ომის საშიშროება, რაციონალიზაციის კრიზისი და მშრომელი ხალხის ბრძოლა არსებობისათვის** — მომხსენებელია რეიხსტაგის წევრი და კომიტეტის თავმჯდომარე ფრიც ჰეკერტი; **2) საერთო ბრძოლის ფრონტი წარმოების მუშებს და უმუშევართ შორის** — მომხსენებელია უმუშევართა კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე იოზეფი; **3) ხელოსნებისა და ღარიბ გლეხკაცობის გაჭირვება,** — მომხსენებელია რეიხსტაგის წევრი კონენი და მშრომელ მეურნეების კავშირის თავმჯდომარე ერსტ პეცი; **4) საგადასახადო პოლიტიკა,** — მომხსენებელია რეიხსტაგის წევრი ჰოელაინი; **5) ხალხის ჯანმრთელობის განადგურება ზედმეტი მუშაობითა და მასსიური უმუშევრობით,** მომხსენებელია დოქტ. კლაუბერი; **6) ორგანიზაციული ამოცანები.** დელეგაციის გამოგზავნის უფლება აქვს გერმანიის მშრომელი მოსახლეობის ყველა ორგანიზაციებს, როგორც ცენტრალურ, სარაიონო და საუბნო გამგეობებს, ისე ყველა მუშათა, მოსამსახურეთა და მოხელეთა ორგანიზაციების წევრთა კრებებს, პროფკავშირებს, კოოპერატივებს, უმუშევართა ორგანიზაციებს, საწარმოო საბჭოებს და მათ პლენუმებს; შემდეგ სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ, რესპუბლიკურ, პაციფისტურ და ქრისტიან-სოციალისტურ ორგანიზაციებს, პარტიებსა და ლიგებსა, ფრონტის მებრძოლთა კავშირებს; შემდეგ კულტურულ და სპორტიულ კავშირებს, ომის მსხვერპლთა, ჯანმრთელობის და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, გლეხკაცობის ორგანიზაციებს, ქალაქის, თემის და სოფლის გამგეობებს.

მშრომელთა კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფრიც ჰეკერტი.**

ბერლინი, 9 ნოემბ. ბერლინ-ბრანდენბურგის, ჰალეს და ჰამბურგის უმუშევართა კონფერენციების დავალებით ჩვენ 1 და 2 დეკემბრისთვის ბერლინში ვიწვევთ უმუშევართა პირველ სრულიად გერმანიის საერთო კონფერენციას.

დღის წესრიგი შემდეგია: **1) მასსიურ უმუშევრობის მნიშვნელობა გერმანიის მუშათა კლასისთვის და ბრძოლა მუშაობისა და პურისთვის,** მომხსენებელია რეიხსტაგის წევრი ვილჰელმ პიკი; **2) უმუშევართა სოციალ-პოლიტიკური და უფლებრივი კითხვები და მოთხოვნილებები,** მომხსენებელია მაქს ფრენტელი; **3) ორგანიზაციული ამოცანები და სრულიად გერმანიის უმუშევართა კომიტეტის არჩევა.** მონაწილეობის უფლება აქვთ მშრომელთა კონგრესის ყველა დელეგატებს, რომელნიც უმუშევრებს წარმოადგენენ და გერმანიის უმუშევართა საოლქო და სარაიონო კომიტეტების წარმომადგენლებს.

ბერლინ-ბრანდენბურგის უმუშევართა კომიტეტის თავმჯდომარე **ფრიც ფილიპი.**

ვილჰელმი

პარიზი, 9 ნოემბ. „ბრიტიშ იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით, ყოფილი კაიზერი ვილჰელმი დოორნის (ჰოლანდია) დატოვებას და გერმანიაში დაბრუნებას აპირებს.

არჩევნები საბერძნეთში

ათინა, 8 ნოემბ. საპარლამენტო არჩევნები რესპუბლიკანური ჯგუფის მნიშვნელოვანი გამარჯვებით დამთავრდა. მონარქისტებმა შეაგროვეს მთელი ხმების არა უმეტეს 20 პროც-ისა.

შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს, რომ მთავრობა შედგენილ იქნება რესპუბლიკანელ-ლიბერალთა ბელადის კაფანდარისის მომხრეთაგან და **ვენიზელოსი დაბრუნდება საბერძნეთში და დაიჭერს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას,**

ჯილდო მოღალატეს

ლონდონი, 9 ნოემბ. ოქსფორდის უნივერსიტეტმა დღეს მუშათა პარტიის ბელადს ტომასს მიანიჭა სამოქალაქო უფლების დოქტორის საპატიო სახელწოდება. ეგრედ-წოდებულმა „საზოგადოებრივმა ორატორმა“ ლათინურად წარმოსთქმულ შესავალ სიტყვაში ტომასი დაახასიათა, როგორც ერთი იმათთაგანი, „რომელმაც თავისი ცხოვრება გაატარა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში და, რომელიც ცნობილია თავისი ზომიერებით და სამართლიანობის გრძნობით“.

დანიის პალატაში

კოპენჰაგენი, 8 ნოემბერი. დანიის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ რადგანაც მთავრობის პროექტი დანიის მრეწველობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მთავრობისათვის მისაღებ ფორმაში არ განხორციელდა, **ქვედა პალატა გაშვებულ იქნება 1 დეკემბერს, ახალი არჩევნები დანიშნული იქნება 2 დეკემბრისათვის.** (ადს).

გამოფენა თეირანში

თეირანი, 8 ნოემბერი. გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **შაჰმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის იურიევის თანხლებით დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი.** (ადს).

უ-პეი-ფუს გადაყენება

პეკინი, 9 ნოემბერი. უ-პეი-ფუს ჩამოერთვა ჩჟილის ჯარების უფროსობა და გადაეცა ცაო-კუნს, რომელსაც 1922 წლიდან 1924 წლამდე ეჭირა პრეზიდენტის თანამდებობა. უ-პეი-ფუს გადაყენება აიხსნება ერთი მისი გენერალის ინტრიგებით, რომელმაც უარი სთქვა ბრძოლაზე უ-პეი-ფუს მეთაურობით.

ფუძიანის ჯარები უკან იხევენ

პეკინი, 9 ნოემბ. ფუძიანის ჯარები მთელს ფრონტზე უკან იხევენ. 2 ნოემბერს მათ დასტოვეს ჩან-პინი 120 კილომეტრის მანძილზე ცზიანსის პროვინციის აღმოსავლეთით.

ურთიერთობა იაპონიასთან

გუშინ იაპონიიდან თბილისში ჩამოვიდა იაპონიის ხანაოსნო საზ-ბა „კავასაკი“-ს წარმომადგენელი და უსურიის რკინისგზის ვლადივასტოკის კომერციული სააგენტოს პირდაპირ მიმოსვლის ბიუროს თანამშრომელი—მოქ. **გომამოტო.**

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს მოქ. **გომამოტომ** განაცხადა შემდეგი:

— ჩემი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გაცნობა. განსაკუთრებით მაინტერესებს მე ესპერანტისტული მოძრაობა საბჭოთა კავშირში, რადგან მე თვითონ ესპერანტისტი ვარ.

რაც შეეხება იაპონიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობას, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ურთიერთობა უკანასკნელ ხანებში მეტად განმტკიცდა.

უკვე გადაწყვეტილია საკითხი პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ იაპონიასა და შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის. მომავალი წლიდან იაპონიის გემები ესტუმრებიან ოდესას და ბათომს.

ხანაოსნო საზ-ბა „კავასაკი“, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, ერთერთი უდიდესი საზოგადოებაა მთელს მსოფლიოში. მას ჰყავს 100 მეტი სამგზავრო და საბარგო გემი. ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული უსურიის რკინისგზის სამმართველოსთან, რომლის ძალით ვაწარმოებთ მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას ვლადივასტოკიდან იაპონიაში.

იაპონიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ხელს უწყობს რუსეთ-იაპონიის საექსპორტო საზოგადოება, რომელიც მოეწყო მიმდინარე წლის იანვარში. საზოგადოების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ იაპონიის ცნობილი სავაჭრო-სამრეწველო ფირმები,

საზოგადოება იკვლევს საკითხს, თუ როგორ შეიძლება იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის კიდევ უფრო გაფართოვება და აწყობს სხვადასხვა გამოფენებს; მაგალითად, საზოგადოების მიერ ქალაქ ოსაკაში, იაპონიის სავაჭრო და სამრეწველო ცენტრში, მოწყობილია რუსეთის ნაწარმოების გამოფენა, რომლის საშუალებით იაპონიის მოსახლეობა ეცნობა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების და შინამრეწველობის პროდუქციას.

ამჟამად საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში გააქვთ უმთავრესად სატყეო მასალა, რომლითაც მეტად მდიდარია ციმბირი. იაპონიიდან კი შემოდის სამკურნალო მცენარეები, ქაღალდი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვა.

საუბრის ბოლოს მოქ. გომამოტომ ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა ზოგიერთი ცნობები რუს თეთრგვარდიელთა მდგომარეობის შესახებ იაპონიაში.

— იაპონიაში ამჟამად იმყოფება „ცნობილი“ ატამანი **სემიონოვი,** რომელიც ერთ დროს კოლჩაკის ჯარებში იბრძოდა. მან თავი დაანება პოლიტიკას და კომერციას მიჰყო ხელი. გახსნა სავაჭრო კანტორა და ვაჭრობას აწარმოებს მონღოლეთთან.

ემიგრანტების დიდი უმრავლესობა იაპონიაში დიდ გაჭირვებას განიცდის. ისინი ფეხზე ვაჭრობას ეწევიან, მაგრამ ეს ხელობა მათ ძალიან ცოტას აძლევს. უკანასკნელ ხანებში დაიწყო ემიგრანტების მასიური გადასახლება კანადაში.

* * *

მოქ. გომამოტო თბილისში დარჩება რამდენიმე დღე. აქედან ის შავი ზღვით მიემგზავრება ოდესაში, საიდანაც ჩავა ლენინგრადში.

დღის ცნობები

22 კომუნისტი და 7 რეფორმისტი

პარიზი, 8 ნოემბერი. სამშენებლო, მექანიკური, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობისა და ვაჭრობის პარიტეტულ სამედიატორო კამერაში მუშათა მხრივ არჩეული იქნენ 22 კომუნისტი და 7 რეფორმისტი.

ფრანკიმ „შეასრულა“ თავისი მისია

პარიზი, 9 ნოემბერი. ფრანკის გადადგომა, როგორც ბრიუსელიდან იუწყებიან, ამ მოკლე ხანში ოფიციალურად გამოცხადდება. ფრანკი ფიქრობს, რომ მან შეასრულა თავისი მისია.

მარქსის კაბინეტი უმცირესობაშია

პარიზი, 9 ნოემბერი. უმუშევართათვის დახმარების რაოდენობის საკითხში მარქსის კაბინეტმა რეიხსტაგში უმცირესობა მიიღო. ნდობის საკითხი არ ყოფილა დასმული.

კონდილისის მაგიერ კაფანდარისი

პარიზი. 9 ნოემბერი. ათინიდან მიღებული ცნობით, არჩევნებში რესპუბლიკანელების გამარჯვების გამო გენერალმა კონდილისმა გადასწყვიტა ძალა-უფლება გადასცეს რესპუბლიკანელების ბელადს კაფანდარისს.

მინისტრის მოკვლის განზრახვა

ბერლინი, 9 ნოემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, პოლიციამ დაატუსაღა უცნობი პირი, რომელსაც უნდოდა ბელგიის იუსტიციის მინისტრის გიმანსის მოკვლა.

იაპონიის ბიუჯეტი

ბერლინი, 9 ნოემბერი. იაპონიის ახალი ბიუჯეტი ითვალისწინებს 1.000.570.000-იან შემოსავალს და 1.000.330.000-იან გასავალს, აქედან 212 მილ. არმიისათვის, 155 მილ. ფლოტისათვის.

უცხოეთში

ინდიელთა აჯანყება მექსიკაში

სექტემბერში მექსიკაში აჯანყდა ინდიელთა იაკის ტომი, რომელიც ბინადრობს მექსიკის ერთ-ერთ უმდიდრეს—სონორას შტატში. გარდა იმისა, რომ ეს შტატი განთქმულია თავისი მიწების ნაყოფიერებით, იგი მდიდარია აგრეთვე სპილენძის, ვერცხლის, ოქროსა და ტყვიის მადნებით.

სონორას შტატის ბუნებრივი სიმდიდრენი საკმაო საბაბი იყო იმისათვის, რომ მექსიკის კაპიტალისტებსა და მემამულეებს წაერთვათ იაკებისათვის მიწები, რომლებიც მათ საკუთრებას შეადგენდა უხსოვარ დროიდან. საშინელ დევნას განიცდიდენ იაკები 34 წლის განმავლობაში პრეზიდენტ დიაცის ბატონობის დროს, როცა მექსიკა მსხვილი მემამულეების და უცხოეთის კაპიტალის სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მილიონ ინდიელ-გლეხებს წაართვეს მათი მიწები და გადააქციეს ისინი უუფლებო მოჯამაგირეებათ. იაკის ტომის მიწები, კერძოთ, ხელში ჩაიგდო ამერიკელმა კომპანიამ „რიჩარდსონ ლენდ კომპანიმ“. ერთ-ერთმა უდიდესმა და უძლიერესმა სასოფლო-სამეურნეო ფირმამ მექსიკაში.

იმ „რევოლიუციონური“ გადატრიალების შემდეგ, რომელიც მოახდინეს გენერლებმა ობრეგონმა, კაიესმა და ხუერტამ იაკის ტომის საშუალებით, „რიჩარდსონ ლენდ კომპანიმ“ დაჰკარგა თავისი საუკეთესო მიწები სონორას შტატში. დიდძალი მიწებ იდაუბრუნდა ინდიელებს, მაგრამ მიწების ნაწილს დაეპატრონა ყოფ. პრეზიდენტი ობრეგონი.

ობრეგონი არ დაკმაყოფილდა მარტო იმით, რომ ხელში ჩაიგდო დიდძალი მიწები, მან მთლიანად ჩაიგდო ხელში, აგრეთვე, „გარბანტო“-ს (წვრილი მუხუდო) შინაური ბაზარი. „გარბანტო“ არის მთავარი პროდუქტი, რომელიც იაკებს მოჰყავს თავის ველებზე. „გარბანტო“-ზე სპეკულიაციით, ობრეგონმა მილიონები მოიგო და ათასობით გააკოტრა იაკები, რომელთა უმრავლესობა იძულებული შეიქნა მიეტოვებია თავიანთი მიწები.

დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე ინდიელებში მათთვის იმ დახმარების წართმევამ, რომელსაც, გენ. ხუერტას სიტყვიერი დაპირების თანახმად, აძლევდა მათ მთავრობა.

იაკების აჯანყების მეორე მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე სარწმუნოებრივი საკითხი. იაკები, რომლებიც უფრო მეტად, ვიდრე ინდიელთა სხვა ქრისტიანობამიღებული ტომები, იცავენ თავის ძველ სარწმუნოებრივ წესებს და ადათებს, მოექცენ კათოლიკური ქსენძების გავლენის ქვეშ. ამ უკანასკნელებმა შექმნეს მათთვის რაღაც ახალი შერეული სარწმუნოება. იაკების ახლანდელი მებრძოლი განწყობილება ნაწილობრივ აიხსნება კათოლიკური სამღვდელოების ფანატიკური პროპაგანდით. კათოლიკურ სამღვდელოებას კი საშინლად სძულს კაიესის მთავრობა.

იაკებ შორის საომარი განწყობილების ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მექსიკის მთავრობები, დაწყებული პრეზიდენტ მადეროდან (1911 წ.), აწვდიდენ იაკებს იარაღს იმ მიზნით, რომ გამოეყენებინათ ისინი აჯანყებული გენერლების წინააღმდეგ. როცა გენ. ხუერტა აუჯანყდა პრეზიდენტ ობრეგონს 1923 წ.), იაკები კვლავ იქნენ შეიარაღებული და იარაღითვე დაბრუნდენ თავის შტატში.

უკმაყოფილების ყველა ამ მიზეზებს და მღელვარების ხელის შემწყობ პირობებს ზედ ერთვის კიდევ ნაციონალური ჩაგვრა. „თეთრკანიანი“ კაპიტალისტები არ თვლიან ინდიელებს მექსიკის თანასწორუფლებიან მოქალაქეებად.

რამდენიმე თვის წინად დამოკიდებულება მთავრობასა და ინდიელებს შორის ძლიერ გამწვავდა. კონფლიქტის მოსაგვარებლად იაკის ტომის. მეთაურებსა და მთავრობის შორის სონორას შტატის მთავარ ქალაქში, ხორმოზილში, სწარმოებდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ გენ. ობრეგონი და გენ. მანსო, ადგილობრივი გარნიზონის უფროსი.

გავიდა რამდენიმე ხანი მოლაპარაკების გაწყვეტის შემდეგ და დაიწყო სამხედრო მოქმედება იაკებსა და მექსიკის მთავრობის ჯარებს შორის. სონორას შტატში გაიგზავნა ქვეითა ჯარი, კავალერია, არტილერია და აეროპლანები. ბრძოლა ახლა გრძელდება და ალბად კიდევ დიდხანს გასტანს, რადგან გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობენ ინდიელებს პარტიზანული ბრძოლის წარმოებაში.

ა. ზ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მანუფაქტურა ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 9 ნოემბ. 1926—27 წლის პირველ მეოთხედში ამიერ-კავკასიაში იგზავნება 39 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა. აქედან კოოპერაციას მიეცემა 31 ვაგონი, საფეიქრო სინდიკატს 8 ვაგონი. (ადს).

იტალიის დელეგაცია

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. ჩამოვიდა იტალიის მუშური ახალგაზრდობის დელეგაცია.

დელეგაცია ურიცკის მოედანზე დაესწრო დემონსტრაციას. დელეგაციამ ფინეთის სადგურის მოედანზე, ინახულა აგრეთვე ლენინის ახლად გახსნილი ძეგლი. (ადს).

აღმშენებელთა კავშირში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. აღმშენებელთა კავშირის ცეკას პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა, კავშირის ცეკას თავმჯდომარის ბოგდანოვის მოხსენება, აღმშენებელთა ინტერნაციონალის მე-7-ე კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც 16 სექტემბერს შესდგა შვეიცარიაში. კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ საბჭოთა კავშირის აღმშენებელთა კავშირი ინტერნაციონალში მიღებულ იქნება „მხოლოთ მაშინ, როდესაც მოსკოვსა და ამსტერდამს შორის არსებული უთანხმოებანი დაძლეულ იქნება და ორივე ცენტრი გაერთიანდება“. ამავე დროს კონფერენციამ დადგინა დელეგაცია გაგზავნოს ამერიკაში.

ამგვარათ აღმშენებელთა რეფორმისტული ინტერნაციონალი, უარყოფს ერთის მხრივ დასავლეთის რევოლიუციონურ მუშებთან თანამშრომლობას, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოთა რუსეთთან და ამავე დროს ცდილობს თავის რიგებში მიიღოს ამერიკის აღმშენებელთა კავშირების რეაქციონური ძალები.

საბჭოთა კავშირის აღმშენებელთა კავშირის ცეკას პლენუმმა დაადგინა, რომ მიუხედავათ აღმშენებელთა ინტერნაციონალის აშკარა რეაქციონურ და გამთიშველ პოლიტიკისა, ყოველგვარი ღონე უნდა ვიხმაროთ უცხოეთის აღმშენებელთა ფართო მასებში მთლიანობის მისაღწევათ.

პლენუმმა დადგინა, ხელახლა მოითხოვოს, რომ მოწვეულ იქნეს აღმშენებელ მუშათა ყველა არსებულ კლასიურ ორგანიზაციების მსოფლიო საერთაშორისო კონგრესი. (ადს).

ოქტომბრის ზეიმი

უცხოეთში

პარიზში

პარიზი, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის დღეს შრომის უნიტარული კონფედერაციის თაოსნობით ყველგან მოეწყო მანიფესტაციები. მანიფესტაციები დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა, განსაკუთრებით კი პროლეტარულ ცენტრში. ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავის დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში პარიზში შესდგა მიღება, რომელსაც რამდენიმე ასეული კაცი დაესწრო, მათ შორის საფრანგეთის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ჟურნალისტების წრეების წარმომადგენლები.

საბჭოთა კოლონიის მიერ მოწყობილ საღამოზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში ამხ. **რაკოვსკიმ** გააკეთა მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წელში. საღამოზე აჩვენეს კინოფილმა „ჯავშნოსანი პოტიომკინი“.(ადს)

რომში

რომი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავზე **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში 7 ნოემბერს შესდგა საზეიმო დარბაზობა,** რომელზედაც დაესწრო იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბორდონარო, დიპლომატიური კორპუსის წევრები და პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

ჰელსინგფორსში

ჰელსინგფორსი, 8 ნოემბ. 7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლის შესრულების გამო **შესდგა საზეიმო დარბაზობა.** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ლორენცმა მიიღო მთელი რიგი მისალმებათა, მათ შორის ფინეთის პრეზიდენტისაგან.

პრაღაში

პრაღა, 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს **პრაღაში შესდგა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მიერ მოწყობილი დიდი მიტინგი** ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავის შესრულების გამო. იმავე დღეს შესდგა საბჭოთა სტუდენტებისა და საბჭოთა კოლონიის საზეიმო სხდომა.

7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა დარბაზობა, რომელსაც დაესწრენ ყველა იმ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენელნი, რომელნიც დიპლომატიურ ურთიერთობაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირთან; დაესწრენ აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი და სხ.

თეირანში

თეირანი, 9 ნოემბერი. **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავის გამო შესდგა ბანკეტი.** ბანკეტს დაესწრო სპარსეთის პრემიერი, მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და საბჭოთა ახალშენის წევრები. (ადს).

ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 9 ნოემბერი. **ულან ბატორში გაიმართა კრება ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავის აღსანიშნავად. მოხსენებებით გამოვიდენ მონგოლეთის სახალხო რევოლიუციონური პარტიის ცეკას, ხურულდანის, ახალგაზრდობის რევოლიუციონური კავშირის, მონგოლეთის არმიის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყველა ორატორები აღნიშნავდენ ოქტომბრის რევოლიუციის დიდ მნიშვნელობას მონგოლეთის განთავისუფლების საქმეში. 7 ნოემბერს გაიმართა მონგოლეთის არმიის ნაწილების აღლუმი.** (ადს).

ბერლინში

ბერლინი, 9 ნოემბერი. **ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის გამო საბჭოთა საელჩოში ბერლინში გამოცხადდა ათასამდე კაცი, მათ რიცხვში გერმანიის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, ეკონომიური, სამეცნიერო და მხატვრულ წრეების წარმომადგენლები და აგრეთვე პრესის წარმომადგენლები.** მიღებას დაესწრენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, სტატს-სეკრეტარი შუბერტი, გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში გრაფი ბროკდორფ-რანცაუ, რეიხსვერის სარდალი ზექტ და მთელი რიგი გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა დეპუტატებისა და მთავრობის წევრებისა.

ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავზე გერმანიის კომპარტიის მიერ მოწყობილ იქნა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებიც ჩატარდა მუშების მასიური მონაწილეობით. (ადს).

ვენაში

ვენა, 8 ნოემბერი. **7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავის აღსანიშნავად ვენაში შესდგა ავსტრიის კომპარტიის მიერ მოწყობილი 3 ათასი მუშის მიტინგი.** პოლიციამ მუშებს აუკრძალა მსვლელობის მოწყობა და შეეცადა, რომ ხელი შეეშალა მიტინგის გამართვისათვის. პოლიციამ რამოდენიმე კაცი დააპატიმრა. პოლიციის ცდამ, რომ მიტინგი დაეშალა, ვერ გასჭრა.

ანგორაში

ანგორა, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამართულ ბანკეტს ანგორაში დაესწრო პრემიერ-მინისტრი **ისმეტ-ფაშა,** მთავრობის წევრები და თითქმის ყველა დეპუტატები და აგრეთვე დიპლომატიური კორპუსი, პრესის და საქმიან წრეების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. (ადს).

პეკინში

პეკინი, 9 ნოემბერი. **7 ნოემბერს მთელი რიგი ჩინეთის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებისა გამოცხადდა საბჭოთა კავშირის საელჩოში მისასალმებლად ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავის გამო.** (ადს).

კოვნოში

კოვნო, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის დღეს ლიტოვეთის მრავალ კუთხეებში **შესდგა მუშათა მიტინგები და პროფკავშირთა კრებები.** 7 ნოემბერს კოვნოს მუშათა დელეგაციები მისასალმებლად გამოცხადდენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, სადაც ისინი მიიღო ალექსანდროვსკიმ. დელეგაციებმა სთხოვეს ალექსანდროვსკის გადასცეს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს სალამი და მილოცვები ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავის გამო. (ადს).

ხარბინში

ხარბინი, 9 ნოემბერი. **საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოში მოსალოცათ გამოცხადდენ ჩინეთის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების ყველა წარმომადგენლები სამი აღმოსავლეთ პროვინციის საგანგებო რაიონის უფროსის ჩან-ხუან-სენის მეთაურობით და აგრეთვე ხარბინის საკონსულო კორპუსის ყველა წევრები.** მილოცვებს ღებულობდა საბჭოთა კავშირის რწმუნებული ჩინეთში, ამ ჟამად ხარბინში მყოფი ჩერნიხი და საბჭოთა კავშირის კონსული ხარბინში კოზლოვსკი. ჩინეთის პოლიციამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები და დღესასწაულის გამართვა სკოლებში და ნება არ დართო მოეწყოთ პროფკავშირების საბჭოს შენობის და სკოლების ილიუმინაცია. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 9 ნოემბ. 7 ნოემბერს დილის 9 საათზე მოსკოვში, წითელ მოედანზე შესდგა მოსკოვის გარნიზონის ნაწილების აღლუმი და მუშების დემონსტრაცია. აღლუმს დაესწრო დიპლომატიური კორპუსი. სიტყვები წარმოსთქვეს მთავრობის, საკავშირო კომპარტიის ცეკას და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრებმა. გარნიზონის ნაწილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა **ვოროშილოვმა.**

აღლუმის შემდეგ მოედანი გაივსო დემონსტრანტ მუშებით.

დაუსრულებელი წითელი ზოლით მიიმართებოდა მუშათა რიგები ლენინის ძეგლისკენ, სადაც მათ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს **კალინინმა, რიკოვმა, სტალინმა, ბუხარინმა, იაროსლავსკიმ, ტომსკიმ** და სხვებმა. დემონსტრაციები საღამომდე გაგრძელდა.

საღამოს ყველა რაიონებში შესდგა საზეიმო სხდომები, სადაც მოგონებებით გამოვიდნენ ბელადები — ოქტომბრის გადატრიალების მონაწილეები. (ადს).

ყველა კუთხეებიდან

მოსკოვი, 9 ნოემბერი. ხარკოვიდან, კიევიდან, კრივოი როგიდან, კრემენჩუგიდან, ბალტიდან, პროსკუროვოდან და სხვა ქალაქებიდან იუწყებიან, რომ იქ ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის დღესასწაული ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის, მომჭირნეობის რეჟიმის, შრომის ნაყოფიერების აწევის და ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის შემდგომი მატერიალური დახმარების მიწოდების ლოზუნგების ქვეშ.

დემონსტრაციებში ყველგან აუარებელი ხალხი იღებდა მონაწილეობას.

საღამოს ოქტომბრის 9 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა წარმოდგენები და მოხსენებები.

გარდა ამისა მოხდა კლუბების, საბავშვო სახლების, ბაგეების, სკოლების და სხვ. საზეიმო გახსნა. (ადს).

ლენინგრადში

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. **ოქტომბრის რევოლიუციის მე-9-ე წლის თავზე ლენინგრადში ფინეთის სადგურზე გახსნილ იქნა ლენინის ძეგლი.** გახსნას მეტად საზეიმო ხასიათი ჰქონდა. რამოდენიმე ათეული ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს“.

ძეგლის გახსნის შემდეგ მოკლე სიტყვები წარმოსთქვეს ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარემ კომაროვმა და ვიბორგის რაიონის მუშების წარმომადგენლებმა.

ძეგლი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. (ადს).

კრონშტადტში

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. კრონშტადტში ოქტომბრის 9 წლის თავთან ერთად გადახდილ იქნა 2 დღესასწაული: სამხედრო გემის **„ოქტომბრის რევოლიუციის“** და კრეისერ „ავრორა“-ს წლიური დღესასწაული.

ფლოტის და არმიის სახლში შესდგა საზეიმო სხდომა.

ლენინგრადის საბჭომ „ოქტომბრის რევოლიუციას“ წითელი დროშა უძღვნა. (ადს).

თურქმენისტანში

პოლტორაცკი, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავი მთელს თურქმენისტანში დიდის ზეიმით ჩატარდა. დემონსტრაციებში მოსახლეობა ფართე მონაწილეობას იღებდა.

მოედნებზე პირველად დადგმულ იქნა ხმამაღალი მოლაპარაკე აპარატები, რომელნიც გადასცემდენ ორატორების სიტყვებს. (ადს).

მთელ საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. **საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხეებიდან მოდის მრავალრიცხოვანი დეპეშები ოქტომბრის მეცხრე წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. ყველგან გაიმართა მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები. მრავალ ქალაქებში გახსნილ იქნა ლენინის ძეგლები, ამუშავებულ იქნა ახალი ქარხნები და ელექტროსადგურები და სხვა.** (ადს).

საქართველოს ყველა კუთხეებიდან

ფოთში

ფოთი, 9 ნოემბერი. **8 ნოემბერს ქალაქის თეატრში შესდგა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიულების, კომკავშირელების და პროფესიონალურ ორგანიზაციების თანადასწრებით. სხდომის გათავების შემდეგ მოეწყო კონცერტი. 7 ნოემბერს ქალაქში მოხდა დიდი დემონსტრაცია. საღამოს მუშათა კლუბში შესდგა საღამო-წარმოდგენა. დღესასწაული დიდი სიცხოველით ჩატარდა.** (ადს).

ოზურგეთში

ოზურგეთი, 9 ნოემბერი. თბილი საზაფხულო ამინდის გამო, მიტინგს უამრავი ხალხი დაესწრო. დაწესებულებებსა და წარმოებებში გამოშვებულ იქნა 60 სპეციალური ხასიათის კედლის გაზეთი. მაზრაში გაგზავნილ იქნა 1500 პლაკატი და ლოზუნგი 6 და 7 ნოემბერს კინოში მიდიოდა უფასო სეანსები. (ადს).

სოხუმში

სოხუმი, 9 ნოემბ. 6 ნოემბერს შესდგა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ყველა ორგანიზაციების მონაწილეობით. მოხსენება გააკეთა ამხ. **სმიდოვიჩმა.** სხდომის გათავების შემდეგ ორკესტრმა შეასრულა პირველად ჩაწერილი აფხაზური სიმღერები.

ახალციხეში

ახალციხე, 9 ნოემბერი. ოქტომბრის წლის თავის დღესასწაული აღინიშნა ქალაქის საბჭოსა, სამხედრო ნაწილების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომით. ყველა რაიონებში მოეწყო მიტინგები. დღესასწაულის დღეს მოხდა მილიციის კლუბის გახსნა. ყველა კლუბებსა და თეატრებში გამართულ იქნა წარმოდგენები თურქულ ენაზე. სცენაზე უჩადროთ პირველათ გამოვიდენ თურქი ქალები. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მეორე რაიკომის პლენუმი

3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა მეორე რაიკომის პლენუმის გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებისა და აქტივის თანდასწრებით. პლენუმმა, რომელსაც 200-ზე მეტი ამხანაგი დაესწრო მოისმინა ამხ. ა. გეურქოვის ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის დადგენილებათა დამუშავებისა და ბიუროების ხელახალი არჩევნების შედეგებზე რაიონში.

ივლისის პლენუმის დასრულების შემდეგ,—სთქვა ორატორმა,—რაიონში დაიწყო პლენუმის დადგენილებათა გარჩევა უჯრედების კრებებზე. ეს კამპანია გაგრძელდა დაახლოებით ორ თვე ნახევარს. პლენუმის დადგენილებები დაწვრილებით იქნა განხილული და გარჩეული ყველა უჯრედში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიონი ერთსულოვნათ შეუერთდა პლენუმის ყველა დადგენილებებს. მართალია, აქა-იქ ჰქონდა ადგილი ოპოზიციონერების გამოსვლას, მაგრამ რაიონული ორგანიზაცია მათ არ აჰყვა. რაიონში ოპოზიციას არავითარი ნიადაგი არა აქვს. მას თითო ოროლა მიმდევარიც კი არა აღმოაჩნდა ჩვენს უჯრედში. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივი უბადრუკი ოპოზიციის წარმომადგენლებმა ჩვენი უჯრედების სხდომებზე სხვა რაიონებიდან გადმოისროლეს „ძალები“. რასაკვირველია ისინი ვერაფერს გახდენ. რაიონის ორგანიზაციამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ამ გასტროლიორებს და გადაჭრით გაილაშქრა ოპოზიციის გამთიშავ საქმიანობის წინააღმდეგ.

პლენუმის დადგენილებათა განხილვის კამპანიამ, აცხადებს ორატორი, ნათელჰყო ის ფაქტი, რომ ჩვენი რაიონის ორგანიზაცია სავსებით ჯანსაღია, რომ ის მტკიცედ სდგას ლენინურ ცეკასა და პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე.

შემდეგ ორატორი გადავიდა ბიუროების ხელახალი არჩევნების დახასიათებაზე რაიონში (დაწვრილებით ამ ანგარიშს მოვათავსებთ უახლოეს ნომერში).

ხელახალი არჩევნები განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რაიკომმა წინასწარ ჩაატარა საკმაოდ დიდი მოსამზადებელი მუშაობა უჯრედებში. მოწვეული იქნა უჯრედთა მდივნების თათბირი, ადგილობრივ არჩეულ იქნენ კომისიები და სხვა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პარტიის წევრთა 70,2 პროცენტმა.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები, განსაკუთრებით ძირითადი პარტიული მასა, ცხოველ მონაწილეობას იღებდა კამათში.

ამხ. გეურქოვის მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. გეურქოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციების დამუშავებისა და უჯრედების ბიუროების ხელახალი არჩევნების შედეგების შესახებ, რაიონულ კომიტეტის პლენუმი უჯრედების ბიუროების მდივნებისა და აქტივის თანდასწრებით ადასტურებს, რომ ივლისის პლენუმის რეზოლიუციების დამუშავება ჩატარდა პარტიული მასის აქტიური მონაწილეობით და ცეკას ხაზისადმი მხარის დაჭერით.

პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ერთსულოვან წინააღმდეგობას, რომელიც გაუწია ოპოზიციას მეორე რაიონის ორგანიზაციამ ლენინის პარტიის დანარჩენ ორგანიზაციებთან ერთად.

უჯრედების ბიუროთა ხელახალი არჩევნების კამპანიის მსვლელობამ და შედეგებმა ნათლად დაამტკიცა, რომ ოპოზიციის ცილისწამება შინა-პარტიულ დემოკრატიის არ არსებობისა და აპარატის „მუხრუჭის“ შესახებ და სხვ. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

პლენუმი აღიარებს, რომ ხელახალი არჩევნების კამპანია ჩატარდა შინა-პარტიული დემოკრატიის პრინციპების ნამდვილად განხორციელების ლოზუნგით.

პლენუმი ადასტურებს, რომ პარტიული მასის აქტიური მონაწილეობის გამო შესაძლებელი გახდა, პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაობის ცალკე დეფექტების გამოაშკარავება, რომელთა თავიდან აშორება აუცილებელია მომავალში.

იწონებს რა რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმის ხაზს ჩატარებულ ხელახალი საარჩევნო კამპანიაში, რაიონული კომიტეტის პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს მომავალ პარტიული მუშაობის გაძლიერებასთან ერთად აიღოს ხაზი პარტიული მასის ლენინური სულით აღზრდისაკენ და დაუზოგავად ამხილოს ახალი ოპოზიციის იდეური შეხედულებანი“.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმმა, პრეზიდიუმიდან გასულ ამხანაგების მედვედიევისა და გორდელაძის მაგიერ აირჩია ამხ. რონზანი და მზარეულაშვილი.

ბიუროების გადარჩევა

საქ. კომპარტიის (ბ) თბილ. ორგანიზ.. მე-2 რაიონში

1. საერთო შედეგები

წარსული კამპანია სცნობს ქვედა პარტიული მასსის დიდ პოლიტიკური შეგნების ზრდას. ოპოზიციის ყოველგვარი წინასწარმეტყველება დამსხვრეული იქნა წარსულ საარჩევნო კამპანიის საერთო მსვლელობით და შედეგებით. ჩვენმა ორგანიზაციებმა გამოაშკარავეს ყველა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. პარტიული მასსა გაიზარდა და მონაწილეობს პარტიულ, სამეურნეო და პროფესიონალურ ცხოვრების საკითხების განხილვაში.

წინა საარჩევნო კამპანია გატარდა შინაპარტიული დემოკრატიის ლოზუნგითა და მისი პრაქტიკული განხორციელების ნიშნის ქვეშ. საჭიროა აღინიშნოს, რომ განმტკიცდა პარტრიგების მთლიანობის აუცილებლობის შეგნება და პარტყრილობების გადაწყვეტილებებისადმი ერთგულება.

2. მოსამზადებელი მუშაობა

მოსამზადებელ მუშაობას შევუდექით 5 სექტემბრიდან, რაც გამოიხატა შემდეგში:

ადგილებზე სახელმძღვანელოდ პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ იქნა 4 ამხანაგი, პრეზიდიუმის სხვა წევრები და რაიკომის წევრები, სულ 24 კაცი. მსხვილ უჯრედებში გამოყოფილ იქნა 5-7 კაცისაგან შემდგარი კომისია შესრულებული მუშაობის შესამოწმებლად და შემდეგი მუშაობისათვის პრაქტიკული მითითებების მისაცემად. პლენუმის მოწვევამდე მოწვეულ იქნა მდივანთა თათბირი შინაპარტიული დემოკრატიის საკითხების განსახილველად. რაიკომის პლენუმმა საქმიანად განიხილა საარჩევნო კამპანიის საკითხები და პარტიულ ორგანიზაციების წინაშე წამოჭრილი ამოცანები. მთავარი ყურადღება მიექცა შინაპარტიული დემოკრატიის ნამდვილ განხორციელებას და პარტიის პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული მასის ჩაბმას.

რამოდენიმე დღით ადრე მთელ რაიონში კამპანიის დაწყებამდე, 26 კომ. სახ. ქარხნ. უჯრედში ჩატარდა წინასწარ გადარჩევა. უჯრედის სხდომები გრძელდებოდა 3 დღეს. შეკითხვა იყო—101, კამათში მონაწილე—26 კაცი. ბევრი ახლად გამოდიოდა. დამტკიცდა კომისიების წინასწარი გამოყოფის მიზანშეწონილობა.

ანგარიშებისა და მოხსენებების დეტალური განხილვის შემდეგ ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და გამოტანილ იქნა საქმიანი რეზოლიუცია. ბიუროების არჩევის დროს დაცული იყო დემოკრატიული არჩევნების პრინციპი. კენჭის ყრა—უსიოდ: პერსონალური. შედეგად—ბიუროს შემადგენლობა განახლებულ იქნა, 9 კაციდან გადარჩეულ იქნა 5.

3. ხელახალ გადარჩევაში პარტმასების მონაწილეობა

გადარჩევა ჩატარდა 41 უჯრედში 43 უჯრედიდან.

გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 1.451 კაცმა, რაც მთელი ორგანიზაციის 70,2 პროც. შეადგენს. გადარჩევას ძალიან შეუშალა ხელი შვებულებებმა.

კამათში გამოვიდა 424 კაცი, ე. ი. საშუალოდ 11 კაცი თვითეულ უჯრედზე. წარსულ გადარჩევაში კამათში მონაწილეთა რიცხვი უდრიდა 5-ს. შეტანილ იქნა 1.064 შეკითხვა. საშუალოდ თვითეულ უჯრედზე 27; შარშან უდრიდა 8-ს. დღის წესრიგში დასმულ საკითხების რიცხვი—113; თვით. უჯრ.—3 საკ., მათგან ბიუროს ანგარიში—39, კომკავშირის თანამოხსენება—19, ადგილკომების ფრაქციები—19 და სამეურნეო მუშაკთა მოხსენება—8.

4 ძირითადი მომენტები

პარტმასის მთავარი ყურადღება მიექცა: შინაპარტიულ, სამეურნეო, პროფესიონალურ-საწარმოო საკითხებს და კომკავშირელთა შორის მასიურ მუშაობას. განხილვის დროს არავითარ კინკლაობას არ ჰქონდა ადგილი. საკითხების განხილვაში დიდ მონაწილეობას ღებულობდენ ამხანაგები.

საკითხების განხილვის დამახასიათებელი მომენტები:

ა) შინაპარტიული მუშაობა. შინაპარტიულ მუშაობაში ამხანაგები შემდეგს აღნიშნავდენ: საჭიროა პარტიულების ახალი კადრების ჩაბმა საუჯრედო მუშაობაში. მოვალეობათა განაწილება ნორმალურია. ჯგუფური ორგანიზაციების ინსტიტუტი იჩენს ფხიანობას. მიღწეულია გეგმიანობა ყველა უჯრედში. დისციპლინა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მაინც აქა-იქ აქვს ადგილი ნაკლს ამ მხრივ, როგორიცაა—კრებებზე დროზე დაუსწრებლობა, საწევრო გადასახადების შემოუტანლობა და პარტიულთა სუსტი მონაწილეობა მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე. საკმაოდ არ მუშავდება უჯრედების დღის წესრიგი. ბიურო ყოველთვის არ ითვალისწინებს პარტმასის სულიერ განწყობილებას და მოთხოვნილებებს. ხშირად არ ისმება სადღეისო საკითხები (საბინაო საკითხი, ხელფასის პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და სხ.).

ბ) სამეურნეო-ადმინისტრატიული საკითხები. იქ, სადაც ეს საკითხები უფრო საჭირბოროტო ხასიათს ატარებდენ კეთდებოდა სამეურნეო მუშაკთა სპეციალური მოხსენებები. კამათში მიუთითებდენ მომჭირნეობის რეჟიმში კომისიების მიერ დაშვებულ შეცდომებს: იყო მრავალი უნაყოფო მუშაობა, ტყუილ-უბრალოდ ითხოვდენ მუშებს, ზოგ ადგილას წარმოების რაციონალიზაცია კი არა, ზედმეტი ხარჯები მოდიოდა. კომისიების მუშაობა არ ეწყობოდა საწარმოო და ეკონომიურ თათბირებს. საქმიან შენიშვნებს ყოველთვის არ იყენებდენ სამეურნეო მუშაკნი. კომუნისტებს არ აწინაურებდენ სამუშაოებზე, საერთოდ ადმინისტრაციის განწყობილება მუშებთან ნორმალურია.

გ) პროფესიონალური და საწარმოო მუშაობა. სუსტად არის ჩამოყალიბებული პროფაქტივი. კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მუშათა კლუბები ჯეროვანად ვერ აკმაყოფილებენ მუშების კულტურულ მოთხოვნილებებს. კედლის გაზეთებში არ შუქდება წარმოებისა და მუშების ყოფა-ცხოვრება, სამეურნეო მუშაკნი არ აქცევენ ყურადღებას მუშათა შენიშვნებს; ეს გარემოება ხალისს უკარგავს მუშებს სწერონ რამეზე. მოწაფეობის საკითხს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

საწარმოო თათბირების მუშაობაში არ არის ჩაბმული მუშათა ფართო მასა. გაუმჯობესებისათვის არ აძლევენ პრემიალურს. საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ არავითარი ცნობები არ არის. მომჭირნეობის რეჟიმის კომისიის ფუნქციები უნდა გადაეცეს საწარმოო თათბირებს.

დ) მასსიური მუშაობა. მასიურ მუშაობაში მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა საზოგადო ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაც. მუშაობა ყველგან სუსტია. საზაფხულო პერიოდში დიდი მუშაობა ჩაატარა საშეფო საზოგადოებამ. სუსტად მუშაობს რემედასი. დანარჩენი საზოგადოებები თითქმის უძრავნი არიან. თვითეული მუშა 2—3 საზოგადოებაში ირიცხება, რაც არანორმალურია. კომუნისტები სათანადო სერიოზულობით არ ეკიდებიან საზოგადო ორგანიზაციებს. ვერ მოახერხეს ამ საზოგადოებებში უპარტიო აქტივის შექმნა.

უჯრედის ღია კრებებისათვის საერთოდ არ არის შერჩეული საკითხები. მუშათა კრებები არ ტარდება საკმაო სერიოზულობით.

ე) კომკავშირი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობის საკითხებს ამ კამპანიაში დიდი ყურადღება მიექცა. კომკავშირის უჯრედებში სუსტია დისციპლინა. სულიერი განწყობილობა არ არის მტკიცე. ძალიან ცოტაა პარტიულად გამოცდილი აქტივი. მოისუსტებს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშობა. სუსტია, აგრეთვე, კომუჯრედების ხელმძღვანელობა.

5. მუშაობის შეფასება და ხელახალი გადარჩევა

უჯრედების მუშაობა ყველგან დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. რეზოლიუციები საანგარიშო მოხსენებებზე თითქმის ყველგან საფუძვლიანია.

უჯრედთა ბიუროების გადარჩევა ჩატარდა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის დაცვით; კანდიდატებს ბიუროში ნიშნავდა მთელი პარტიული აქტიური მასა.

უჯრედთა ბიუროების შემადგენლობა განახლებულია 45,2 პროც., მდივანთა შემადგენლობა—9 კაცი.

7. ზოგიერთი ციფრები ხელახალი გადარჩევის შესახებ

ბიუროების შემადგენლობა

მუშა—68,5. გლ.—1,4. მოს.—30,1. ქართ.—34,4. სომ.—28, რუსი—26,2 სხვა—11,2; ქალი—10,2.

მდივანთა შემადგენლობა

მუშა—68,3, მოს.—31,7. ქართ.—34,1. სომ.—21,8. რუსი—24,5. სხვა—19,6; ქალი—2,4.

ა. გ.

საგარეჯო

(ა. ლ. კომკავშირის უჯრედი)

მთელს რაიონში სოფ. საგარეჯოს ა. ლ. კომკავშირის უჯრედს პირველი ადგილი უკავია, როგორც წევრთა სიმრავლით, ისე აქტივობით. საგარეჯოს უჯრედი წარმოადგენს ერთგვარ ბაზას, საიდანაც რაიონის თითქმის ყველა უჯრედები ღებულობენ ხელმძღვანელ ძალებს. საგარეჯოში და შეიძლება ითქვას რაიონშიაც იშვიათია ისეთი დაწესებულება-ორგანიზაცია, სადაც საგარეჯოს უჯრედის წევრი არ იყვეს ჩაბმული. ყოველგვარ კულტურულ საქმიანობაში, ყოველივე დღესასწაულებისა და კამპანიების ჩატარებაში საგარეჯოს უჯრედი აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ამჟამად უჯრედში ითვლება 63 წევრი, 5 კანდიდატია. ამათში ქალები 4-ა; ეროვნების მიხედვით 14 სომეხია, დანარჩენი ქართველებია. მუშა-მოსამსახურენი 16 არიან; ცოდნის მხრივ საშუალო დამთავრებული და მოსწავლეობა 21 კაცია, დანარჩენი მცირე მცოდნენი არიან.

უჯრედი ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა ორ კოლექტივს, რომელშიაც ითვლება 130 წევრი; უჯრედის წევრთა საკმაო რიცხვი ითვლება „რემედასის“, საჰაერო ფლოტის“, „წითელი ჯვრის“, კლუბის, გლეხკომის, კოოპერატივის წევრებათ და ახკორებათ, გლეხკორებათ და სხვა.

მართალია, უჯრედს მიღწევები ბევრი აქვს. მაგრამ ნაკლიც არის. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ბიუროს ხელ-ახლა არჩევნებამდე თემკომის მიერ დაწვრილებით იქნა შესწავლილი უჯრედის საქმიანობა. არჩევნების სისწორით ჩასატარებლად წინასწარვე იქნა მოწყობილი თემკომის მიერ მოხსენება.

არჩევნები მოხდა 26 ოქტომბერს. უჯრედის მდივანმა ბიუროს მუშაობაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ბიუროს მუშაობა ცნობილ იქმნა დამაკმაყოფილებლად. კამათში მონაწილეობა მიიღო უჯრედის წევრთა 90 პროც.-მა, რომელნიც სისწორით ამჟღავნებდნენ უჯრედის ავ და კარგ მხარეებს. დასასრულ მოხდა არჩევნები. ბიუროში იქმნა არჩეული 5 წევრი და კანდიდატი. მათგან ორი ძველი ბიუროს შემადგენლობიდანაა.

ალ.

ქართულ მუშფაკში

22 ოქტომბერს შესდგა ქარ. მუშფაკის მეორე კურსის კომუჯრედის კრება.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. კომუჯრედის ბიუროს ანგარიში 2. ბიუროს არჩევნები. ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ენუქიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა უჯრედის წარსული საქმიანობის, როგორც დადებით, ისე უარყოფითი შეეხო. განსაკუთრებით შეეხო ის უჯრედში პარტწევრების და კანდიდატების აქტივობას საერთო მუშაობის დროს და ახკომკავშირის შორის მუშაობას.

შემოსულ შეკითხვების შემდეგ კამათში მიიღო მონაწილეობა ათმა ამხანაგმა. კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ სუსტი იყო კავშირი კომკავშირის უჯრედთან, არ ხდებოდა გაერთიანებული კრებები, არ იყო დაცული წარმომადგენლობითი სისტემა და სხვა.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე პარტწევრების და კანდიდატების გულგრილობას. არც ერთ იმათგანს ჯერაც არ გაუკეთებია მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მათ ჩაატარეს სოფლად საზაფხულო არდადეგების დროს და სხვა. აღინიშნა უჯრედის მუშაობის დადებითი მხარეებიც. კამათის შემდეგ უჯრედის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. კომუჯრედის ბიუროში. დასახელებულ იქნა 30 კანდიდატი. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა 5 წევრი და 2 კანდიდატი.

შ. მ—ი.

„ცეკავშირის“ უჯრედში

საქმიანად და გაცხოველებით ჩატარდა უჯრედის ბიუროს გადარჩევა „ცეკავშირში“. ბიუროს მოხსენების გარჩევა სამ დღეს გაგრძელდა. პირველ სხდომაზე იქნა მოსმენილი უჯრედის მდივნის ანგარიში: მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა ბიუროს მუშაობა. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ნაკლი უჯრედის მუშაობაში იყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომ თითქმის ყველა წევრები ზომაზე მეტად არიან დატვირთული და დრო არა აქვთ. ხელი შეუშალა საქმეს აგრეთვე ზაფხულის პერიოდმაც. მიუხედავათ ამისა, უჯრედის ბიუროს მაინც მოუხერხებია განსაზღვრული გეგმის შედგენა და მისი განხორციელება. ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში წევრთა უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო აქტიური მონაწილეობა. ორატორები აღნიშნავდენ სუსტ მხარეებთან ერთად ბევრ მიღწევებსაც, როგორიც არის დისციპლინის აწევა, უჯრედის სხდომებზე წევრთა დასწრება სრულად, ადგილკომის ფრაქციის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და აქტიური მონაწილეობა პარტამხანაგებისა ეკონომ. თათბირზე და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობაში („რემედასი“, „წერკუმსი“ და სხ.) დანარჩენ სხდომებზე მოსმენილი იქნა ცეკავშირის გამგეობის წევრის ამხ. ნაფეტვარიძის მოხსენება ცეკავშირის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ მოხდა ბიუროს არჩევნები. უჯრედის მუშაობა კრებამ იცნო დამაკმაყოფილებლად. ახალ უჯრედის ბიუროს შემადგენლობას კრებამ წინადადება მისცა მიაქციოს ყურადღება სუსტ მხარეებს და გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1. გაძლიერებული იქნას სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, 2. მოგვარებული იქნას კედლის გაზეთის გამოშვების საქმე, 3. ვინაიდან სუსტია ქალთა შორის მუშაობა მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას და გაძლიერებული იქნას მუშაობა ქალთა შორის, 4. გაცხოველდეს საშეფო მუშაობა სოფლად, რისთვისაც ეთხოვოს რაიკომს მიამაგროს უჯრედი რომელიმე სოფელს და მისცეს სათანადო დირექტივები სოფლად მუშაობის დარგში, 5. უჯრედში ემჩნევა ზოგიერთ წევრებს პასივობა. დაევალოს ახალ ბიუროს შეისწავლოს ზოგიერთ წევრთა პასიობის მიზეზები და მიიღოს ზომები აქტივობის გასაძლიერებლად, ასეთი წევრთა მუშაობაში მეტი ჩაბმის საშუალებით. 6. გაძლიერებულ იქნას უპარტიოთა შორის მუშაობა მათი უფრო ფართედ უჯრედის ღია კრებებზე მოწვევის საშუალებით, აყვანილ იქნას აღრიცხვაზე პარტიასთან ახლო მდგომი უპარტიო აქტივი, სხვადასხვა ორგანიზაციებში ჩაბმის მიზნით. 7. გაძლიერებული იქნას მუშაობა უჯრედის წევრთა ნებაყოფლობით საზოგადოებებში ჩასაბმელად.

ს. ხუციშვილი.

დელეგატ ქალთა არჩევნები

სადელეგატო კრებების აქტივი იზრდება

ამა წლის 19 ოქტომბერს შესდგა „წითელი ჰემორის“ ლიტოგრაფიის და პოლიგრაფ. სკოლის ქალთა გაერთიანებული კრება.

ქალთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბრიჩევამ. ორატორი თავის ვრცელ მოხსენებაში შეეხო ქალთა მდგომარეობას ყველა ქვეყნებში. მან აღნიშნა, რომ არც ერთ ქვეყანაში ქალი ისეთი უფლებით არ სარგებლობს, როგორც საბჭოთა კავშირში. ამ უფლებას ქალები სათანადოთ ვერ იყენებენ, თავის საერთო ჩამორჩენილობის გამო. ქალთა გათვითცნობიერების და მათ შორის პოლიტიკურ შეგნების საქმეს სხვათა შორის დელეგატ ქალთა კრებებიც ემსახურებიან. შეეხო რა, დელეგატ ქალთა კრებების პრაქტიკულ ამოცანებს, ორატორმა აღნიშნა, რომ მათი მიზანია პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან, მჭიდრო კავშირის დაჭერა; ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა და სხვა.

მოხსენების დასასრულს ორატორმა მოუწოდა მშრომელ ქალებს მჭიდროთ შემოკრბენ საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც გათვალისწინებულია ქალთა შორის მუშაობის პრაქტიკული ამოცანები შემდეგ მოხდა დელეგატ ქალთა გადარჩევა. ყველა დელეგატი ერთხმათ იქნენ არჩეული. კრებას დაესწრო 52 კაცი. არჩეულ იქნა 11 დელეგატი ქალი.

კრება დიდი სიცხოველით ჩატარდა.

ბ—ძე.

მშრომელი ქალი გვერდში უნდა ედგეს მშრომელთა ხელისუფლებას

ა.-კ. და საქ. მთავარ პოლიტიკურ სამართველოს და მე-9 არტელის დიასახლისთა და თანამშრომელ ქალთა საერთო კრება ერთად მოეწყო, სადელეგატო კრებების მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სანტალოვამ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, მრავალმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა. მოკამათეები მიუთითებდენ იმ გარემოებაზე, რომ დელეგატი ქალები თავიანთ მუშაობის შესახებ უფრო ხშირათ უნდა აკეთებდენ ანგარიშებს ქალთა კრებებზე, რათა დელეგატი ქალები უფრო მჭიდროთ დაუკავშირდენ თავიანთ ამრჩევლებს.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია ქალთა სადელეგატო კრებების მნიშვნელობა. იმ დროს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტურ აღმშენებლობას აწარმოებს, ნათქვამია რეზოლიუციაში, მშრომელი ქალი გვერდში უნდა უდგეს აღმშენებლობაში ჩაბმულ მშრომელ ხალხს. ქალთა სადელეგატო კრებები ის საფეხურია, რომელიც უადვილებს მშრომელ ქალს ჩაბმას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის აღმშენებლობითი საქმიანობაში.

დელეგატ ქალის ანგარიში დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი. ამხანაგმა აღნიშნა, რომ თუ უწინ ქალებს ორი სიტყვის გადაბმა არ შეეძლოთ ერთმანეთზე, ეხლა სადელეგატო კრებების წყალობით ქალები მოხსენებასაც კი აკეთებენ და ჯერ არ ნახულ აქტივობას იჩენენ. მოხსენების შემდეგ მოხდა დელეგ. ქალთა არჩევნები. არჩეულ იქნა სულ 13 დელეგატი ქალი კრებას დაესწრო 91 ქალი და 6 მამაკაცი.

ქ. შ.

არც ჩვენ ჩამოვრჩით

21 ოქტომბერს, საგარეჯოს სახ. თეატრის დარბაზში შესდგა საგარეჯოს ქალთა საერთო კრება. რომელსაც 100-ზე მეტი გლეხის ქალი დაესწრო. კრებას აგრეთვე დაესწრენ ქალთა ორგანიზატორი თემკომის პრეზიდიუმის წევრი და აღმასკომის თავმჯდომარე. თავმჯდომარის და მდივნის არჩევის შემდეგ საგარეჯოს დელეგატ ქალთა მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დელეგატ-ქალმა ანო გარსიაშვილმა. კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა მისი მუშაობა. შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. მღებრიშვილი, რომელმაც მდაბიო და გასაგები ენით განუმარტა გლეხ-ქალებს სადელეგატო კრების მნიშვნელობისა და მისი ამოცანები დასასრულს მოხდა დელეგატ-ქალების არჩევნები.

ბ—ლი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

სოციალური სნეულებანი სოფლად
(წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

სნეული წინაპრები სნეულ თაობას სტოვებენ და ამნაირად საზოგადოებას გადაგვარების გზისკენ მიაქანებენ. ვინ არ იცის, რომ ქლექიანი მშობლები — ქლექიან ბავშვებს წარმოშობენ, ათაშანგიანი — ათაშანგიანით, სულით ავათმყოფნი —სულით ავათმყოფთ და სხვ.

სხვა სოციალურ სნეულებათა შორის ამ ბოლო დროს მეტად იკიდებს ფეხს სოფელში ათაშანგი (სიფილისი).

თუ ეს სენი ძველად ხშირი სტუმარი იყო ქალაქებისა, დღეს არც ისე უცხოა სოფლებისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ ძნელია ჩვენში მისი გავრცელების სწორი სტატისტიკური ცნობების შეკრება, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ავათმყოფები იშვიათად მიმართავენ ექიმს.

ერთ-ერთ სოფელში ერთმა ზნედაცემულმა ქალმა 2 თვის განმავლობაში 12 მამაკაცი დაასნეულა და ამ თორმეტმა, ვინ იცის, რამდენი ქალი. სოფლელი ქალი არასოდეს არ მიმართავს ექიმს დახმარებისათვის. ის ბნელ საკნებში ექიმბაშ მესაიდუმლე ქალებთან ჰპოვებს „შველას“ და ამით უნდა ავხსნათ არა ჩვეულებრივი სიხშირე ქალურ ავათმყოფობათა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სოფლებში, და რომელიც ულმობლად და მოულოდნელად სტეხს სოფლის ქალს წელში.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველმა გაითვალისწინა ეს საშიშროება და დააკანონა ქორწინების მსურველთათვის წინასწარი ექიმის დასტურის აუცილებლობა მექორწინეთა ჯანმრთელობის შესახებ. ზომა მეტად გონივრული და აზრიანია. მხოლოდ კანონი ერთია და კანონის განხორციელება — მეორე.

რას ვხედავთ სინამდვილეში? მეტად სამწუხარო მოვლენას. დაქორწინების მსურველნი ჯერ იწყებენ ერთად ცხოვრებას და რამოდენიმე თვის ან წლის შემდეგ მიდიან ექიმთან და თხოვენ შემოწმებას. შემდეგ კი ტარდებიან მმაჩში. რა არის ეს, თუ არა კანონის ბოროტად გამოყენება? ამასობაში, თუ რომელიმე მათგანი შეპყრობილი იყო გადამდები სენით — უზიარა მეორესაც და თვითვე დააჯილდოვეს სრულიად უდანაშაულო მესამე პირი — ნაყოფი, რომელიც თუ ცოცხალი დაიბადა, მუდმივი მატარებელი იქნება მშობლების მიუტევებელი ცოდვების და დაუსრულებელი ტანჯვისა. რატომ ხდება ეს ასე? რატომ ენდობა ქალი ვაჟს, „უცნობს“ და მიყვება მას მმაჩში გაუტარებლად? იმიტომ, რომ საზოგადოებაში ცრუ შეხედულებაა გავრცელებული, ვითომ ექიმს აინტერესებდეს თუ რამდენათ უმანკოა ქალი და სხვ.

დასასრულ უნდა განვიმეორო, რომ საქმის ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ მექორწინენი შეუღლებისთანავე ტარდებოდენ მმაჩში.

ექ. სილ. შამათავა.

სას.-სამ. გადასახადის პრაქტიკიდან
(წერილი გურიიდან)

ოზურგეთის მაზრაში უკვე დასრულდა 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეწერა და დაიწყო საგადასახადო ფურცლების დარიგება.

გადასახადის სისტემა წელს დაახლოებულია საშემოსავლო გადასახადთან და უნდა ითქვას, რომ თუმცა გადასახადით დაიბეგრენ უმთვრესად ისეთი მეურნეობანი, რომელნიც საშუალო შეძლებისაზე მეტი და მდიდრები არიან, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ არიან მოყოლილნი დაბეგვრაში ღარიბი მეურნეობანიც, რაც გამოწვეულია სულობრივ სისტემის ნაკლულევანებით.

არის მეურნეობაში ერთი სული მცირე წლოვანი ობოლი, რომელსაც აქვს მიცემული ნორმა მიწისა 3—4 დესეტინა, რაც უდრის 120 მანეთის შემოსავალს და შეეწერა გადასახადი 17 მან. 70 კაპ., რომლის გადახდა მას არ შეუძლია. რომ ასეთები არ მოხდეს, მომავალისთვის აუცილებელია სულთა რაოდენობის მაგიერათ მიღებულ იქნას სხვა საშუალება, ან შეიცვალოს ის მუშა-ხელის რაოდენობით.

მაგ. მეურნეობაში არის 10 სული, ამ 10 სულში ხშირად არის 7—8 მუშა-ხელი. ზოგი მათგანი მსახურობს და ჯამაგირი შეაქვს ოჯახში, ზოგი ეწევა სოფლის მეურნეობას. ასეთი ოჯახები ითვლებიან შეძლებულათ და გადასახადს 10 სულის მიხედვით იხდიან სულ მცირეს და ხშირ შემთხვევაში-კი სრულიადაც თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

ის მეურნეობა კი, რომელშიაც ითვლება ერთი სული, ისიც მცირე წლოვანი და ობოლი, იბეგრება გაცილებით მეტი გადასახადით.

ეს იწვევს მრავალ გაუგებრობას.

მეორე ნაკლი ამ გადასახადის სისტემისა არის დაუბეგრავი მინიმუმის სიდიდე—25 მანეთი სულზე, რამაც გამოიწვია საშუალო შეძლებული მეურნეობის სრულიად განთავისუფლება გადასახადისაგან. ამისათვის დაუბეგრავი მინიმუმი უნდა იქნას შემცირებული.

გარდა ამისა, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს მეჯოგეების შემოსავალი არ არის ისე მოღონიერებული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში და გადასახადი კი შეეწერათ ისეთი სიდიდი, რომ მათ აუცილებლად გაუძნელდებათ მისი გადახდა, ამისათვის მეჯოგეების შემოსავლის პირობითი რაოდენობა უნდა იქნას შემცირებული, რომ მათაც გაუადვილოთ გადასახადის გადახდა.

ამის შემდეგ არც ერთ გადამხდელთაგანს არ ექნებათ გადასახადზე რაიმე სათქმელი მიზეზი და შეწერილი გადასახადიც აიკრიფება უმტკივნეულოდ და უწარჩოთ.

მ. ჭინჭარაძე.

რა აფერხებს გაზეთების გავრცელებას

ხშირად სოფელში გაზეთი ვერ ჩადის თავის დროზე. ან სულ ვერ მიიღებს ხელის მომწერი ან მიიღებს სამი ოთხი დღის შემდეგ.

სამი - ოთხი დღით გაზეთის დაგვიანებას, რა თქმა უნდა, ცუდი შედეგი სდევს. ეს გარემოება აფერხებს გაზეთის გამოწერის საქმეს.

ამას წინაზე მოვხვდი სოფ. ვაკიჯვრის (გურია) სამკითხველოში. აქ ვერ ვიპოვე ორი კვირაზე ადრე გამოსული ვერც ერთი გაზეთი. მეორე სოფლის — ცხემლისხიდის სამკითხველოში თბილისის გაზეთები მოდის მეორე დღეს უსათუოდ. ამ სოფელში არის ფოსტის განყოფილება. აქ მოდის სხვა სოფლების გაზეთ-წერილები და დევს მანამდე, სანამ ვინმე შემთხვევითი „მადლიანი“ არ წაიღებს უფოსტო სოფელში.

ვაკიჯვარი მდებარეობს ფოსტიდან (ცხემლისხიდი) სულ სამი ვერსის მანძილზე, მაგრამ გაზეთი ათი-ხუთმეტი დღე ვერ აღწევს ვაკიჯვრამდე. ამიტომაც აქ ნაკლებად ეტანებიან სამკითხველოს.

იბადება საკითხი: რა ზომები უნდა ვიხმაროთ მკითხველისათვის გაზეთის დაუგვიანებლად მიწოდება რომ მოვაგვაროთ? აქ შეიძლება ზოგიერთი ზომების დასახელება. შეიძლება დავავალოთ ეს საქმე აღმასკომს, ან კერძო პიროვნებას, ან ქოხ-სამკითხველოების გამგეებს, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით ვერც ერთი დასახელებული ორგანო ვერ შეასრულებს ამ საქმეს სასურველად. აღმასკომი ისედაც დატვირთულია საქმეებით. ქოხ-სამკითხველოს გამგეები ღებულობენ ჯამაგირს 5-15 მანეთს და ამათ ვერ დავავალებთ ყოველ დღე იარონ ფოსტაში.

ყველაზე კარგი და მიზანშეწონილი იქნება თვით ფოსტის განყოფილებასთან მოეწყოს გაზეთ-წერილების დატარების საქმე. ფოსტას უნდა ყავდეს ცხენიანი ფოსტის მოხელე, რომელიც დაარიგებს წერილ-გაზეთებს, თუ ყოველ დღე არა, ორ დღეში მაინც. სხვა გამოსავალი არაა. თუ ჩვენ გვინდა სოფლებში გავავრცელოთ ჟურნალ - გაზეთები ეს ასე უნდა მოეწყოს. თუ საფოსტო განყოფილებას გაუძნელდება ამ ხარჯის გაწევა, შეიძლება აქ რედაქციებიც დაეხმარონ. ზოგან ახლოსაა ორი და სამი ფოსტის განყოფილება. ასეთ ადგილას საკმარისია ორ-სამ ფოსტაზე ერთი მოხელე ცხენით.

მართალია, ეს საქმე ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ სახელმწიფო არ უნდა მოერიდოს ამ ხარჯს, ვინაიდან ამას თან მოსდევს სოფლის კულტურულად აწევა-აღორძინება.

ხ. დ—ძე.

დაუდევრობის კვალ და კვალ

გაზეთ „კომუნისტის“ № 238 მოთავსებულ წერილის „ცოდვის ფოსტა“ შესახებ სამმართველომ მოახდინა კვლევა-ძიება და მისცა წინადადება კულაშის ფ.-ტ. განყოფილების გამგეს, რათა სოფლის წერილების დამტარებლები გააფრთხილოს და თუ კვლავ დაუშვებენ ასეთ უწესობებს, მაშინ შეცვალოს უფრო მუყაითი დამტარებლებით.

განყოფილების გამგე ცაგარეიშვილი.

სამაზრო გლეხკომის სახელოსნოები

ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გახსნა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც წარმოადგენს ხსენებულ გლეხკომის შემოსავლის მთავარ წყაროს. ამ ქარხანამ მრავალი დაბრკოლება გადალახა, ვიდრე მას საძირკველი ჩაეყრებოდა. ამ მხრივ უნდა გულახდილად აღვნიშნოთ, რომ დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ახალციხის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარეს, ამხ. პოლ. ჰყუნიას, რომელმაც დაუღალავი შრომით და ენერგიით ქარხანას საძირკველი ჩაუყარა და სათანადოთ მოაწყო იგი.

გლეხკომმა ქარხნით უდიდესი დახმარება გაუწია ახალციხის გლეხობას, რომლებიც დაზიანდენ იმპერიალისტური ომისა და სერვერბეგ-აბეგის ბანდებისაგან: ზოგს სახლები სრულიად დაეწვა და ზოგს დაენგრა. დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, საჭირო შეიქმნა გადაბუგულ-გადამწვარ სახლების კვლავ აღდგენა-შეკეთება. სახერხი ქარხანა ღარიბ გლეხებს უფასოდ უხერხავს ტყეს. დანარჩენებზე კი ჰყიდის მასალას შეღავათიან ფასებში. ასე რომ, დანგრეულ და გადამწვარ სახლებს გლეხობა ნელ-ნელა იშენებს.

ამ ქარხნით სარგებლობს აგრეთვე ახალქალაქის (ჯავახეთის) მაზრის გლეხობაც. ამ მაზრაში ტყე არ მოიპოვება და უხეტყეოდ გლეხობა (ჯავახელები) დიდს გაჭირვებას განიცდიან. ჯავახელები მოდიან ხოლმე ახალციხეში და დახერხილ მასალას ჰყიდულობენ. ახალქალაქის მაზრას ისეთივე ბედი ეწვია, როგორც ახალციხისას.

სამაზრო გლეხკომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ერთად-ერთია მთელ მესხეთ-ჯავახეთში. ქარხანა ყოველდღიურად ხერხავს 300—600 კუბ. ვერ. მასალას. ქარხანაში ოთხი თანამშრომელია, 9 მუდმივი მუშა და 6 კი დროებითი.

სამაზრო გლეხკომს ჭრა-კერვის სასწავლებელიც აქვს, სადაც ასწავლიან ჭრა-კერვას და ქარგვას. ეს სკოლა იღებს კერძო დაკვეთებს. პროფკავშირის წევრებს და საბჭოთა თანამშრომლებს შეკვეთაში ეძლევათ შეღავათი. სასწავლებელში სწავლობს 24 მოწაფე. ამ რიცხვში 7 მოწაფე სრულიად განთავისუფლებულია სწავლის ფულის გადასახადისაგან, როგორც ღარიბესი გლეხების შვილები.

სამაზრო გლეხკომს აგრეთვე აქვს ქალაქის ძველ ნაწილში საფეიქრო სასწავლებელი, სადაც სრულიად უფასოდ ასწავლიან ქსოვას სხვა და სხვა სახის შალებისა და ქარგვას. ამ სასწავლებელში სწავლობს 42 მოწაფე.

მე-3-ე ინტერნაციონალის ქუჩაზე გლეხკომს აქვს ჩუსტების სახელოსნო, სადაც იკერება გლეხური ჩუსტები. აქ ყველა გლეხს შეუძლია ხელსაყრელ ფასებში შეიძინოს ჩუსტები. წინეთ კი, როცა გლეხკომის ჩუსტების სახელოსნო არ იყო. კერძო ხელოსნები ტყავს აძრობდენ გლეხობას და ისიც უვარგის ჩუსტებს ჰყიდდენ. მაზრიდან გამოწვეულია სამი უღარიბესი გლეხის შვილი, რომლებსაც უფასოდ ასწავლიან ჩუსტების კერვას. მათ უფასოთ ეძლევათ ჭამასმა, ბინა, ტანთსაცმელი და ფეხთსაცმელი.

ვ. გურგენიძე.

სოფლის ქრონიკა

— კინო აჭარისტანის პოლიტგანმა შეიძინა რამდენიმე მოძრავი კინო მაზრებში სურათების საჩვენებლად.

— აფთიაქი. ქედის სამაზრო აღმასკომი ქედში ხსნის აფთიაქს.

— არხი. კასპის თემში შეუდგენ არხის გაყვანას.

— შეკეთება. რაჭის აღმასკომმა დაამთავრა სკოლების შენობების შეკეთება.

— მეთევზეობა. ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა მაზრაში მეთევზეობის სამრეწველო ნიადაგზე დაყენების საქმეს.

— სანიტარია. ახალციხის ყოველ თემ-სოფლებში ეწყობა სანიტარული კომისიები.

— საკავშირო აღწერის ხელის შესაწყობათ ოზურგეთის აღმასკომმა აირჩია განსაკუთრებული სამეული.

მუშათა ცხოვრება

თელავის აბრეშუმის ფაბრიკა

ფაბრიკის და მის დამხმარე შენობების ტერიტორია უდრის სივრცით 243 კვადრ. საჟ. თვით ფაბრიკას უჭირავს ქვის ორსართულიანი სახლი. ამ მთავარ შენობაში არის 16 ოთახი შიდა მოცულობით 602,7 კუბ. საჟ. მთელ შენობას აქვს მიცემული კაპიტალური შეკეთება. მთავარ შენობის ქვედა სართულში მოთავსებულია აბრეშუმის ამომხვევი განყოფილება, მის გვერდით ბინაზე მოწყობილია ელექტრო-მოტორი. აბრეშუმის ამომხვევ განყოფილებისაგან სრულიად განცალკევებულ შენობაში მოთავსებულია საქვაბე განყოფილება.

აბრეშუმის ამომხვევი დაზგები დანაწილებულია „ბათალი“-ს სისტემის თასებზე. ზემო სართულში მოთავსებულია დამზადებულ აბრეშუმის ძაფის საწყობები, კანტორა, მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები და ოთახი მომსვლელთათვის.

ქვედა სართულს იატაკი ბეტონისა აქვს. დაზგებზე მომუშავე ქალებისათვის დაზგების წინ არის გაკეთებული ხის ფენილი.. დღიური სინათლე საკმარისია.

აბრეშუმის ამომხვევ განყოფილების ჭერში მეორე სართულზე გაყვანილია ორთქლის ამწოვი მილები 6. თვითეულ მილის დიამეტრი უდრის 6—8 ვოჯს. ექვსივე მილის ნაკვეთის საერთო მოედანი არ ეთანაბრება იატაკის ზედაპირის სიფართეს. ფანჯრებს არა აქვთ „ფრამუგები“.

ამჟამად შენობაში არ ხდება წყლის ორთქლის დაგროვება, ვინაიდან იგი გადის ღია ფანჯრებიდან, მაგრამ როგორც კი სიცივეები დადგება და ფანჯრები დაიხურება, მაშინ ის ორთქლი მთლიანად ვერ შესძლებს ამწოვი მილებით გასვლას და ამიტომაც მოხდება ორთქლის დაგროვება ჭერზე, რის შედეგიც იქნება წვეთა. ეს მოვლენა კი უნდა ჩაითვალოს დიდ ნაკლად და მუშათა ჯანმრთელობისათვის მავნედ.

შენობაში სიცივეების დროს ჰაერი იმდენად გაიჟღინთება ორთქლით, რომ კაცს მოაგონებს არა მუშათა ბინას, არამედ ორთქლის აბანოს.

ორთქლის გარდა სამუშაო ბინის ჰაერი ფუჭდება აბრეშუმის პარკების დასველებით. გაზვიადებული მუშაობა მოითხოვს მეტ ყურადღებას და ძალთა დაჭიმვას.

ეს ყველაფერი იწვევს მომუშავეთა სისხლნაკლებობას, ამ უკანასკნელის ნიადაგზე კი მუშები ადვილად ითვისებენ ჭლექს.

სხვა პროფესიონალურ დაავადებათა შორის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ ძლიერ ხშირია თითების კანის დაფუფქვა. როგორც სპეციფიური დაავადება. მუშა-ქალები იფუფქავენ თითის წვერებს მდუღარე წყალში იმ დროს, როცა იჭერენ აბრეშუმის ძაფის წვერებს.

მუშაქალებს სრულებით არა აქვთ სპეც-ტანისამოსი. ჩამოსაკიდიც არა აქვთ სათანადო ადგილას.

არა აქვთ ცალკე საჭმლის მისაღები შენობა.

დადგება თუ არა სიცივეები, მუშა-ქალები იძულებულნი შეიქნებიან 1½ საათი თავისუფალი დრო, მიცემული დასასვენებლად, გაატარონ სამუშაო ოთახში.

მუშებს არა აქვთ აბანო, რიგიანად მოწყობილი პირის საბანი.

არსებული ფეხისადგილები სამუშაო ბინებიდან დაშორებულია 25—30 საჟ.

აბრეშუმის ამომხვევ ფაბრიკაში უპირველეს ყოვლისა უნდა მოეწყოს ვენტილიაცია.

საჭმელის მისაღებად უნდა იყოს განცალკევებული სავანგებოდ მოწყობილი შენობა. ზაფხულობით და კარგ ამინდში კი სასურველია საუზმე იმართებოდეს ღია ჰაერზე.

გამოვსთქვამდი სურვილს, რომ შენობის პროექტების შედგენის დროს, იხელმძღვანელონ არა მარტო საამშენებლო დებულებებით, არამედ შრომის სანიტარიის დადგენილებებით, მით უმეტეს. რომ აბრეშუმის საქმეს ჩვენში (საქართველოში) აქვს დიდი მომავალი.

საქმის მცოდნე.

თბილისის პოლიტგანის საყურადღებოდ

უკვე რამდენიმე წელია, რაც დიდუბეში არსებობს შოთა რუსთაველის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველო. იგი მოთავსებულია უვარგის შენობაში. ამას გარდა, ჩვენი უბნის მკითხველთა 95 პროცენტმა არაფერი იცის მის არსებობაზედაც. ეს აიხსნება იმით, რომ იგი თითქმის სრულიად მოწყვეტილია ჩვენ უბანს, არის სადღაც, მუშტაიდის ბაღის კუთხეში, მიყრუებულ ადგილას. სამკითხველოში რომ შეხვიდე, საჭიროა გადაიარო დიდუბის ქუჩა, რომელზედაც ავდარში ტალახი და დარში კი მტვერი დგას. საღამო ჟამს ხომ შეუძლებელია იქ გავლა სიბნელისა გამო.

თუ გსურთ ეს წიგნსაცავ-სამკითხველო ემსახურებოდეს ჩვენს მუშურ უბანს, აუცილებლად საჭიროა, მისი გადატანა უბნის ცენტრში. ამით ჩვენ უბნის მოსახლეობას მიეცემა საშუალება ისარგებლოს წიგნსაცავ-სამკითხველოთი; ყოველ შემთხვევაში მას ეცოდინება მაინც, რომ ასეთი დაწესებულება დიდუბეშიაც არსებობს.

დიდუბელი მკითხველი.

ესეც ადგილკომის თავმჯდომარეა

რამოდენიმე ხნის წინად შავი ზღვის რკინის გზაზე ადგილი ჰქონდა ზოგიერთ გაუგებრობას ადმინისტრაციასა და მუშებს შორის.

პროფკავშირი ბრალს სდებდა ადმინისტრაციას მასში, რომ იგი თავის დროზე არ ურიგებდა მუშებს ხელფასს.

ყველა ამაში როგორც ეხლა გამოირკვა ბრალი მიუძღოდა ადგილკომის თავმჯდომარეს გოიგოლიას. იგი ერეოდა „არა-მკითხესავით“ ადმინისტრაციის საქმეებში. მის დაუკითხავად ადმინისტრაციას არ ჰქონდა მუშა-მოსამსახურის არც მიღება-დათხოვნის და არც გადაყვან-გადმოყვანის უფლებები. იგი ერეოდა სამუშაოთა ნუსხების შედგენაში და აგრეთვე მიაღწია მასაც, რომ ადმინისტრაციას დაერიგებია მუშებისათვის ფული არა უშუალოდ, არამედ მის „წარმომადგენლების“ საშუალებით.

ერთ-ერთმა ასეთმა „წარმომადგენელმა“ ვინმე გაგუამ გაიტაცა 1.200 მანეთი. მაგრამ მალე იქნა შეპყრობილი.

გაუგებრობის სალიკვიდაციოთ ადგილობრივ გაიგზავნა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიოდენ მშენებელთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. აღლაძე, ზუგდიდის პარტკომის საორგ. განყ. გამგე ამხ. შელია, გზათა სახ. კომ. ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. კოჩინევი და შავი ზღვის რკ. გზ. სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ხახტაძე.

კომისიამ აღმოაჩინა, რომ აღნიშნულ კონფლიქტში ბრალი მიუძღვის გრიგოლიას, რისთვისაც იგი მოიხსნა სამუშაოდან და ამასთანავე საჭიროდ სცნო შრომის ინსპექტორის დანიშვნა შავი ზღვის რკ. გზაზე.

ა—ძე.

წარმოებას ვადიდებთ

ტყავ-ტრესტის წარმოებასთან არის ქუდის ქარხანა, სადაც მატყლისაგან ამზადებენ სხვადასხვა ხარისხის ქუდებს. 1922-23 წ. ეს ქარხანა მუშაობდა მხოლოდ სამ თვეს 28 კაცით. დღეს აქ მუშაობს 78 კაცი და თვიურად გამოჰყავთ 800 ქუდი. (უფრო მეტი, ვიდრე ომამდე). პროდუქციის მოთხოვნილება დიდია როგორც ადგილობრივ, აგრეთვე მთელ კავშირიდან. ქარხანა მუშაობს ორ ცვლად.

მუშები მუშაობენ მუყაითად. იღებენ ჯამაგირს 80-125 მან.

ეს ქარხანა დღეს შეადგენს ტრესტისათვის ერთ-ერთ საუკეთესო შემოსავლიან დარგს.

არც ერთი ზარმაცი და ლოთი მუშა არა გვირევია. ყველა იმის ცდაშია, რომ ყურადღებით იმუშაოს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ქარხნის დირექტორის ამხ. სერგო აუშტროვის ენერგიული და დაუღალავი მუშაობა. მას არ ჰყავს კანტორის არც ერთი მოხელე (სხვებს 3-4 კაცი ჰყავთ). იგი მოდის დილის 6 საათზე და მიდის საღამოს 5-6 და ისიც ტრესტისავე კლუბში, სადაც იგი დღიდან დაარსებისა სრულიად უსასყიდლოდ ემსახურება კლუბის კანცელარიას.

ჩვენი მხურვალე სალამი ასეთ მუყაით მუშებს და დირექტორს. რომლებიც სამაგალითონი არიან ჩვენ წარმოებაში.

მუშკორი ნაპერწკალი.

მუშათა ქრონიკა

— მუშები ლენინაკანელებს ეხმარებიან. სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა გადაიდოს თითეულ თანამშრომელთა ჯამაგირიდან ერთი პროცენტი ლენინაკანში მიწის ძვრის გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— მოხსენება. 27 ოქტომბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში დ/ნ.-2 მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთა ამხ. მაღრაძემ.

მუშაობის გასაძლიერებლად და პრაქტიკულ წინადადების გამოსამუშავებლად კრებამ გამოჰყო კომისია.

— რეგისტრაცია. სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ საჭიროდ სცნო, რათა „ზაკტპო“-ს წევრთა შორის გატარდეს რეგისტრაცია.

— ჯამაგირების მომატების შესახებ. ამ დღეებში აქაურ მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. უსტიაშვილის მუშებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ და გამოსთქვა კმაყოფილება მიმდინარე მომატების გამო.

— რეპერტუარი. პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა დრამწრემ ზამთრის სეზონისათვის შეიმუშავა შემდეგი რეპერტუარი: „ანტიგონე“, „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია“ და „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ.

— მუშათა მასიური ექსკურსია. 31 ოქტომბერს მოეწყო თბილისის მოძრაობის დარგის მუშათა მასიური ექსკურსია ამხ. ნ. ვაჭარაძის ხელმძღვანელობით „ზაჰესში“.

— კიდევ დახმარება. სად. წნორის წყლის მუშებმა გადასდეს თვიური ჯამაგირის ერთი პროცენტი ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

წითელ ჯარში

შეკრებათაშორისო მუშაობისათვის

ქართული ტერიტორიალური დივიზიის ნაწილები შეუდგნენ საზამთრო გეგმის განხორციელებას. საერთო ტერიტორიალური შეკრების შემდეგ ასეულები დაბრუნდნენ თავ-თავის წერტებზე, სადაც იწარმოებს მუშაობა ცვალებად წითელ-არმიელებს შორის და აგრეთვე მუშათა მოსახლეობის შორის, მის გასამხედროების მიზნით.

ამ სახის მუშაობა გაგრძელდება მორიგ საერთო ტერიტორიალურ შეკრებამდის. მუშაობას ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდე ტერიტორიალური მშენებლობის დროს ექცევა მთავარი ყურადღება, იმაზე, თუ რამდენათ წარმატებით იქნება ჩატარებული ეს მუშაობა დასიძლიერეზე.

ცვალებადი წითელი არმიელი მთელი წლის განმავლობაში იმყოფება ყაზარმაში მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენ დროს იგი ატარებს სახლში და ეწევა ჩვეულებრივ საქმიანობას. ამ ხანში საჭიროა, რომ ცვალებადელების და ყაზარმის შორის არსებობდეს კავშირი; საჭიროა, რომ ცვალებადელი გრძნობდეს, რომ იგი არის წითელი არმიელი, დროებით დაბრუნებული სახლში.

კავშირის განსახორციელებლად ცვალებადელებს და ყაზარმის შორის გამოყოფილნი არიან ე. წ. რწმუნებულები. მათი მოვალეობაა ადევნონ თვალ-ყური ცვალებადელების საქმიანობას, მათ მეცადინეობას და მიიღონ ზომები, რომ ცვალებადელებმა შეასრულონ ყველა ის დავალებები, რომელსაც დააკისრებს მათ ესა თუ ის ასეული.

მუშაობა ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდე წარმოადგენს ერთგვარ სიძნელეს, ვინაიდან ცვალებადი წითელარმიელნი გაფანტულნი არიან სხვადასხვა სოფლებში. მათი თავმოყრა ერთ ადგილას საუბრის ან კრების ჩატარებისათვის ხშირად შეუძლებელი ხდება. აგრეთვე ძნელი ხდება მათთან სხვადასხვა სახის მუშაობის ჩატარება, მეტადრე ზამთრის პერიოდის განმავლობაში. აი აქ საჭიროა და აუცილებელი, რომ ნაწილების ასეულებს ჩვენი სოფლების და ქალაქების სამოქალაქო დაწესებულებებში აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ცვალებად წითელარმიელებთან მუშაობის საწარმოებლად.

დახმარება უნდა გამოიხატებოდეს უპირველეს ყოვლისა შესაფერ ბინის გამოძებნაში, სადაც შესაძლებელი იქნება ამათუ იმ სოფლის ცვალებადელების შეკრება და მათთან საუბრის გამართვა. წარსულში ბინის უქონლობა დიდათ აბრკოლებდა ცვალებადელების საქმეს. ეხლა საჭიროა, რომ ეს ნაკლი თავიდან იქნეს აცილებული. შემდეგ, საჭიროა ზომების მიღება, რათა სოფლის ქოხ-სამკითხველოები მომარაგებულ იქნენ ისეთი ლიტერატურით, რომელიც ხელს შეუწყობს ცვალებადელების მომზადების საქმეს. მაზრების პოლიტგანათლების განყოფილებებმა პირველ რიგში უნდა შეიძინონ სამხედრო ხასიათის ლიტერატურა, პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ სხვა ლიტერატურასთან ერთად უნდა გამოსცეს აგრეთვე სამხედრო ხასიათის ლიტერატურა, ვინაიდან ქართულ ჯარის პოლიტგანყოფილებები მოკლებულნი არიან ამის საშუალებას სახსრების უქონლობის გამო.

ადგილობრივმა პარტიულმა და კულტურულმა დაწესებულებებმა ასეულების მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდონ მათ მომხსენებლები საუბრების, ლექციების და მოხსენებების ჩასატარებლად.

ვინაიდან მუშაობა ცვალებადელების შორის იწარმოებს სამხედრო კუთხეებში, სადაც ეს უკანასკნელნი არსებობენ, ამიტომ მიღებულ უნდა იქნეს ზომები სამხედრო კუთხეების სათანადო მოწყობისათვის. მათ მოწყობაში უახლოესი მონაწილეობა უეჭველათ უნდა მიიღონ, როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქო დაწესებულებებმა.

ზ. ი.

უმუშევარ თადარიგის მეთაურთა მოწყობა სამოქალაქო სამსახურში

გამოქვეყნებულია ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავრობის ცენტრალურ კომისიის დადგენილება უმუშევარ თადარიგის მეთაურთა მოწყობის შესახებ სამოქალაქო სამსახურში.

უმუშევარი თადარიგის მეთაურნი გაიგზავნებიან სამუშაოდ სამოქალაქო დაწესებულებებში მიმდინარე წელში ჯარის ნაწილებიდან დათხოვნილ მეთაურებთან ერთად.

რათა მათი სამსახურში გაგზავნა ჩატარებულ იქნეს გეგმიანად, ცენტ. კომისია წინადადებას იძლევა მოხდეს უმუშევარ მეთაურთა აღრიცხვა. აღრიცხვას ახდენენ შრომის ბირჟები, სამხედრო ბირჟები სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით. უმუშევართა გაგზავნა ადგილებზე იწარმოებს წრეულ, დათხოვნილ მეთაურთა მოწყობის შემდეგ.

მუშათა კრედიტ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გაირჩა საკითხი კრედიტის მიცემის შესახებ მუშა-მოსამსახურეებისათვის.

პროფსაბჭომ დაადგინა კრედიტი მიეცეს მუშკოოპის ის სრულუფლებ. წევრებს, რომლებიც თვეში იღებენ არა უმეტეს 120 მანეთისა. კრედიტის ვადაა 4 თვე. კრედიტის სახით მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ შეკერილი ტანისამოსი, ქურქლეულობა, ფეხსაცმელები და საგალანტერიო საქონელი.

მუშა-მოსამსახურეებს ამჟამად ყველაზე უფრო აინტერესებთ მანუფაქტურა. მაგრამ გამოირკვა, რომ მუშკოოპს ჯერ-ჯერობით არ შეუძლია მანუფაქტურის ნისიათ მიწოდება მუშა-მოსამსახურეებისათვის.

სამაგიეროდ გადაწყვეტილია საოჯახო მოწყობილობის დგამის მიწოდება მუშა-მოსამსახურეებისათვის ნისიად.

საოჯახო მოწყობილობა გაცემული იქნება ქალაქის სხვადასხვა რაიონებში მუშკოოპის ოთხი მაღაზიიდან. ამასთანავე დაწესებულია თავისუფალი შერჩევა. მუშა-მოსამსახურეს შეუძლია წაიღოს ის, რაც მას სურს.

აღსანიშნავია, რომ კრედიტი მიეცემა პროფკავშირების მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც ითვლებიან მუშკოოპის წევრად. ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის საკითხი იმის შესახებ, მიეცემათ თუ არა კრედიტი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს.

კრედიტის რაოდენობა განსაზღვრულია თვიური ხელფასით.

კალოშები

ცეკავშირის საკომისიო განყოფილების ცნობით, ძლიერ გაძნელებულია რეზინის ტრესტიდან კალოშების მიღება და მათი მიწოდება კოოპერატივებისათვის.

რეზინის ტრესტში ამის შესახებ განაცხადეს:

კოოპერაციისათვის კალოშების მიწოდება ფერხდება იმის გამო, რომ ცეკავშირისაგან გვიან იქნა წარმოდგენილი სია. ამასთანავე წარმოდგენილ სიაში შეტანილია ისეთი კოოპერატივებიც, რომელთაც წარსულში სავაჭრო ოპერაციები ტრესტთან არ უწარმოებიათ.

კალოშების მცირე პარტიებით თვიური გაცემა ტრესტის განყოფილებას ტეხნიკურად არ შეუძლია; საქონლის გაცემა შეიძლება ყოველ ოთხი თვის ნორმის რაოდენობით.

უმთავრესი მიზეზი საქონლის მიწოდების დაყოვნებისა მდგომარეობს იმაში, რომ თუ ეხლა გაიცემა კალოშების უმეტესი რაოდენობა, მაშინ ზამთარში არც ერთი კალოში აღარ ექნებათ კოოპერატივებს.

საერთოდ კოოპერაციას კალოშები არ დააკლდება, რადგან ცეკავშირი გენერალურ ხელშეკრულების გარდა (17.500 წყვილი) მიიღებს ზედმეტად 60 ათას წყვილს.

გენერალურ ხელშეკრულებების გარდა, რეზინის ტრესტის თბილისის განყოფილება გასცემს ზედმეტად 200.000 წყვილ კალოშს. აქედან საქართველოზე მოდის 125.000 წყვილი, აფხაზეთზე—23.000 წყვილი და აჭარისტანზე—17.000 წყვილი.

აგური

ოქტომბრის მეორე ნახევარში სოხუმის მახლობლად (გულრიფშში) ამუშავებულია აგურის ახალი ქარხანა, რომელიც ააგო სოხუმის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ. ახალი ქარხანა აგებული და მოწყობილ იქნა იმ ადგილს, სადაც მოიპოვება ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა საუკეთესო ღირსების თიხა. 1913 წლამდე ამ ადგილას მუშაობდა აგურის ქარხანა, რომლის დარჩენილი ქონება გამოყენებულ იქნა ახალი ქარხნისათვის.

ამჟამად ზემოხსენებული ქარხანა წარმოადგენს ერთად-ერთს საამშენებლო მასალას აფხაზეთში. ქარხნის ნაყოფიერება ერთს სეზონში უდრის ერთს მილიონ ცალს აგურს.

ქარხანამ პირველი ნოემბრისათვის უკვე გამოუშვა თავის ნაწარმოების პირველი პარტია, სულ 550 ათასი ცალი აგური.

ამჟამად ქარხანაში სწარმოებს როსტოვში შეძენილი ფორმების და დაზგების დადგმა. ქარხანასთან ეწყობა კრამიტის დამამზადებელი განყოფილება, რომელიც მუშაობას დაიწყებს ამ თვის დამლევს.

მამადავითის სასაფლაო

საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებულმა სამხატვრო-საარქიტექტორო საბჭომ იქონია მსჯელობა მამადავითის სასაფლაოს დაცვის შესახებ. საბჭომ გამოსთქვა ის აზრი, რომ მამადავითის სასაფლაო, სადაც დასაფლავებულია ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვასო აბაშიძე და დ. ყიფიანი, აკრძალულ უნდა იყოს მამა-დავითის სასაფლაოზე ვისიმე დასაფლავება, სანამ არ მოეწყობა იქ პანთეონი და არ იქნება შემუშავებული და დამტკიცებული პანთეონში დასაფლავების წესი.

საბჭომ საჭიროდ სცნო მამა-დავითის სასაფლაოს ტოპოგრაფიული გეგმის გადაღება შემდეგი მიდამოებით: ფუნიკულიორის ლიანდაგიდან ილია ჭავჭავაძის სამარის გვერდით მდებარე ხევამდე, ეკლესიის ზემოდ 20 საჟენამდე და ქვემოდ—გზა ორივ გვერდზე ხევებით მამადავითის მოედნამდე. ჰორიზონტალებით და ნიკელობის ნიშნებით, საფლავების და მცენარების აღნიშვნით სასაფლაოზე. გარდა ამისა გადაღებულ უნდა იქნეს ტოპოგრაფიები ეკლესიისა, ილიას ძეგლისა და ეკლესიის უკანა კედლისა.

ყველა ამისათვის საბჭოს აზრით უნდა შესდგეს შეჯიბრება ჟიური, პროფ. ს. ქურდიანის მონაწილეობით და გამოცხადებული კონკურსი პანთეონის პროექტის შედგენისათვის.

კალიაევის აღმართი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო გააფართოვოს კალიაევის (ყოფ. ციციშვილის) აღმართი, (სადაც მოხდა უბედური შემთხვევა) რომ ამით ხელი შეუწყოს აღნიშნულ აღმართზე თავისუფლად მიმოსვლას.

პრეზიდიუმმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო სასწრაფოდ განიხილოს კალიაევის (ყოფ. ციციშვილის) აღმართის გაფართოების საკითხი. კომისიაში შედიან ამხ. ასრიევი, ლეჟავა, მირველოვი, მუხაძე და გორბანენკო.

ამ აღმართის გაფართოების საკითხი დიდმნიშვნელოვანია, ვინაიდან აღმართის გაფართოებით შესაძლებელი იქნება მომავალში უბედური შემთხვევების აცილება.

ახალი რკინის-გზები

გზათა სახალხო კომისარის რწმუნებულის ა.-კ. სამმართველო ამ ჟამად ამუშავებს პროექტებს ახალი რკინის გზების გასაყვანად. წინასწარი მუშაობა პროექტების შესადგენათ უკვე დასრულებულია. პროექტებით გათვალისწინებულია რკინის გზის ახალი შტოების გაყვანა; პირველია—კატარის რკინის გზის შტო, ხოლო მეორე—აქსტაფა-ერევნის რკინის გზა.

კატარის რკინის გზის ხაზის საერთო სიგრძე დაახლოვებით 39 კილომეტრი უნდა იქნეს. იგი გაყვანილი იქნება სად. მეჯინიდან კაფან-კატარის სპილენძის მაღაროებამდე. ამ გზას დიდი ექსპლოატაციური მნიშვნელობა ექნება. იგი გაივლის მდ. ოხჩიჩაის ხეობაზე, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ნოყიერ დაბლობათ ითვლება აზერბეიჯანში.

აქსტაფა-ერევანის რკინის გზა გავა სად. აქსტაფადან მდ. აქსაფინკის ხეობით, გაივლის დელიჟანზე და სემიონოვის უღელტეხილით—ელენოვკით ერევანამდე. გზის საერთო სიგრძე იქნება 230 კილომეტრი.

წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად გაღებული იყო გზათა სახალხო კომისარიატიდან 51.700 მანეთი. პროექტების შედგენის შემდეგ მეორედ იქნება გადასინჯული აღნიშნული პროექტები, რის შემდეგ შეუდგებიან გზის შენებას.

კატარის რკინისგზის აშენებას დასჭირდება 4.200.000 მანეთი, ხოლო აქსტაფა-ერევანის რკინისგზის ხაზის გაყვანას 10 მილიონი მანეთი.

ლიბანის სანატორიუმი

ლიბანის სანატორიუმის საამშენებლო კომიტეტის ცნობით, სანატორიუმის შენობის ასაგები მთავარი სამუშაოები თითქმის დამთავრებულია. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა შენობის შიგნით. სახელდობრ: ცენტრალური გათბობის მოწყობა, ელექტრო-ქსელის გაყვანა, გალექვა და სხვა. ყველა ეს სამუშაოები დამთავრებულ იქნება დეკემბრისათვის. დარჩება ზოგიერთი სამუშაოები, რომელთა წარმოება ზამთარში არ შეიძლება; მათ ჩაატარებენ გაზაფხულზე.

ივნისის თვიდან სანატორიუმში დაიწყება ავადმყოფების მიღება. სანატორიუმი დაიტევს—1.500 ავადმყოფს.

სანატორიუმში მოწყობილი იქნება: რენტგენის, წყლით მკურნალობის და სინათლით მკურნალობის კაბინეტები. მათთვის საჭიროა სპეციალური აპარატები, რომელთა შეძენის საკითხის გამოსარკვევად ამ ჟამად მოსკოვში იმყოფებიან საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დიკი და კომიტეტის წევრი ექ. კილურაძე.

სანატორიუმისათვის საჭირო დგამავეჯის შეძენას კომიტეტი უკვე შეუდგა.

სანატორიუმს აშენებს რკინისგზის უწყება.

სამშობიარო პოლიკლინიკა

ჯანსახკომში ამჟამად ამუშავებენ მასალებს თბილისში სამშობიარო პოლიკლინიკის მოწყობის შესახებ. ჯანსახკომის მიერ ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტი ვერ უთავდება ყველა მოთხოვნილებას და ხშირათ მშობიარობა ხდება ყოვლად დაუშვებელ პირობებში მედიცინის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ იწვევს ხშირ მსხვერპლს (მუცლის გადაყოლა, მუცლის მოწყვეტა და სხ.).

ამის გამო გადაწყვეტილია მოეწყოს პოლიკლინიკა, რომლის მუშაობის პრინციპები იქნება შემდეგი: მშობიარე ქალის შესახებ პოლიკლინიკას შეატყობინებენ დანიშნულ ადგილას; პოლიკლინიკის მიერ ოჯახებში იქნება გაგზავნილი მეანე-ექიმი და ბებია ქალი მშობიარესთვის დახმარების გასაწევათ.

სულ თბილისი დაიყოფა რამოდენიმე რაიონათ; თვითეულ რაიონისათვის პოლიკლინიკას ეყოლება ცალკე შტატი. ასეთივე ქსელი შემდეგში გავრცელდება მთელ რესპუბლიკაში.

გამომგონებლები

ს. მ. უ. ს. მიერ გამოცემულია დადგენილება გამომგონებლების განთავისუფლების შესახებ გამოგონების განსახილველათ დაწესებულ გადასახადისაგან.

დღემდე არსებობდა ისეთი წესი, რომ თუ რომელიმე გამომგონებელი წარადგენდა პროექტს თავის გამოგონების შესახებ, უნდა გადაეხადა მის განსახილველათ განსაკუთრებული გადასახადი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მიერ ამის შესახებ გამოცემული იყო ცალკე ბრძანება, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირის გამომგონებლები თავისუფლდებოდენ გადასახადისაგან.

გამომგონებელთა რიცხვი საქართველოში მცირეა, ვიდრე კავშირის სხვა რესპუბლიკებში. მათ წასახალისებლათ საქართველოს ს. მ. უ. ს. მიერ გამოცემული დადგენილება გულისხმობს მთელ რიგ უპირატესობებს.

არსებული მასალებით, სხვათა შორის, ირკვევა რომ გამომგონებელთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები.

ყარაიას არხი

წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დანიშნული იყო სპეციალისტთა კომისია ყარაიას სარწყავი სისტემის დაზიანებული ნაწილების აღსადგენათ.

კომისია—პროფ. მიკულინის, ინჟ. ჯაფარიძის, მამრაძის და სენაჟენსკის შემადგენლობით გაემგზავრა არხების დასათვალიერებლათ და გამოიტანა დადგენილება, რომ სარწყავი სისტემის აღსადგენათ საჭიროა მთელი რიგი ზომების მიღება.

გადაწყვეტილია ზოგიერთი ძველი არხების მიმართულება შეიცვალოს და ზოგს მოემატოს სიგრძე. არსებული არხების ერთი ნაწილი კომისიის მიერ ცნობილია იმდენათ დაძველებულათ, რომ ისინი ვერ უძლებენ წყლის მოწოლას და ხშირად უნარმოკლებული არიან წყლის განაწილებაში.

ახლო მომავლისათვის განზრახულია შეუდგენ მთელი სარწყავი სისტემის შეკეთებას.

ბავშვთა სანატორიუმები

ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველომ წელს სურამში შეიძინა ერთი სახლი. აღნიშნულ შენობაში წელს მოთავსებული იყო ციებ-ცხელებიანთა დასასვენებელი სახლი. ამ ჟამად, ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს ამ სახლის კაპიტალური შეკეთება, რის შემდეგ მასში მოეწყობა სანატორიუმი ციებ-ცხელებით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალოთ. წინასწარი გამოკვლევით აღნიშნულ სანატორიუმში დადგმული იქნება 50 ლოგინი ავადმყოფ ბავშვებისათვის.

ტრაქტორები

საქართველოში, ავტონომიური რესპუბლიკების გარეშე, ამჟამად მუშაობს 141 ტრაქტორი; მაზრებში ისინი განაწილებულია შემდეგნაირად:

ოზურგეთის მაზრაში—2, შორაპნის—2, რაჭის—1, ქუთაისის—5, სენაკის—5, ზუგდიდის—2, სულ დასავლეთ საქართველოში—17.

გორის მაზრაში—15, ბორჩალოს—14, თბილისის—25, თელავის—10, სიღნაღის—40, ახალციხის—1. სულ აღმოსავლეთ საქართველოში—105. (ცნობები 19 ტრაქტორის შესახებ საგეგმო კომისიას არ აქვს მიღებული).

ყველა ტრაქტორებიდან—117 „ფორძონის“ სისტემისაა, 21—„ხოლტ“-ი, 2—„ფიატი“ და 1—„ინტერნაციონალი“. ტრაქტორები განაწილებულია შემდეგნაირად: 14 ტრაქტორი ეკუთვნის სამაზრო აღმასკომს, 3—გლეხკომებს, 20—საკრედიტო ამხანაგობებს, 20—სამანქანო ამხანაგობებს, 16—კომუნებს და არტელებს, 4— სახალხო მამულებს, 4—საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, 12—საბამბო კომიტეტს, 2—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს, 2—განათლების სახალხო კომისარიატს. დანარჩენი ტრაქტორების შესახებ ცნობები არ არის მიღებული.

სპეციალური სარემონტო სახელოსნოები სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღებისათვის, გარდა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სახელოსნოსა და ხონის ტეხნიკუმისა, არ არის, მაგრამ სახელოსნოები, სადაც ფაქტიურად სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შეკეთება, საქართველოში არის შემდეგ პუნქტებში: თბილისში, ახალსენაკში, ონში, გორში, თელავში და თბილისის მოძრავი სახელოსნო.

საგეგმო კომისია ამჟამად აგროვებს ცნობებს ამ სახელოსნოების მდგომარეობისა და დატვირთვის შესახებ.

მეთამბაქოება

მეთამბაქოების ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენში და მისი აღდგენა-განვითარების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგის საჭიროებებს.

აღსანიშნავია, რომ საბანკო კრედიტის სახით საამისოთ ა.-კავკასიისათვის გაღებული თანხები ძალიან მცირეა. მეორეს მხრივ, გლეხ-პლანტატორებისათვის ავანსების მიცემის საქმე ჩვენში ვერაა მოწესრიგებული.

გარდა ამისა, თამბაქოს დამამზადებელი ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო აქტივობას თამბაქოს პლანტაციების გაფართოებისათვის ხელის შესაწყობად და პლანტატორების ავანსებით უზრუნველსაყოფად.

რათა მომავალი წლისათვის თავიდან აცილებული იქნეს წარსულ წლების მუშაობაში დაშვებული შეცდომები და გამოყენებული იქნეს მიღებული გამოცდილება, საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ ამ თვეშივე შემუშავდეს სათანადო ღონისძიებანი მეთამბაქოებისათვის გადადებულ თანხების გადიდების და მათი რაციონალურად გამოყენებისათვის, პლანტაციების გაფართოებისათვის და თამბაქოს დამზადების მოსაწესრიგებლად.

ამის გამო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ს. მ. უ. ს., შინა-ვაჭრობის სახკომატს, მიწსახკომს, სასოფლო-სამეურნეო ბანკს, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს, „სოფლის კავშირს“ და თამბაქოს ტრესტს დააგროვონ და შეისწავლონ აღნიშნულ საკითხის შესახებ მათ განკარგულებაში მყოფი მასალა, შეიმუშავონ დასახულ ღონისძიებათა პროექტი და წარადგინონ მასალასთან ერთად საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

საგეგმო კომისიაში

სოფლის მეურნეობა

ვინაიდან მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი არის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხელისშემწყობ ღონისძიებათა გამტარებელი დაწესებულება, ამისათვის საგეგმო კომისიამ დაადგინა იგი ჩაითვალოს ერთ-ერთ ორგანიზაციად, რომელსაც უნდა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სარემონტო საქმის მოწყობა და ის თანხები, რომლებიც ამისათვის არის გადადებული.

კერძო კაპიტალი

სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საგეგმო კომისიის წინაშე, რათა მას უფლება მიეცეს საბრუნავი თანხის გაძლიერების მიზნით გამოიყენოს კერძო კაპიტალი.

საგეგმო კომისიამ უარი უთხრა დამხმარე კომიტეტს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

წყალტუბოს გზატკეცილი

საქართველოს გზატკეცილთა სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს მუშაობას წყალტუბოს გზატკეცილის გასაყვანათ. აღნიშნული გზა ქუთაისიდან წყალტუბომდე ძლიერ დაზიანებული იყო, რაც საგრძნობლად აფერხებდა მიმოსვლას ისეთ დიდ მნიშვნელობის კურორტზე, როგორიცაა წყალტუბო. ამჟამად, აღნიშნული გზატკეცილი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, და მნიშვნელოვან ნაშენებს.

გზატკეცილის შეკეთების საკითხი დაისვა საქართველოს საკურორტო ადგილების სამმართველოში, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს წინაშე წყალტუბოს გზატკეცილის საფუძვლიან შეკეთების შესახებ. ამ მიზნით, საკურორტო სამმართველომ უკვე გაიღო თავის სალსრებიდან სათანადო თანხა 59.522 მანეთის რაოდენობით.

გამოკვლევა

(საქ. მ.-გ. ინსპექციის მასალებიდან)

საქ. ს. მ. უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ სავაჭრო კანტორის ქუთაისის განყოფილების გამოკვლევიდან სჩანს, რომ საქონელი, როგორც ნაღდზე ისე ნისიათ უმთავრესად ეძლეოდათ კერძო ვაჭრებს, მაგ. ივნისში სახელმწიფო ორგანიზაციებზე მთლად იყო გაცემული 1,1 პროც., კოოპერატივებზე 25,9 პროც. და კერძოზე კი 73 პროც. აქედან საქონელი ნისიათ იქმნა გაცემული სახელმწ. ორგანიზაციებზე 2,8 პროც., კოოპერატივებზე 36,4 პროც. და კერძოზე კი 61,8 პროც.

განყოფილება ასაღებდა ამავე დროს სხვა ტრესტების საქონელსაც რაც ეწინააღმდეგებოდა არსებულ წესებს. კანტორის შტატის შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფდა სავაჭრო პოლიტიკის სისწორით გატარებას ცხოვრებაში. მ.-გ. ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ დაინახა საქონლის დიდი რაოდენობა გაცემულ იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე შედარებით ნაკლებ ფასებში, ვიდრე კერძო ვაჭრებზე და ამავე დროს დიდი ნაწილი ნისიათ. რაც შეეხება ქუთაისის გან. მიერ წესების დარღვევას სხვა ტრესტების ნაწარმოებ საქონლის რეალიზაციის შესახებ სავაჭრო მიეცა გაფრთხილება და წინადადება, რომ მომავალში აღარ აწარმოოს სხვა ტრესტის საქონლით ვაჭრობა.

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი“-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ

ლტოლვილების გადაყვანა

ცენტრმა ა.-კ. რკ. გზებს ნება დართო გადაიყვანოს ლენინაკანიდან ლტოლვილები ექვსი მატარებლით, მათგან: 2 მატარებლით თბილისში, ერთით—ბაქოში და სამით—ერევანში.

გარდა ამისა, შეღავათიან ტარიფით გადაყვანილ იქნება 2500 ლტოლვილი. მათგან—1500—ისარგებლებს 50 პროცენტიან და 1000—75 პროცენტიან შეღავათით.

ბარაკები

ლენინაკანში შეუდგენ დაზარალებულ რკინისგზელებისათვის თორმეტი ბარაკის აგებას.

ვაგონები

მიწისძვრისაგან დაზარალებულთ ამჟამად უკავიათ 400 ვაგონი. მათთვის დაგებულია სპეციალურად ორი ჩიხი—200 საჟენის სიგრძისა თითო.

1000 მან. რკინისგზელებს

რკ. გზის პროფკავშირმა გადადებულ 5.000 მან. გარდა დაზარალებულ უმუშევარ რკინისგზელთათვის გასცა დამატებით 1000 მანეთი.

ჯამაგირი წინდაწინ

რკინის გზის პროფკავშირის შუამდგომლობით მიწისძვრისაგან დაზარალებულ რკინისგზელებს ნოემბრის ხელფასი მიეცათ თვის პირველ რიცხვებში.

საკვები პუნქტი

სატრანსპორტო კოოპერაციამ („ზაკტპო“) ლენინაკანში გახსნა საკვები პუნქტი.

ვალის დაკავება გადასდვეს

სატრანსპორტო კოოპერაციამ ერთი თვით გააგრძელა ვადა, დაზარალებულ რკინისგზელთაგან, (რომელთაც წაიღეს ნისიათ საქონელი) ვალის აღების ა.

ხე-ტყის მასალები.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოთხოვნილებისამებრ, ამ დღეებში სტალინგრადიდან მიღებული იქნება ხე-ტყის მასალათა დიდძალი რაოდენობა. უკანასკნელი ცნობით უკვე გამოიგზავნა სტალინგრადიდან 250 ვაგონი ხე-ტყე.

გარდა ამისა ამ დღეებში მოელიან ბათომის ნავთსადგურში გემს—„ხერმეს“-ს ხე-ტყის მასალებით. რამოდენიმე დღის შემდეგ მოვა კიდევ ერთი გემი დატვირთული ლენინაკანისათვის საჭირო ხე-ტყის მასალებით.

მასალების თავის დროზე ადგილობრივ მისაწოდებლად უკვე მიღებულია ყველა წინასწარი ზომები. დაგზავნილი არიან სათანადო აგენტები მასალების გადმოსაზიდათ და ლენინაკანში დანიშნულებისამებრ ჩასაბარებლად.

—

8 ნოემბერს არხანგელსკიდან ბათომის ნავთსადგურში შემოვიდა გემი დატვირთული ლენინაკანისათვის საჭირო 300 ვაგონი ხე-ტყის მასალებით.

ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ხე-ტყის მასალების გადასაზიდათ ლენინაკანში.

მანუფაქტურა დაზარალებულებს.

მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად განსაკუთრებული ზომები არის მიღებული. უკანასკნელი ცნობით, ლენინაკანში დიდ სიცივეებს აქვს ადგილი. ამიტომ კოოპერატიული ორგანიზაციები ამჟამად აგზავნიან ლენინაკანში უმთავრესად მანუფაქტურას და თბილ ტანსაცმელებს. ამ დღეებში „ზაკტპომ“ გადაგზავნა ლენინაკანის რკინის გზის ხაზზე ერთი ვაგონი თბილი ტანსაცმელები და სხვადასხვა მანუფაქტურა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, გუშინ ლენინაკანში გადაიგზავნა 1 ვაგონი მანუფაქტურა და ერთი ვაგონი სილიკატების ნაწარმოები; ამას გარდა ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის წინაშე, რათა დამატებით გადასცეს მას ლენინაკანის დაზარალებულთა საჭიროებისათვის 2 ვაგონი თბილი მანუფაქტურა.

ვიწვევ დასახმარებლად

ამხ. კაიტანჯიანის გამოწვევით, შემომაქვს სამი მანეთი ლენინაკანის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ პირებს: სერგო ხუციშვილს, ბაგრატ მიკირტუმოვს, საშა ჭანტურიძეს, ალექსანდრე დინრაძეს, არტემ აგობაძეს, დავით მირიანაშვილს, (ცეკავშირიდან), ნიკო ეგოროვს (უცხოელ. განყ.), პაველ როსტომაშვილს (შინ. საქ. კომ.) მარტინ ხუციევს (ა.-კ. რაიკომი) სიმონ ჩიქვილაძე (კომზაჰესი) და დანარჩენ ამხანაგებს, ვინც არ შეიტანა დღემდე ფული ამხ. კაიტანჯიანის გამოწვევით.

ივანე მარკოზაშვილი.

აბრეშუმის ძაფის ქარხანა გურიაში

რამოდენიმე დღე არის, რაც გურიის ცენტრში, ოზურგეთში, ამუშავდა აბრეშუმის ძაფის საღები ქარხანა. ეს მხოლოდ ქარხნის ერთი ნაწილია. დაახლოვებით ორ თვეში ამუშავდება იმავ ადგილას ძაფის შემდეგი დასამუშავებელი-საგრეხი ქარხანა. ორივე ეს ქარხანა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვას წარმოადგენს, ამ ქარხანაში მოტანილ სისტემის მანქანები იტალიაშიც კი იშვიათია.

გარდა პროდუქციის გაზრდისა, ქარხნის ძაფი ხარისხითაც უკეთესია. ყველა ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალი ქარხნების დამზადებული საქონელი ნაკლები დაჯდება და თან ხარისხით ევროპიულ ძაფს დაედრება, რაიც თავის თავად დიდ დახმარებას გაუწევს საბჭოთა კავშირის აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობას.

ასეთივე ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს ძაფის საგრეხი ქარხანა. ის შეიცავს სულ 2.400 ჩერიას, რაიც რვა საათის განმავლობაში დაამუშავებს, დაართავს 15 კილოგრამ ქსელს და 25 კილოგრამ მისაქსელს. ამის გარდა მას შეუძლია დაგრიხოს ყოველგვარი სპეციალური ტიპის ძაფი, რაშიაც დიდ ნაკლულობას განიცდის მოსკოვის საფეიქრო მრეწველობა. აქვე შეიძლება დამზადდეს ელექტრონის იზოლიციისათვის საჭირო ყოველგვარი ტიპის ძაფი.



ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანა

I ძაფის სახვევი გან-ბა

II სართავ-სახვევი „ —

III სამანქანო — „ —

IV კანტორა.

გარდა იმისა, რომ ქარხანა 250 მუშას შეინახავს, მას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობის შინამრეწველობის გაჯანსაღებისათვის. აბრეშუმის ქსოვის საქმე ოზურგეთის რაიონში და საერთოთ მთელს გურიაში ძველ დროიდან არის განვითარებული. ოზურგეთის რაიონში დაახლოვებით 400-დე საქსოვი დაზგა არის. ბევრი მათგანი გაჩერებულია მხოლოდ იმისათვის, რომ სათანადო ხელისშემწყობი არვინ არის. ღარიბ შინამრეწველს საშუალება არა აქვს შეიძინოს ნედლი მასალა, წვრილმანი საწარმოო იარაღი და ამის შემდეგ დამუშავებულ საქონლის ბაზარი ეძიოს. მეორე მხრივ დღემდე მას საშუალება არ ჰქონდა საქსოვად ძაფი სახლში დაემზადებინა.

აბრეშუმის პარკის შინაურულ წესით ძაფად ამოღება, იმდენად საზარალოა, რომ შინამრეწველის შემდეგი მუშაობის მოგებას და სარგებლიანობას სავსებით აქარწყლებს. მეორეს მხრივ ძაფის ხელით დავრეხა იმდენ დროს ართმევს შინამრეწველს, რომ შეუძლებელია, ეს დრო ოდნავ მაინც აინაზღაუროს გამომუშავებულ პროდუქციით. აბრეშუმის შინამრეწველობაში სარგებელს იძლევა მხოლოდ ქსოვა. თუ შინამრეწველს თქვენ მისცემთ დართულ ძაფს და სათანადო ინსტრუქტორულ დახმარებას გაუწევთ, მას შეუძლია მოქსოვოს ყოველგვარი ქსოვილი, რაიც ხარისხით თუ უკეთესი არა, ნაკლები მაინც არ იქნება ქარხანაში ნაქსოვთან შედარებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის ქსოვის შინამრეწველობას ჩვენში უკვე შემუშავებული აქვს განსაზღვრული ტიპი ქსოვილებისა. (დარაია, თავსაფრები და სხვა) რაიც ყოველ კონკურენციის გარეშე გასაღდება შინა ბაზარზე და საზღვარ-გარეთაც.

იტალიაში დიდი სახელი მოიხვეჭა ეგრედწოდ. ვენეციურ თავსაფრებმა. აღნიშნული თავსაფრები (ხშირად იმიტაციაც) წლიურად საღდება საზღვარ გარედ სამ მილიონ ცალამდე და აძლევს იტალიის ბიუჯეტს ერთ მილიარდ ლირას (60 მილიონ მანეთს). ოზურგეთის რაიონში დამზადებული თავსაფრები ხარისხით და ვარსახით არ ჩამოუვარდება ვენეციურ თავსაფრებს. ამ გარეგნულად უმნიშვნელო საგანს სავსებით შეუძლია ჩვენი ერთი მხარე ფეხზე წამოაყენოს.

ოზურგეთის ახლად მოწყობილ ძაფის საღებ-საგრეხ ქარხანას, შეუძლია შინამრეწველთ მიაწოდოს საუკეთესო ხარისხის ნაგრეხი ძაფი, ეს გააიაფებს ქსოვილს და ხარისხითაც მაღლა ასწევს მას. ქარხნების დახმარებით ჩვენ სულ იოლად შეგვიძლია ავამოქმედოთ 300 საქსოვი დაზგა; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვითეულ საქსოვ დაზგაზე ოჯახში ორი მუშა მუშაობს, რაიონში სამუშაოს იშოვის 600 ქალი. ეს კი ოზურგეთის ქარხნის მუშათა რიცხვის ორმაგი რაოდენობა არის.

უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ შინამრეწველმა შესძლოს ქარხნით სარგებლობა—ეს დიდი საკითხია. ჩვენ თავიდან უნდა ვიცოდეთ, რომ შინამრეწველი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვერ შესძლებს თავისივე ხარჯით შეიძინოს ძაფი და ამით ისარგებლოს ჩვენი ქარხნებით.

უნდა მოეწყოს ადგილობრივ ისეთი ორგანიზაცია (წმინდა სამრეწველო სახის), რომელიც მიაწოდებს შინამრეწველთ საწარმოო იარაღს, დაურიგებს საჭირო ხარისხის ძაფს, ჩაიბარებს ნაქსოვს და შინამრეწველს განსაზღვრულ ჯილდოს მისცემს. შინამრეწველს მეტი არაფერი არ უნდა ეკითხებოდეს. აღნიშნულ ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს ნაქსოვის საბოლოოდ დამუშავება (გამოგბობა, შეღებვა, დაუთოვება და სხ.) და მოაწესრიგოს ბაზრის საკითხი. აი, ასეთია ჩვენის აზრით ის გზა, რომლითაც ახალ ქარხნებს ჩვენ მთელი ასი პროცენტით გამოვიყენებთ.

სპ. ჩომახიძე.

ბინების აშენება

ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა საქ. მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს გადასცა 100 ათასი მანეთი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობებისათვის გასანაწილებლად.

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ეს თანხა გაანაწილა შემდეგნაირად: ამხანაგობა „ვაკეს“ მიეცა 38 ათასი მანეთი, ამხანაგობა „ვპერიოდს“—32 ათასი და ტროცკის სახელობის საბინაო-საამშენებლო ამხანაგობას—30 ათასი მანეთი.

ეს თანხები მოხმარდება მუშათა სახლების აგების საქმეს მიმდინარე წელში.

გლეხთა სახლში

ოქტომბრის განმავლობაში გლეხთა ცენტრალურ სახლში ღამე გაათია. უფასოთ 85 გლეხმა, ხოლო 1.068 გლეხმა ფასის გადახდით. იზოლიატორში ამ ხნის განმავლობაში მოთავსებული იქნა უფასოთ 108 გლეხი, ფასით—358.

სახლში ამავე ხანში უფასო საექიმო დახმარება აღმოეჩინა 50 გლეხს, საავადმყოფოში გადაიგზავნა 68 გლეხი.

იურიდიული რჩევა-დახმარება აღმოეჩინა 22 გლეხს.

ამ თვეში ჩამოსულ გლეხებისათვის სახლში კინო გაიმართა 6-ჯერ, აგრეთვე —რამდენიმე ლექცია-მოხსენებები.

სახლთან არსებულ საქონლისა და ურმების გასაჩერებელ ეზოთი ისარგებლა 2.919 გლეხმა.

მანქანები

ა.-კ. რესპუბლიკების სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოები ამჟამად ამუშავებენ საკითხს ჩვენი მეურნეობის ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობებისათვის საჭირო მანქანების დამზადების შესახებ.

აღნიშნული მანქანების დამზადება იწარმოებს ჩვენს მანქანათა დამამზადებელ ქარხნებში. მაგრამ ამ დანიშნულებათა შესასრულებლად ქარხნები მოითხოვენ სათანადო გადაკეთებას. ამიტომ ამჟამად ს. მ. უ. საბჭოები ამუშავებენ პროექტს მანქანათა დამამზადებელ ქარხნების გარდასაქმნელად.

კატასტროფის შემდეგ

ზარალი

კატასტროფის დროს დაზიანებულ რონოდის შეკეთებას უკვე შეუდგა ტრამვაის სამმართველო.—ზარალი აღემატება 1000 მანეთზე მეტს.

ვატმან ვართანოვის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ამხ. გელოვანი დაასრულებს წინასწარ გამოძიებას ვატმან ვართანოვის საქმეზე.

დაჭრილთა მდგომარეობა

გუშინ, საღამოს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა ინახულა ქალაქის პირველი საავადმყოფო (ყოფილი არამიანცის), სადაც მოთავსებულია კატასტროფის დროს დაშავებული 7 კაცი.

ექიმების ცნობით, მოქ. ხაჩიკიანცი ოპერაციის შემდეგ უკვე გრძნობს თავს.

დანარჩენი 6 ავადმყოფი ამ დღეებში გაიწერება საავადმყოფოდან.

რესპუბლიკის საავადმყოფოში მოთავსებული კონდუქტორი პეტროსიანი უკეთ არის და ხვალ გაიწერება საავადმყოფოდან.

კრონიკა

ამხ. შამბერგის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა პროლეტარულ სტუდენტობის სრულიად საკავშირო ბიუროს წევრი—ამხ. შამბერგი, რომელიც გაეცნობა პროლეტარულ სტუდენტობის ბიუროს მუშაობას თბილისში.

ამხ. მაქსიმოვის და გოლოტინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე—ამხ. მაქსიმოვი და „ცენტროსოიუზ“-ის გამგეობის წევრი ამხ. გოლოტინი.

ამხ. მაქსიმოვის ჩამოსვლა დაკავშირებულია ზაჰესის სამუშაოთა დასრულებასთან.

უმაღლეს კოოპერატიულ საბჭოში

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესმა კოოპერატიულმა საბჭომ შეუდგა სამოსწავლო საკურსო და საგამომცემლო საქმის გამოკვლევას ამიერ-კავკასიის კოოპერაციაში.

უმაღლესმა კოოპერატიულმა საბჭომ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკების კოოპერატიულ საბჭოების წინაშე დასვა კითხვა სამოსწავლო-საკურსო საქმის და კოოპერატიული გამომცემლობის გაერთიანების შესახებ ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

„ელექტრო-სელსტროი“-ს გამოკვლევა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სააქციო საზ-ბა „ელექტროსელსტროი“-ს გამგეობის წევრი—ამხ. ეგლიტი, რომელიც გამოიკვლევს „ელექტროსელსტროი“-ს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობის მუშაობას.

„რუსავსტორგ“-ის გამოკვლევა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელ რუსეთ-ავსტრიის სააქციო საზ-ბა „რუსავსტორგ“-თან—ამხ. ზადვორიანსკი, რომელიც გამოიკვლევს „რუსავსტორგ“-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების მუშაობას.

რკინის გზის ელექტროფიკაცია

გზათა სახალხო კომისარიატმა საბოლოოთ დაადასტურა საქართველოს რკინის გზის ხაზის ელექტროფიკაცია. ელექტროფიკაცია ეწყობა სად. ავჭალიდან სად. ხაშურამდე და ხაშურიდან—ზესტაფონამდე. სად. ავჭალიდან-ხაშურამდე ელექტროფიკაცია ჩატარდება ზაჰესის ენერგიით. ხაშურიდან-ზესტაფონამდე, ქუთაისის ელექტროსადგურის მოწყობამდე, ელექტროფიკაცია ჩატარდება ზაჰესის საშუალებით.

ახლო ხანში შეუდგებიან ელექტრო-გადამცემ ხაზის გაყვანას ავჭალიდან ზესტაფონამდე. ამ მიზნით წელს გაღებულია გზათა სახალხო კომისარიატიდან 3 მილიონი მანეთი. რკინის გზა ყოველდღიურად მოიხმარს 110.000 ვოლტ ელექტრო-ენერგიას.

გზატკეცილის შეკეთება

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ დაასრულა საქარ. სამხედრო გზატკეცილის კაპიტალური შეკეთება. უმთავრესი მუშაობა სწარმოებდა მაიორშის ნახევარგვირაბების შესაკეთებლად. გზატკეცილის ეს უბანი გაფუჭებული იყო წარსული გაზაფხულის დიდი ნიაღვრებით. ამასთანავე იგი დიდი ხნის განმავლობაში შეუკეთებელი იყო. სად. გუდაურსა და კობს შორის მოეწყო დიდი ნახევარ-გვირაბი, რომლის თაღი, რკინა-ბეტონისაა, ხოლო მისი სიგრძე-კი 72 მეტრს უდრის. ამასთანავე დასრულდა სხვა მნიშვნელოვან ნაწილთა მოწყობა.

მთელს ამ სამუშაოებზე საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ცნობით დაიხარჯა 150.000 მანეთი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ აგროცოდნის გავრცელება. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, 1925-26 საოპერაციო წლის მე-3 და მე-4 კვარტალში, ნახევარ-წლის განმავლობაში, 617 სოფელში გაიმართა 1964 აგროსაუბარი, რასაც 53.898 მსმენელი დაესწრო. ლექცია გაიმართა 149, მსმენელთა რიცხვი—21.223. სხვადასხვა მოკლევადიანი კურსები მოეწყო 25 ;კურსებ ი1.019 მსმენელმა გაიარა.

მოსავალი

სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, ქუთაისის მაზრაში მოსავლის მდგომარეობა წელს გამოიხატება შემდეგ ციფრებში: სიმინდი—2,7 (ხუთბალიან სისტემის მიხედვით); ბაღები—2,7; ყურძენი—3,2 და ბამბა—3,6.

კვების გამოკვლევა

დაიწყო ქუთაისსა და მის მაზრაში მოსახლეობის კვების გამოკვლევა. ქალაქში გამოკვლევისათვის აღებულია 40 მეურნეობა, მათ შორის 8 მუშათა ოჯახი, 10 მოსამსახურეების და 22 დანარჩენ კატეგორიის. მაზრაში გამოკვლევა მოხდება სოფ. ოჩხეში, კუხში, მათხოჯში, ხონში, თიანეთში და ხვირში. ასეთივე გამოკვლევა სწარმოებს ბათომსა და მის მაზრაში.

გემები ნავთისათვის

ბათომში მოდის ლენინგრადიდან რუსეთის ორი გემი, ნავთის პროდუქტების ჩასასხმელად.

თბილისის ღმასკომში

◆ ლოკომობილი. პრეზიდიუმის დადგენილებით, თიანეთის თემის ღმასკომის ლოკომობილი გამოყენებული იქნება სათემო დაწესებულებების გასანათებლად, წისქვილების ასამუშავებლად და სხ. ამ მიზნისათვის გადაიდო 2.531 მანეთი.

◆ მტკვრის ნაპირების გამაგრების საკითხი დასამუშავებლად გადაეცა კომუნალურ სექციას.

◆ მოძრავი სახელოსნო. მოძრავი სახელოსნოს მოწყობის მიზნით და სათანადო საზარგო ავტომობილის შესაძენად გადაიდო 4.500 მან.

◆ სამაზრო მილიცია. მაზრის მილიციის საჭიროებისათვის ალმასკომი იძენს საწოლებს და სხ. ნივთებს.

◆ აღწერის მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად ალმასკომმა გადასდო 2.100 მან.

შრომის კომისარიატში

◆ გამოკვლევა. სამხრეთ-ოსეთში შეუდგებიან გემ-კვების კავშირის წევრთა მდგომარეობის გამოკვლევას.

◆ შრომის კოლექტივებში უმუშევრები სამუშაოდ გაიგზავნებიან შენაცვლებით.

საბინაო მშენებლობა

◆ მშენებლობის გეგმა. მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა შეიმუშავა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის გეგმა.

◆ პაის გადიდება. დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ამხ-ბა „ბალ-ქალაქის“ წევრებს პაის ღირებულება გაუდიდოს 50 მანეთამდე.

◆ საშენი მასალა. ახალქალაქის ალმასკომმა დაადგინა შეღავათიან ფასებში გასცეს სახლების ასაგებათ საჭირო ხე-ტყის მასალა.

სამხრეთ-ოსეთში

◆ დახმარება. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა შეადგინა კომისია მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის შემოწირულების შესაგროვებლად.

◆ შეღავათი. სამხ.-ოსეთის ცაკმა სათესლე სესხის გადახდისაგან გაანთავისუფლა სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული სოფლები.

◆ გლეხთა სახლი. ცხინვალში ახლო ხანში დამთავრდება გლეხთა ცენტრალურ სახლის აგება.

◆ შინამრეწველობა. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა შინამრეწველ-ხელოსნებს მიანიჭა გადასახადებში შეღავათი.

◆ ჯავის დასასვენებელ სახლისთვის დამატებით გადაიდო 5 ათასი მან.

◆ გეგმა. სამხ.-ოსეთის ცაკმა დაამტკიცა ქ. ცხინვალის ახალი გეგმა და ოლქის დასახლებულ ადგილების სია.

◆ ტაბახმელის სადგური. მიწათმოქმედების კომისარიატმა დაამთავრა ტაბახმელის სადგურის გაფართოება.

◆ აგროპუნქტი. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით, ქედაში აგრო-პუნქტისათვის იგება ახალი შენობა და საწყობი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით.

◆ მიწათმოქ. კომისარიატების საკავშირო ყრილობა გადაიდო 22 ნოემბრისათვის.

◆ ბაქოში გამართულ დოღში პირველი ჯილდოები მიიღეს საქართველოს ცხენთსაშენის ცხენებმა.

სასამართლო

გაფლანგვა

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულთა დაკითხვა. ბრალდებული ღირძმაზიშვილი თავს არ სცნობს დამნაშავეთ და ამბობს, რომ მართალია, მან მიიღო 7.890 მანეთი მაგრამ ამ ფულით შეიძინა ჩერვონცები და დაუბრუნა უკანვე წყალსადენის სამმართველოს. ბრალდებულ ქავჯარაძის განმარტებით, წყალსადენის სამმართველომ გაუგზავნა ვალში ალმასკომის საფინანსო განყოფილებას, ხოლო ალმასკომის ბუხჰალტერიის ანგარიშებში ეს თანხა არ არის გატარებული. ბრალდებული გოგოშიძე და ჯაველიძე აღნიშნავენ მუშაობის იმ მძიმე პირობებს, რომელიც 1923 წ. არსებობდა წყალსადენის სამმართველოში.

კოოპერატიული ფულის მოყვარულნი

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა კოლხოზის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმე. პასუხისგებაშია მიცემული გამგეობის თავმჯდომარე შალამბერიძე, გამგეობის წევრები: სურმავა და გოგელია. საწყობის გამგე მახარაძე, სასადილოს გამგე ბერიძე, ნოქარი გოგელიძე და ბუხჰალტერი კანკავა „ფარულავა“. აღნიშნული პირები სისტემატიურად ითვისებდნენ სახალხო ფულებს, ნისიათ უშვებდენ საქონლის დიდ რაოდენობას, რაიც წესდებით აკრძალული იყო.

ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა 5.000 მანეთის გაფლანგვა. ბრალდებულების ბოროტმა მოქმედებამ კოლხოზის კოოპერატივს მიაყენა 8.000 მანეთის ზარალი.

მოქ. ბურდულის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა მოქ. ბურდულის საქმე.

ბურდულს ბრალდებოდა 1.200 მანეთის გაფლანგვა სატყეო ტრესტის საწყობის გამგეთ ყოფნის დროს.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ.

მოწმეების დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით გაფლანგვის ფაქტი არ დადასტურდა.

სასამართლომ ბურდული გაამართლა წაყენებულ ბრალდებაში.

ცეკავშირის გაქურდვის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო აბაზ გუსეინ-ოღლის და მახმუდ აბუშაზ-ოღლის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ ცეკავშირის საწყობის გაქურდვაში.

1925 წელს ზემოთ ჩამოთვლილი პირები ჩამოვიდნენ ბაქოდან და ღამით გასტეხეს „ცეკავშირის“ საწყობი და წაიღეს 4000 მანეთის მანუფაქტურა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

გუშინ დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

შემთხვევები

რამ გამოიწვია მუშკოოპის ელექტრო-მანქანის აფეთქება

მუშკოოპის ელექტრო-მანქანის აფეთქების მიზეზების გამომრკვევმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ შრომის საქმეთა პროკურორი ამხ. ამიროვი, ინჟ. ინჟ. ხოეციანი, პოლიხადოვი, განევსკი და კანდელაკი გუშინ დაასრულა მუშაობა.

კომისიის გამორკვევით ელექტრონის სადგურზე არის ორი ძრავი, თვითეული 25 ცხენის ძალის „რუსტონ პროქტონ“ სისტემისა, რომელთა ამოძრავება ხდება რეზერვუარიდან (ბალონიდან) შეკუმშული გაზით (აირით). ორთავე ძრავს აქვს ასაშვები სარქველი. გარდა ამისა პირველ ძრავს აქვს კომპრესორი. რეზერვუარი არის ცილინდრისებური 530 მილ. შინაგანი დიამეტრით. პირველ ძრავის მუშაობის დროს შესაძლებელია რეზერვუარში ორთქლის შექმნა, ხოლო მეორე ძრავის მუშაობის დროს-კი — წვის პროდუქტები ცილინდრიდან შეიძლება გადაიქცეს მეორე ძრავში.

გამომკვლევი კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფეთქების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აირნარევს და საწვავ ნივთიერებას გაუჩნდა ცეცხლი რეზერვუარში ძრავის ცილინდრიდან ნაპერწკალის ჩავარდნით.

ხანძარი

გუშინ ღამის 10 საათზე კოოპერატიულ ამხანაგობის სახლს, (კალინინის ქ. № 36) გაუჩნდა ცეცხლი.

დაიწვა სამზარეულო და ერთი ოთახი.

ცეცხლი საშიშ ხასიათს ღებულობდა, მაგრამ ცეცხლისმქრობელმა რაზმმა შესძლო ხანძრის ჩაქრობა 10 წუთის განმავლობაში.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ არის გამორკვეული.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ცეცხლი გაუჩნდა მუხრანის ქუჩის ბოლო მდებარე სახლს. პირველ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო 5 წუთის განმავლობაში. ზარალი უმნიშვნელოა.

— გუშინვე ღამის 12 ნახ. საათზე საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო ცეცხლი გაუჩნდა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობას.

ხანძარი საჩქაროთ ჩააქრო პირველ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— გუშინ, ღამის პირველ საათ. გაუჩნდა ცეცხლი ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სახლს № 3-ს. ცეცხლისმქრობელთა რაზმი იმ დროს მივიდა შემთხვევის ადგილზე, როდესაც ცეცხლის ალი მოსჩანდა საკვამლე მილში. 12 წუთის განმავლობაში ცეცხლი ჩაქრობილ იქნა. ზარალი გამორკვეული არ არის.

თავის დაჭრა

5 ნოემბერს, სოფ. მაჩხაანის სამილიციო რაიონში სანდრო ოვანეს-ძე ნიკუაშვილმა თვითმკვლელობის მიზნით ხანჯლით მძიმეთ დაიჭრა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

მოკვეთილი თავი

ჯიბითის ტყის მახლობლად (სიღნაღის მაზრა) აღმოჩენილი იქნა უცნობი მამაკაცის მოკვეთილი თავი. ვინაობა გამოურკვეველია.

მილიციელის დაჭრა

კოლისციხეში (სიღნაღის მაზრა) გეურქა ლარიბოვმა და გიგა და აკოფა იავუზოვებმა დანით მძიმეთ დასჭრეს მარცხენა მხარში გურჯაანის რაიონის მილიციის უნცროსი მილიციელი გიგა ხუსხაშვილი. ბოროტმოქმედნი შეპყრობილნი არიან.

მკვლელობა

გუშინ დღის პირველ საათზე კირკის ქუჩაზე, № 12 სახლის პირდაპირ მოქ. მიხეილ პეტრეს-ძე პაპინოვმა შურისძიების ნიადაგზე მოსაკლავათ რევოლვერი ესროლა მოქ. ბაგრატ გასპარის-ძე კოხტიევს. კოხტიევი პირველი ნასროლისაგან დაჭრილი მუხუხით, გაიქცა და თავის საშველად შევარდა იმავე ქუჩაზე № 16 სახლის ეზოში. პაპინოვი დაედევნა მსხვერპლს და ამავე ეზოში შვიდჯერ ესროლა კოხტიევს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. როგორც გამოირკვა, მოქ. კოხტიევს წინად ჰქონია ღვინის სარდაფი, სადაც ბუღალტრის თანამდებობაზე მუშაობდა მკვლელი პაპინოვი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო ყოფილა კოხტიევით, რის გამო განუზრახავს მისი მოკვლა. მკვლელი შეიპყრეს.

ქურდების ბრბოს ლიკვიდაცია

ამ ბოლო ხანებში თბილისში მოქმედებდა ქურდების ბრბო, რომელსაც ჰქონდა თავიანთი ორგანიზაცია. მათ მიერ გაძარცვულია თბილისის მსხვილი სავაჭროები და მცხოვრებთა ბინები. დიდათ დახელოვნებული იყვნენ ისინი ჯიბგირობაშიც. ამნაირი გზით მძარცველებმა თავი მოუყარეს დიდძალ ძვირფას ნივთეულობას და „ნადავლს“ თანასწორად ინაწილებდენ.

ნაძარცვ ნივთებს ინახავდენ კაზარ ენუქაშვილის ბინაზე (სასამართლოს ქუჩა, № 46). სხვათა შორის მძარცველები „სავასტროლოთ“ ჩამოსული იყვნენ ბაქოდან. ენუქაშვილი, როგორც თბილისის მცხოვრები ასწავლიდა მათ გზა და კვალს.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ლიკვიდაცია უყვეს ქურდების ბრბოს, რომელიც დააპატიმრეს.

ესენი აღმოჩნდნენ: ზურის განშტეინი, მიხეილ შტეინბერგი და ალექსანდრე ეგოროვი. მძარცველები დააპატიმრეს ბოროტმოქმედების ადგილზე.

პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული კაზარ ენუქაშვილი.

გამორკვეულია, რომ ყველა ჩამოთვლილი პირები ნაქურდალ საქონელს თავიანთი აგენტების საშუალებით ასაღებდენ ბაქოში და სხ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ მძარცველთა კომპანია მუშის კურტკით დადიოდა მაღაზიებში თითქოს სამუშაოს საშოვნათ. სინამდვილეში კი ჯიბეებს ივსებდნენ ნაქურდალი ნივთებით. ყველანი გაიგზავნენ სპეცდანიშნულების იზოლატორში.

ხელოვნება

„ლამარა“

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ახმეტელის, მუსიკა ტუსკიასი

დრამატურგი თითქოს დახარბებია პოემის უხვ ფერებს; მაგრამ ვაჟას პოემიდან ნასესხები ელემენტი ვერ არის ორგანიულად ათვისებული დრამის მიერ. მაგალითისათვის მინდიას დახასიათება დაუსრულებელ დეკლამაციების საშუალებით. მეტხორცია აგრეთვე პიესისათვის სცენიურის თვალსაზრისით ვაჟას გამოსვლა. ასეთი დიდი ფიგურის მოხაზვა ორიოდ სცენიურ შტრიხით, ერთი რომ მოუხერხებელია და მეორეც ასეთი ინტერმედიები მოქმედების განვითარებას აფერხებს. საერთოდ აურზაურის სცენაში (ქისტების თავს დასხმისას) ეს მძლავრი ფიგურა იკარგება და არ იცის საითკენ წავიდეს. სცენიურად სუსტი ადგილია მოტაცებულ ლამარას მარტო დატოვება თითქოს საგანგებოდ მინდიასთან შესახვედრად.

საერთოდ ხევსურეთის ცხოვრება მოცემულია მეტად მზიან ნათელ ფერებში და პიესაც ამავე ფერებშია დადგმული. მოშაირე მომღერალი მწყემსები, კოსტიუმების და გარემოს ღია-ლურჯი და მწვანე ფერები, ქოხის კოპწია ფასადი, ფანტასტიური ბაცი-იისფერი განათება, ეს ზღაპრული არკადია ხევსურეთში გადატანილი; თითქოს ყველაფერი ეს ვერაა შესაფერი ფონი იმ ფსიქოლოგიურ გარემოსი, სადაც „სისხლი აყეფებულია, სადაც რკინა იხრჩება მისი წუწურითა, სად გონი ადამიანის გორდა გველისპირია“. თვით ვაჟაც უფრო ბნელ ფერებში გვიხატავს ამ გარემოს: „და სალნი კლდენი პირქუშნი, უფსკრულს ჩასულნი ფესვითა...

„უსალმო უალერსონი, გამომზირალნი ბრზმითა“.

უფრო კარგ ფერებშია მოცემული ქისტების კარმიდამო და მათი მორთულობა. ნახევრად თავშეხვეული სახეები, პირქუში კოშკი, მოხუცი საცელებში უფრო ახლოა მხატვრულ სიმართლესთან.

მასიური სცენები საერთოდ კარგია. სუსტი მხოლოდ დეკლამაცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის დიალექტებზე, ხშირად მტერევით და ბორძიკით, ფარიკაობა ოდნავ ჯამბაზურ იერს ატარებს, რაც მიუღებელია.

პიესაში ისეთი მძლავრი ფიგურებია მოცემული და შემსრულებლებიც ისე კარგადაა შერჩეული, რომ სიძლიერით თითქოს სჯიდლობენ ერთმანეთს.

მინდია (დავითაშვილი) ეს ბუნების მოსიყვარულე, ყვავილებთან და ჩიტებთან მოსაუბრე, ეს გველის სიბრძნე და კრავის უმანკოება, ამ პირქუშ კლდეების სუსხში აღზრდილ ყვავილის სახე შეუდარებლის მხატვრულობით გადმოგვცა მსახიობმა. ეს სომნამბულისტის რბილი, პლასტიური მოძრაობა, გარინდება, ფიქრით სცენისაგან თვალხილული მოწყვეტა, რბილი ტემბრი, ბავშვური გულუბრყვილო და ამავე დროს დამარწმუნებელი დიქცია, სიყვარულით გასხივოსნებული სახე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. თვით შეჯახების დროსაც არ ღალატობს ამ რბილ შტრიხებს. ყველა სცენიურ გამოსვლებში მოსჩანს დასრულებული, სკოლა გავლილი მსახიობი.

ლამარა (თ. ჭავჭავაძე), უკვე პირველ სცენაშივე გვაძლევს ორიგინალურ სახეს მთიულ კეკლუცობის და ექსპანსიურობის. კარგია ბოლო სცენაში. ეს თითქოს ჩვენ თვალწინ ჩამომჭკნარი ტანი, მშფოთავი, მინაბული თვალები, ტანჯვით მოთენთილი სახე და გამოხედვა.

თოროლკა (ჩხეიძე) საერთოდ მსახიობის თამაშს ახასიათებს განვითარება ნახტომებით, აფეთქებით, ორაზული დაუდეგრობით მიხვევ-მოხვევა, განცდა წვრილ ნიუანსებში მას არ ეხერხება. ეს როლი სავსებით შეეფერება მას. ვეფხვის ნახტომები, თვალთ ცეცხლის ფრქვევა, კარგად ასურათხატებს ამ შმაგ, სისხლით მოწყურებულ კლდეების შვილს. ოღონდ კოსტიუმი კიდევ უფრო აპატარავებს მსახიობის ისედაც ტანმორჩილ ფიგურას. მურთაზ (ვასაძე)—მისი სიკუშე და თავდაჭერილობა გასაგებია ამ ატმოსფეროში, სადაც მზიანი დღე ერთ წუთში ქარიშხლით იცვლება, სადაც ღრეობა და ლხინი ხმლების ჩახა-ჩუხით ბოლოვდება. მურთაზი (ვასაძე) ძლიერია გატაცებულ ლამარას შეხვედრის სცენაში. მისი გამწარებული შეძახილი: „ვა ილლაჰ, ვაილა“, დაკოდილ ლომის ღრიალს ჰგავს. ეს მივარდნა თოროლკასთან, ეს დაუოკებელი ცეცხლის მფრქვევი თვალებით, ეს მოწყვეტით გავარდნა წყვდიადში—მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. მშვენიერია იხო (ხორავა). სისხლით გაუძღარ ვეფხის ბორგვა, ყმუილი, ბრაზით დაგრეხილი სახე, გულწრფელობა მინდიასთან შეხვედრისას.

კარგია რაიმულ (ღამბაშიძე) მთელი ფიგურა და მოძრაობა კლდიდან მოხეთქილ სიპისა აქვს.

სუსტია ქავთარ (ადამიძე) ჩია ფიგურა, სუსტი ხმა, რომელიც ძლიერ აფექტების დროს სავსებით წყდება.

საერთოდ დადგმა ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენს სცენაზე და ის ალბად დიდხანს არ მოიშლება ჩვენი რეპერტუარიდან.

ზხვეუ.

◆ ოპერის თეატრში დღეს თბილისის მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“.

◆ კინო სოფლად. აჭარისტანის პოლიტგანმა შეიძინა რამდენიმე მოძრავი კინო მაზრებში სურათების ჩვენების მოსაწყობათ.

◆ დისპუტი „ზაგმუკი“-ს შესახებ, რომელიც უნდა გამართულიყო ორშაბათს, 8 ნოემბერს —გაიმართება პარასკევს, 12 ნოემბერს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ „ურიის ქალი“. ხვალ ოპერაში მიდის „ურიის ქალი“.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ოვოდ“.

◆ „ქართული მწერლობა“-ს მორიგი ნომერი (№ 4) გამოვა კვირისათვის.

კინო

„გაფლანგვა“

რეჟისორი პერესტიანი
ოპერატორი დიგმელოვი

ეს სურათი რიგით მეორეა სურათების იმ გრძელ სერიიდან, რომლის გამოშვებას სახკინმრეწვი აპირებს მიმდინარე კინო-სეზონში. მაგრამ სჯობს ნაკლების გამოშვება და უკეთესი ხარისხისა. ეს „ამბავი ცხოვრებიდან“, როგორც მას რეჟისორი ნათლავს, შორსაა ჩვენს სინამდვილეში ღრმად ჩაწვდომისაგან. ჯერ ერთი, სოციალურ ბოროტების, გაფლანგვის მიზეზად გამოყვანილია სავსებით შემთხვევითი მოვლენა. მოლარე შტუჩკინის მიერ თვლისას ფულის გადაყოლება. შემდეგ ამ შემთხვევაზე აგებულ [illegible]ლოგიურ დრამაში ფართოდ ვერ არის გა[illegible]ლი ცდუნების ის ათასგვარი მახეები, რომ[illegible] გულისთვის ხდება გაფლანგვა.

მოქმედება გაშლილია მომქმედ პირთა ბინის და „კაზინო“-ს შუა, აქ არ მოსჩანს სხვა კვანძები, ხლართები, რომლებიც მიათრევს გმირებს ამ ქაოსისაკენ; ქეიფი და გაფლანგვა უფერულადაა სურათში მოცემული. აქ არ მოსჩანს გმირების გადაგვარება და ის მორალური ჩიხი, რომელშიდაც ისინი მოექცევიან. აქ უფრო ხაზგასმულია შემთხვევითი დაბრკოლებები ფულების დანაკლისის სახით.

შემდეგ თვით სოციალურ ბოროტების მსხვერპლნი უსახო, უფერულნი არიან. ისინი დიდს არაფერს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის. მაყურებელი საკმაოდ გულგრილი რჩება მათი ბედისადმი და სურათიც ასეთი ნიშნის მომგები სიტყვებით თავდება: „ცხოვრება ეკუთვნის ძლიერთ, მამაცთ და პატიოსანთ“. ეს უსახურობა და უცხვირპირობა გმირების ასუსტებს სოციალურ დრამის სიმძაფრეს.

იუმორისტული ელემენტი რაღაც ლაქებივით სცხია აქა-იქ სურათს, გმირების დახასიათება ხშირათ სუსტი და უაზროა. მექანიკოს რეზიკოს ვეცნობით აბანოში, საპნის ქაფში გახვეულს, თითქოს ის მექისე იყოს; მუშა ქალი კომიკობს, რაღაც უაზრო სცენაში. ფეხის ბანა. ასევეა საფრონოვის მამის დახასიათება.

ამ ნაძალადევ იუმორში ბევრია ნასესხები იაფ-ფასიან ამერიკულ კინო-ვოდევილებისაგან.

შემსრულებლები. საფრონოვი (პრიგალოვი) სახე სავსებით გამოუსადეგარი ეკრანისათვის. ზოგიერთ სცენებში არა უშავს—ტრიალი გაზეთებით იღლიაში, ზოგან კი—კლოუნივით ქუდის მოხდა, ენის ჩვენება და სხვა ყოველგვარ კრიტიკის დაბლა სდგას. მეტად ბლაშია სცენა ფონ-ბოლინთან სტუმრობისა. მეოცე საუკუნეში ინტელიგენტი, მწერალი, ლამაზ მომზიდველ ქალის ბინიდან ისეთის სახით გამოდის, თითქოს ეს არის ღრძილი ამოძვრესო. ფონ-ბოლინი (ჟოზეფი) არა უშავს იმ სცენებში, სადაც კეკლუცობს და თავბრუს ხვევს ახალგაზრდა მწერალს და მოლარეს. მწუხარების განცდაში კი ძალზე სუსტია. ხელოვნური ქიმვა სახის კუნთების და სხეულის ცახცახი თვალხილული სიყალბეა.

შტუჩკინი (ესიკოვსკი) მიმიკა სავსებით განუვითარებელი აქვს. სცენა ფულის წაგებისა. აქ რამდენის თქმა შეიძლებოდა სახით.

საერთოდ სურათი გამოდგება როგორც გამაფრთხილებელი პლაკატი ჩვენი გამფლანგველებისათვის. მისი ეფექტი ისეთივე იქნება, როგორც ჩვენი პრესის სასამართლო ქრონიკის; როგორც მხატვრული ნაწარმოები ის ერთობ მდარეა და მასზე ამდენი ფულის დახარჯვა ერთგვარი გაფლანგვაა სახალხო ქონების.

ვ—ი.

ფეხბურთი

ბათომი—თბილისი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბათომის გუნდი შემთხვევით დამარცხდა თბილისის ნაკრებ გუნდთან შეჯიბრში. ბათომის გუნდმა გაასაჩივრა მატჩის შედეგი. ჯერ საკითხი გაირჩა სექციაში, რომელმაც მოგება მიუსაჯა თბილისს 3:2.

ჯომარდულ სექციის დასკვნა განსახილველად გადავიდა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც განიხილა რა ბათომის გუნდის განცხადება თამაშის ახალი წესების არცოდნის შესახებ, აღნიშნა, რომ ბათომის მიერ მატჩის წაგება სრულიად უაბედი იყო, დამყარებული ახალ წესების უცოდინარობაზე, და დაადგინა ხელახლა გათამაშებული იქნეს საქართველოს პირველობის გადამწყვეტი შეჯიბრი ბათომის და თბილისის გუნდებს შორის.

შეჯიბრი გაიმართება საქართველოს და აზერბეიჯანის ნაკრები გუნდების შეჯიბრის შემდეგ, დაახლოებით 21 ნოემბერს.

საქართველო—თბილისი

ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ გამოიმუშავა საქართველოს ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა.

გუნდში შედიან: პაპკოვი (თბილისი), ზიბავი და ლაზარევი (ბათომი), ფრუიძე (თბილისი), პოლოსხოვი (ბათომი), ანიკინი (თბილისი). ქოიავა (თბილისი), ფაჩულია (ბათომი, გალაპრინი, ჟორდანია და ქებაძე (სამივე თბილისიდან).

ხვალ, 11 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეტად საინტერესო შეჯიბრი. საქართველოს ნაკრები გუნდი ეთამაშება თბილისის ნაკრებ გუნდს.

თბილისი ამ შეჯიბრში გამოდის შემდეგი შემადგენლობით: ბადლოევი, ფოჩხუა, ბლანკმანი, იშნაძე, მდივანი, ფეოდოროვი, ცომაია ვლ. თედეევი, სოლტანი, ასლანაზოვი და პარამონოვი.

შეჯიბრი დაიწყება სრულ სამ ნახევარ საათზე.

აზერბეიჯანის გუნდის მოწვევა

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს ნაკრებ გუნდთან სათამაშოდ მოიწვია აზერბეიჯანის (ბაქო) ნაკრები გუნდი. შეჯიბრი გაიმართება კვირას, 14 ნოემბერს.

აზერბეიჯანის ფიზკულტურის საბჭოსაგან პასუხს მოელიან დღეს.

ნარევი

შალი ძაღლის ბალნიდან

ინგლისში დაიწყეს ძაღლის ბალნის გამოყენება შალების დასამზადებლად. ეს ახალი ხარისხის შალი ან მთლიანად ძაღლის ბალნიდან კეთდება, ან მასში ურევენ მატყლს.

ავტომატიური ტელეფონის სადგური პარიზში

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დადებითად გადასწყვიტა პარიზის სატელეფონო სადგურის გადაკეთების საკითხი. ამჟამად სადგური ემსახურება 140.000 აბონენტს. უახლოესი ათი წლის განმავლობაში განზრახულია აბონენტების რიცხვის გადიდება 200.000-დი, ტელეფონის სადგურის თანამშრომელთა რაოდენობით კი—მინიმუმამდე, ავტომატიური ტელეფონების საშუალებით.

უზარმაზარი ელექტრომავალი

ამერიკის რკინის გზებზე ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცადეს ახალი, არაჩვეულებრივი სიმძლავრის მქონე ელექტრო-მავალი. იგი დანიშნულია მძიმე შემადგენლობის მატარებლების გადასაყვანად. მისი სიგრძე უდრის 10 საჟენს, აქვს 8 ღერძი, იწონის 170 ტონას (10.200 ფუთს). გამოცდის დროს მან საათში 50 კილომეტრის სისწრაფით წაიყვანა 108 ვაგონიდან შემდგარი მატარებელი. თითეული ვაგონი 3.000 ფუთს იწონიდა.

ამერიკული კინო-მრეწველობა

პირველი კინო-თეატრი ამერიკაში გაიხსნა ნიუ-იორკში 1896 წ. ამჟამად კი, უკანასკნელი ოფიციალური ცნობით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 20.38 კინო-თეატრია. ამ კინო-თეატრების წლიური შემოსავალი ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს.

ყველა კინო-თეატრებში სურათების მაყურებელთა რაოდენობა კვირაში შეადგენს 90.000.000. ყოველდღიურათ უჩვენებენ 40,000 კილომეტრის ლენტს.

1925 წ. შეერთებულ შტატებში დამზადებული იქნა 823 დიდი და 20.150 ნაკლები ზომის სურათი. ამ სურათების დამზადება დაჯდა 150 მილიონი დოლარი.

არტისტებს და მოსამსახურეთა ხელფასი კინო-თეატრებში შეადგენს 60 მილიონ დოლარს წლიურათ. მუდმივ მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა კინო-მრეწველობაში უდრის 235.000 კაცს. 1914 წ. შეერთებული შტატებიდან უცხოეთში გატანილი იქნა 32.000.000 ფუტი კინო-სურათი, 1925 წ. კი—250.000.000 ფუტი.

რჩევა-დარიგება

მეკუთვნის თუ არა რაიმე წილი საერთო ქონებიდან

კითხვა

ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ სოფელში დარჩა მამული და მოძრავი ქონება, რომელიც შეადგენდა ჩემი ქმრის, მისი მამის და ძმების საერთო ქონებას. მე ამჟამად ვცხოვრობ თბილისში და მარჩენალი არა მყავს.

მერგება თუ არა წილი აღნიშნულ ქონებიდან და თუ მერგება ვის მივმართო, რომ ასეთი მივიღო.

მარიამ ბარბაქაძისა.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის, თქვენ როგორც რძალს, გაქვთ იგივე უფლებები კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, როგორც კომლის ძირითად წევრებს, თუ კი თქვენ წახვალთ სოფელში, სადაც აღნიშნული მამული იმყოფება, საცხოვრებლად.

გაქვთ უფლება მოითხოვოთ გაყოფა საერთო სარგებლობაში მყოფ მიწის და ქონების, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47—48 და 50-ისა. თუ კი კომლის წევრთა ნებაყოფლობით შეთანხმება ქონების გაყოფის შესახებ არ მოხერხდა, მაშინ გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს (იხ. იქავე მუხ. 54) თქვენი გარდაცვალებული მეუღლის მემკვიდრედ თქვენ ითვლებით. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418).

პენსიის შესახებ

კითხვა

ჩემი ქმარი მსახურობდა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 1890 წლიდან, ვიდრე 1919 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება რკინის გზის სამსახურს მოახმარა. 1919 წელს კი იგი გადაიყვანეს სადგურ აქსტაფაში. აქაური ჰაერი მან ვერ აიტანა, რამაც გამოიწვია მისი დაავადმყოფება და 1919 წელში კიდეც გარდაიცვალა. დამრჩა წვრილი შვილები, რომელთა მოვლა-პატრონობა ჩემთვის ძალზე მძიმეა.

უცოდინარობის და გამოუცდელობის გამო თავის დროზე ვერ მივმართე, სადაც ჯერ არს, პენსიის დანიშვნისათვის. დავრჩი პენსიის გარეშე და მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მერგება თუ არა პენსია. თუ მერგება ვის და სად უნდა მივმართო. როგორ უნდა მოვიქცე.

ქვრივი

პასუხი

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1924 წ. 17 ივნისის ცირკულიარი № 119-ის მუხ. პირველის, ყველა იმ პირთ (ამ შემთხვევაში თქვენც), რომელთაც აღნიშნული ცირკულიარის გამოქვეყნებამდე არ მიუმართავთ პენსიის დანიშვნის შესახებ დამზღვეველ ორგანოებისათვის, არა აქვთ უფლება ასეთი მოითხოვონ, მით უფრო თუ კი ოჯახის მარჩენალის სიკვდილი ან შრომის ინვალიდობა, მოხდა საქართველოს გასაბჭოებამდე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 71

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსათვის ყველა იმ უფლების მინიჭების შესახებ, რაც სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიენიჭოს ყველა ის უფლება, რაც სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ.
2. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი შედის საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.
3. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველს დაინიშნავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სხიშვილი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მაგიერ ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წლ. ნოებრის 8.
თბილისი-სასახლე.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, ქალაქის ალმასკომის შენობაში, სალ. 6 [illegible] ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის რაიონულ საბჭოს გაფართოებული პლენუმი, კომუჯრედების საგიტ.-საპროპ. ორგანიზატორების თანდასწრებით.

ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების უჯრედების ბიუროების წევრების და კომუჯრედთა აგიტ-პროპ. ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, საღამოს 5½ საათზე, ცენტრალური მუშათა კლუბის შენობაში შესდგება დელეგატ ქალების პირველი საორგანიზაციო კრება ქალთა ორგანიზატორებთან ერთად. ყველა ქალთა ორგანიზატორების და ახლად არჩეულ დელეგატ ქალების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შენობაში შესდგება ორგ-კოლეგიის სხდომა; დასწრება ქვემოთ-აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა.

მაშკევიჩი, ინსტრუქტორები: ჯაფარიძე საშა, ჯავახია, გოზეჯიშვილი, აკოფოვი, ეჟიკაშვილი; ინფორმატორები: ვოლხოვსკოი, მისკინი, ჯვარშეიშვილი, ენუქიძე, მარტიროსოვი, ლიცინოვი, დელიბაში, ესაიანი, ჩერქეზიშვილი, თათარიშვილი, იმედაძე, ხაცკევიჩი, ფანცხავა, მელნიკოვი, შოგირაძე ,ჩალიანი, ჯავახიძე, სიხარულიძე, პეტროვი, ქურულურია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 10 ნოემბერს, დღის სამ საათზე შესდგება ბიურო-კოლექტივის სხდომა.

დასწრება ყველა წევრების და კანდიდატებისა სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მე-2-რე რაიონის დელეგატ ქალების საორგანიზაციო კრება.

ყველა დელეგატ ქალების და აგრეთვე ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

კვირას 7 ნოემბერს ქუთაისში გარდაიცვალა

ვარდენ ვასილის ძე ქელბაქიანი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს შვილები: მარიამ, ნადია, ლიუბა, ვენერა, ნინა და ლიზა, სიძეები: ვარლამ არდიშვილი, ევტიხი ჩხატარაიშვილი, ვლადიმერ ბაქრაძე, კონსტანტინე ბაქრაძე და იოსებ ერისთავი, ძმა კონსტანტინე ქელბაქიანი, დები: მინადორა ქუთათელაძისა, ევდოკია ქვითაშვილი, რძალი პასიკო ქელბაქიანისა თავიანთი შვილებით, სიძეებით და შვილიშვილებით, გამოსვენება საკუთარ ბინიდან წერეთლის ქუჩა № 53. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 საათზე, ხუთშაბათს 11 ნოემბერს. პანაშვიდი ყოველდღე ნაშუადღევის 5 საათზე. ნ. 194

გულდათუთქულნი და ღრმად დამწუხრებულნი მამა ნიკოლოზ, დედა ევა, ძმები: ალექსანდრე, გიორგი, ბაღდასა და სტეფანე, რძალი ნადია, ბიძა-სტეფანე, ძალო-ნადია პეტრეს ასული, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 6 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალაქის მეორე საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დაუვიწყარი და ძვირფასი

ანეტა ნიკოლოზის ასული ჯანკიევა

გამოსვენება მოხდება ქალაქის მეორე საავადმყოფოდან, დღეს 10 ნოემბერს, ნაშუადღევს 3 ს.—30 წ. ბიძის ბინაზე (საპიორის ქ. 40), ხოლო პარასკევს, ნაშუადღევს 4 საათზე ქ. სადგურზე საიდანაც მიცვალებული გადასვენებულ იქნება ქ. სიღნაღში. დაკრძალვა მოხდება ქ. სიღნაღში ადგილობრივ სასაფლაოზე, კვირას 14 ნოემბერს. ლ.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ერმალო და ელპიტო, ძმები: გიორგი, ბიძინა, აკაკი და შოთა, დები: მარუსა და გოგუცა ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 13 ნოემბერს ს. სიმონეთში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათდამი დაუვიწყარი ქუთაისის 1 ცხრაწლედის მოწაფის

მიხეილ (ბიჭიკო) ერმილეს ძე ზაქარიაძის

გარდაცვალებიდან ორი თვის შესრულების გამო ქვ. 512

ძმები ალექსანდრე და მექი გრიგოლიები ცოლშვილით, დები ბაბილინა მხეიძისა, ფედოსი ენუქიძისა, ნინო ქვარიანისა და ოლღა მგალობლიშვილისა ქმარშვილით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას მათთვის საყვარელი და ძვირფასი ძმის

რაჟდენ ლუკას ძე გრიგოლიასი

დასაფლავება მოხდება ქ. ბათომში ოთხშაბათს 10 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე
499

სახელმწიფო ოპერა
ხუთშაბათს, 11 ნოემბერს,
პირველი აბონემენტის მესამე სპეკტაკლი ფაუსტი
მონაწ. ხპრიშევსკაია, ვოლჩანეცკაია, ვიტინგი, შარაშიძე, და სხვ.
პირველი აბონემენტის საფასურის მორიგი გადახდა
პარასკევს, 12 ნოემბ., მესამე აბონემენტის მესამე სპეკტაკლი.
რიგოლეტო
მესამე აბონემენტის საფასურის მორიგი გადახდა
დარჩენილი ბილეთები იყიდება ნ. 193

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე
საქართველოს სახკინმრეწვის ახალი
სურათი
გაფლანგვა
რეჟისორი ი. პერესტიანი
ოპერატორი ა. დიგმელოვი
მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, ს. პრიგალოვი, პ. ესიკოვსკი, ი. კრუჩინინი, პ. მორსკოი, მ. იაკობინი.
სალარო ღიაა 5 საათ. და 30 წუთ. ნ. 157 0—7

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1926 წ. საათის 12 ორჯონიკიძის ქ. № 22 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის უძრავ ქონებას მირზა ალა მირზამან ოღლის სულეიმანოვის სამ სართულიან სახლს 8 ოთახით, 4 სამზარეულოთი და 2 სარდაფით შეფასებულ 2.000 მან. დასაკმაყოფილებლად სეიდ გასან ჰირ კასუმ ოღლისა ვაჭრობა დაიწყება შეძლეული ფასიდან ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. ქვ. 502

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს კირის მომხმარებლების საყურადღებოდ, რომ ქუთაისის **კირის ქარხნები,** რომლებიც იმყოფებოდენ ს.მ.უ. საბჭოს სამთო ქიმიურ-კომბინატის განკარგულებაში ა. წ. 15 ოქტომბრიდან გადმოიდენ ქუთაისის ადგილობრივ მეურნ. განყოფ. განკარგულებაში და მათი წარმოება ამ ჟამად მიმდინარეობს ნორმალურად. პირველი ხარისხის კირი ღირს ფუთი 33 კაპეიკი. მეორე ხარისხის 13 კაპ. ფრანკო ვაგონი ქუთაისი.

კირის შეძენის პირობები შემდეგია: საწინდარი ნაღდათ 5 პროც. მთელი ღირებულების დანარჩენი დადებული ფასით (наложенный платеж) დაკვეთა შეიძლება კირის ქარხნის გამგის სახელზე

ნ. 195 ქუთაისის კომუნალური განყოფილება

ბაღდადის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 23 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე გაყიდის საჯარო ვაჭრობით ალექსანდრე გიორგისძე ერისთავის მდებარე სოფ. სალომინაოში, ქუთაისის მაზრა, ორ სართულიან ფიცრულის სახლს—ზევითა სართული შვიდი ოთახი, ძირა—ოთხი ოთახი, აქვს ორი მხრით დერეფნები, დახურული ყავრით, შეფასებული 2.100 მან., დასაკმაყოფილებლად აპარვაჭრობა—მრეწველობის ვალის, 2408 მან. და 70 კაპ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება თანახმად სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 310—314 მუხ. 508

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექ. კ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანისა) სამეანო და ქალთა სნეულებებით. დღის 2—4 სთ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. [illegible] 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.
25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
[illegible] „ნოე“-ს პირდაპირ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის
ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.
ექიმი-ქალი

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული. სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ა. მ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მოკლე ხნის განმავლობაში
ვასწავლი ჭრა-კერვას და
ხელსაქმეს თეორეტიულად
ვღებულობ საკერავს ქალთა ტანსაცმელისას, მელიქიშვილის ქუჩა № 10, (ყოფილი წყნეთის). 44

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59,

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—21

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 876 ისაკ ყაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 507

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1271, შალვა მიხეილის-ძე გედევანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 506

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 13677 და ს. არაშენდის სამხედრო კომისარიატის რეგისტრაციის წიგნაკი გიგა თურმანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 503

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 2905, ევტიხი ანტიპას ის ძე თოფურიძეს სახელზე, ჩ. გ. 497

დავკარგე წიგნაკი, მოცემული ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ სალაროდან ივანე გაჩეჩილაძეს სახელზე, ჩ. გ. 500

ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღ. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

დავკარგე პირადობის მოწმობა ფილიპე ამირანის-ძე დაუშვილის სახელზე, ჩ. გ. 498

დავკარგე წითელ არმიის წიგნაკი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ბოლდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 504

დავკარგე პენსიის წიგნაკი № 3372 ნინა ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 511

დავკარგე სამხედრო წიგნაკი, ფორმა № 4, გაცემული დიდი ჭყონის სამხედრო მაგიდისაგან იასონ ჯანაძის სახელზე, ჩ. გ. 611

დავკარგე პირადობის მოწმობა № 79 და სამხედრო ნუსხა, გაცემული სუფსის რაიონის სამხედრო მაგიდისაგან ისიდორე მჟავიას სახელზე, ჩ. გ. 51

დავკარგე მოწმობა, მოცემული საჯარიმო ასეულიდან და ექიმის მოწმობა ტრიფონ ტაბუს-ძე ჯაიანის სახელზე, ჩ. გ. 510

დავკარგე გარდაცვლილ ალექსანდრე ვასილის-ძე შაიშმელოვის (იგივე შაიშმელაშვილის) სახლის სახლი მდებარეობს სოფელ ანაგაში, სიღნაღის მაზრა) გაყიდვის აქტი № 251, ჩ. გ. 501

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის მმაჩის ბიურო ამით აცხადებს თანახმად თავისი 29 ოქტომბრის 1926 წ. დადგენილებისა, დაფუძნებული ს. ს. ს. რ. დეკრეტი № 28-ს, § 61—64, რომ მცხოვრებს ქ. ქუთაისში, რ. ერისთავის ქუჩის პირველ შესახვევში, სახ № 21, ექვთიმე იგივე გერასიმე, გაბრიელის-ძე რიკრიკაძეს, მის მეუღლეს ნატალია დავითის ასულს და მათ ქალიშვილებს: თამარი და ზინაიდას გვარი „რიკრიკაძე“ შეეცვალოს „კიკნაძე“ ზე და თუ ვინმეს ამის საწინააღმდეგო აქვს, დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს ზემო აღნიშნულ დაწესებულებას. 513

გამგე: ჩხაიძე.

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 3366, გრიშა მიხეილის-ძე ასათიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 195

დავკარგე პარტბილეთი № 401504, ნიკოლოზ ბიგაევის სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი, სტრიფონ გძელიძის სახელზე—№ 8[illegible]9, ჩ. გ. 515

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული წყალტუბოს თემში, ნუსხა გაგრის სამ. მაგიდიდან აღებული, თაქასურქი [illegible]00 მან. თოლორაიას ხელმოწერილი, ნასყიდობა პელაგია გერსამიას სახელზე შემდგარი და 12 მან. ფული. ერასტო ხვიჩიას სახელზე, ჩ. გ. 516

დავკარგე პარტბილეთი № 494892 გ[illegible]გლა არაჩაშვილის სახელზე, ჩ. გ. 561

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 381 და ქირ[illegible]ობის ბარათი ბარმენ გიორგის-ძე წერეთელის სახელზე, ჩ. გ. 510

კომუნისტის სტამბა, კავთის ქ. 68.